ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლელა გულედანი

# მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალი და მისი ხელშეწყობის სისტემა საქართველოში

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი თეიმურაზ შენგელია

თბილისი

2022

შინაარსი

**შესავალი........................................................................................................................18**

**თავი 1. მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის არსი და განვითარების ტენდენციები ............................................................................................................27**

1.1 მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების მეცნიერულ თეორიული საფუძვლები და ტერმინოლოგიური დასაბუთება ........................................................27

1.2 მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში.....................................................................42

1.3 მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების შემაფერხებელი მიზეზები და ფაქტორები...........................................................................................................................55

**თავი 2. მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმებისა და მდგომარეობის ანალიზი ..........................................................................78**

2.1 მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის საზღვარგარეთის გამოცდილება ..............................................................................78

2.2 მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის თავისებურება და თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში................99

2.3 მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის შეფასება საქართველოს ეკონომიკაში.....................................................................................................................116

**თავი 3. მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის სრულყოფა და პერსპექტიული მიმართულებები.......................................133**

3.1 მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის ხელშეწყობა და საფინანსო-საკრედიტო სისტემის განვითარება.............................................................................133

3.2 მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების საგადასახადო სისტემის სრულყოფა.......................................................................................................................143

3.3 მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარების კლასტერების შექმნის მეთოდოლოგია ..............................................................................................................154

**დასკვენი და რეკომენდაციები..............................................................................173**

**ბიბლიოგრაფია ..........................................................................................................180**

**დანართები.....................................................................................................................194**

## აბსტრაქტი

ნაშრომში შესწავლილია საზღვარგარეთის ქვეყნების მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების ტენდენციები, სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემები და მოდელები, ინოვაციური პოლიტიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. მასში გაანალიზებულია საქართველოში მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა, ბიზნეს ინოვაციების ათვისების პოტენციალი, სახელმწიფო დანახარჯები მეცნიერებასა და განვითარებაზე, მცირე კომპანიებში ინოვაციური აქტიურობის დონე, საგადასახადო და დაკრედიტების სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი. ჩამოყალიბებულია საქართველოში რეგიონალური კლასტერების განვითარებისა და კლასტერული რუქის ჩამოყალიბების მეთოდოლოგია და დადგენილია მათი ზეგავლენა ინოვაციურ განვითარებაზე.

**სადისერტაციო თემის აქტუალობ**ა. გლობალური კონკურენციის გამწვავების პირობებში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური ზრდის მასშტაბების, მდგრადობისა და ინოვაციური განვითარების დინამიზმის მიღწევა. ინოვაციურ პროცესებს ქვეყნაში ბიზნესსაქმიანობა ქმნის, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციურ აქტიურობაზე. მცირე საწაროების ჩართვას კვლევებისა და განვითარების პროცესში მივყავართ ინოვაციური პროცესების უფრო ეფექტიანი საქმიანობისა და ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ზრდისკენ. მცირე მეწარმეობის ინოვაციური განვითარება უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის სტრუქტურულ დივერსიფიკაციასა და ტრანსფორმაციას, განვითარების დინამიკას, ეკონომიკურ განვითარებას, რაც ხელს უწყობს საზოგადოებაში დადებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ჩამოყალიბებას.

საქართველოს მცირე ბიზნესის ფორმირებისა და განვითარების 25 წლიანი პერიოდის განმავლობაში არ არის მიღწეული ეკონომიკის ზრდაში მისი შესაძლებლობების, თვისებებისა და როლის სრულყოფილი გამოყენება.

თანამედროვე ეტაპზე რთულია პოზიტიურად შეაფასო საქართველოში მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარება. ტექნოლოგიური ინოვაციების შემუშავება ქვეყანაში დაბალი ტემპებით მიმდინარეობს, ხოლო მათი რეალიზაცია ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების კერძო ინიციატივებზეა დამოკიდებული.

ქვეყანაში მცირე მეწარმეობის ინოვაციური განვითარება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს და ამ მიმართულებით მოითხოვს სისტემურ მუშაობას, რაშიც უნდა ჩაერთოს სახელმწიფო, აკადემიური, სამრეწველო და საზოგადოებრივი წრეები. ამ ტენდენციებზე დაყრდნობით შემუშავებულ და რეალიზებულ უნდა იქნას ღონისძიებების კომპლექსი, მიმართული ინოვაციების მასობრივ და ინტენსიურ ათვისებაზე. სახელმწიფომ უნდა გაითავისოს მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ინოვაციების შექმნაში. ამ კონტექსტიდან გამომდინარე აქტუალურად მიგვაჩნია საქართველოში მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალისა და მისი ხელშეწყობის სისტემის შემდგომი კვლევა.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლეებია:**

- სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის საზღვარგარეთის გამოცდილება, რომლის განზოგადების საფუძველზე წარმოდგენილია მისი განვითარების ტენდენციები და ძირითადი მიმართულებები;
- მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების ხელშეწყობის ზოგადი ტენდენციების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, დადგენილია ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ამოცანები, მიზნობრივი ორიენტირები და გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები;
- ნაშრომში შეფასებულია არამატერიალური აქტივებისა და ინტელექტუალური საკუთრების როლი ინოვაციების შექმნის პროცესში;
- სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებაზე გაწეულ დანახარჯებსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის კორელაციის დასადგენად გამოყენებულია რეგრესიული ანალიზის მეთოდი, ამ კავშირის სიმჭიდროვე გაზომილია

პირსონის წრფივი კორელაციის კოეფიციენტით. ანალიზის შედეგებმა მოგვცა სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტების დადგენის, ამ სფეროს განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის შესაძლებლობა;

- მეწარმეების განვითარებისა და ინოვაციური აზროვნების დონის დიაგნოსტირების მიზნით, საქართველოს მცირე ბიზნესკომპანიებში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომლის შედეგად დადგინდა ქართველი მეწარმეების ინოვაციურობის შესაძლებლობანი.
- გამოვლენილია მსოფლიოში მიმდინარე ტრენდული ტექნოლოგიური მიმართულებების გამოყენების შესაძლებლობანი საქართველოში;
- საქართველოში ადამიანის განვითარების ინდექსის ანალიზის საფუძველზე, შეფასებულია ადამიანური კაპიტალის როლი ინოვაციების შექმნის პროცესში;
- შესწავლილია მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების დაკრედიტების წყაროები, დადგენილია მისი განვითარების ხელსაყრელი საგადასახადო პირობები;
- ინოვაციურ სფეროში სახელმწიფო მხარდაჭერის საზღვარგარეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემუშავებულია სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების მოდელი და სტრატეგია;
- შემუშავებულია წარმოების ორგანიზაციის კლასტერული ფორმის კონცეფცია, დადგენილია კლასტერული პოლიტიკის მხარდაჭერის სახელმწიფო ზომებისა და მექანიზმების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კლასტერში შემავალი საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ინოვაციურ განვითარებას, ჩამოყალიბებულია საქართველოს კლასტერული რუქის შემუშავების მეთოდოლოგია.

**კვლევის მიზანია** მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების ტენდენციებისა და შემაფერხებელი მიზეზების სისტემური ანალიზი, მისი პოტენციალის შეფასება, სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და გზების დადგენა საქართველოში.

ამ მიზნობრივი ორიენტირის მისაღწევად სადისერტაციო ნაშრომში განისაზღვრა შემდეგი **ამოცანები:**

- მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის რეგულირების ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემების, პოტენციალის, არსებული მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების ანალიზი;
- მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და განზოგადება;
- მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის განვითარების მიმდინარე გამოწვევების, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, მცირე კომპანიებში ინოვაციების გავრცელების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა და გადაჭრის გზების ძიება;
- მცირე ბიზნეს კომპანიებისთვის ადამიანური კაპიტალის გრძელვადიანი განვითარების შემდეგი მეთოდების შემუშავება: NLP-ნეირო ლინგვისტური პროგრამირება, შესაძლებლობის მიდგომა (Capability Approach) მასლოუს პირამიდა, გრეივზის აზროვნების სპირალური დინამიკა, რობერტ დილტსის ლოგიკური დონეები;
- ქვეყნის ეროვნულ პრინციპებზე, მიზნებსა და ამოცანებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების მოდელის შემუშავება;
- მცირე მეწარმეობის ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის შესაბამისი სტრუქტურების, ადგილობრივი ტექნოლოგიური შესაძლებლობების კვლევა;
- წარმოების ორგანიზაციის კლასტერული, როგორც ინოვაციური პროცესებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ფორმის ანალიზი, მცირე ინოვაციურ ბიზნესზე კლასტერული პოლიტიკის მასტიმულირებელი გავლენის შეფასება.
- საქართველოში კლასტერის განსაზღვრის, აღწერის და დადგენის პროცესის მეთოდოლოგიის შემუშავება, კლასტერული პოტენციალის კვლევა რეგიონების, დარგებისა და საწარმოების მიხედვით, საქართველოს კლასტერული რუქის შემუშავების მეთოდოლოგია.

სადისერტაციო ნაშრომის **სტრუქტურა.** დისერტაცია მოიცავს შესავალს, სამ თავს, ცხრა ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები. **პირველ** თავში მოცემულია მცირე ინოვაციური ბიზნესის არსი, მისი განვითარების ტენდენციები და შემაფერხებელი მიზეზები.

**მეორე** თავში გაანალიზებულია მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის საზღვარგარეთის გამოცდილება. სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის თავისებურება და თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში. **მესამე** თავში მოცემულია მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების ხელშეწყობის მიზნით საფინანსო-საკრედიტო და საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. მცირე ინოვაციური საწარმოების კლასტერების შექმნის მეთოდოლოგია.

**კვლევის მეთოდოლოგია.** სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ იქნა კვლევის მიზანთან დაკავშირებული სამეცნიერო პუბლიკაციების, ელექტრონული რესურსების, საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების, საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების ანალიზის, სინთეზის და მონაცემთა სისტემატიზაციისა და შეფასების მეთოდები. სამეცნიერო კვლევაზე შიდა დანახარჯებსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის კორელაციის დასადგენად გამოყენებულ იქნა რეგრესიული ანალიზის მეთოდი, ხოლო კავშირის სიმჭიდროვე გაიზომა **პირსონის** წრფივი კორელაციის კოეფიციენტით. კვლევის მიზნებისათვის ჩატარდა გამოკითხვა მეწარმეების აზროვნებისა და განვითარების დონის შესაფასებლად. გამოიკითხა **100**-მდე მცირე საწარმოს ხელმძღვანელი. მეწარმეების სია მოწოდებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბაზის მიერ, ხოლო კითხვარი შედგენილი იყო Google Forms-ში, რომელიც დაეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე მცირე საწარმოს ხელმძღვანელებს. დისერტაციაში გამოყენებული კვლევის მეთოდები სრულ შესაბამისობაშია კვლევის მიზნებთან.

სადისერტაციო ნაშრომის შედეგები **პრაქტიკული** მნიშვნელობისაა. კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლიათ როგორც კერძო კომპანიებს, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებს, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს. მოცემული კვლევა ორიენტირებულია გადაჭრას საქართველოში მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების პრობლემები, რაც მნიშვენლოვანია საერთაშორისო ბაზარზე, ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ტექნიკური ჩამორჩენის დაძლევისა და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს

მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების დარგში სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფას. დისერტაციის ცალკეული დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიწფო უნივერისტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, სალექციო და სასემინარო მუშაობის პროცესში.

## Abstract

The paper examines the trends of small businesses innovative potential in foreign countries, state support systems and models, the goals and objectives of state authorities in the field of innovation policy. The supporting activities of the legislative and executive authorities of small businesses innovative development in Georgia, the readiness of society for innovation, state spending on research and development, the level of entrepreneur's thinking and development, the level of activity of innovation in small companies, access to patents, tax and credit system are studied. The methodology of development of regional clusters and formation of cluster map in Georgia is described.

**Relevance of the dissertation topic**. In the conditions of intensive global competition, it is vital for the development of our country's economy to achieve the scale of socio-economic growth, sustainability and dynamism of innovative development. Innovative processes in the country are created by entrepreneurial activity based on innovative activity. A small enterprise is considered as a source of new ideas. The inclusion of small enterprises in the research and development process leads to more efficient organization of innovation processes and competitiveness in the market. Small entrepreneurship innovative development ensures structural diversification and transformation of industry sectors, development dynamics, regional development, formation of a positive socio-psychological climate in society.

Formation of small business in Georgia during the 25-year period of development has not achieved the importance of using the opportunities, qualities and role of small business in the growth of the economy. At the moment, it is difficult positively assess the development of small businesses innovative potential in Georgia. Innovations still exist in the country, but they are not implemented internally in the majority of enterprises and are private initiatives of individual business representatives.

The stable development of small entrepreneurship innovative development is a rather difficult task and requires systematic work, in which the state, academic, industrial and public circles should be involved. Based on these trends, a whole set of measures should be

developed and implemented, which should be aimed at the mass adoption of innovations. The state should grasp the innovatitve potential of small business and its role in the development of the country's economy and creation of innovations.

The scientific novelty of the research is the detection of the relationship between domestic expenditures on R&D - scientific research and development and the gross domestic product (GDP), which was determined using the regression method of statistical research, and the density of the relationship was measured with the help of the Pearson linear correlation coefficient. The results of the analysis allowed us to determine the priorities of the state innovation policy, forecast and plan the development of these areas. The scientific novelty of the research is also the quantitative research in small business companies of Georgia. In the research process, about 100 heads of small enterprises were interviewed, on the basis of which the level of development and innovative thinking of the entrepreneur, readiness for implementation of large-scale innovations was checked.

The main **scientific innovations** of the dissertation are:

- Based on The foreign experience of state support of small businesses innovative potential, the trends and main directions of its development are presented;

- For the promoting the development of small businesses innovative development, the tasks, target orientations and main directions of improvement of the activities of the state authorities in the implementation of the innovative policy have been established;

- The paper evaluates the role of intangible assets and intellectual property in the process of creating innovations;

- To determine the correlation between the expenditures on scientific research and development and the gross domestic product, the regression analysis method is used, the density of this relationship is measured by the Pearson linear correlation coefficient. The results of the analysis gave us the opportunity to determine the priorities of the state innovative policy, to forecast and plan the development of this field;

- In order to diagnose the level of development and innovative thinking of entrepreneurs, a quantitative study was conducted in small business companies of Georgia, as a result of which the innovative possibilities of Georgian entrepreneurs were determined.

- On the based of trending technological directions in the world, has been identified Georgias posiblities in the innovations;

- Based on the analysis of human development index in Georgia, the role of human capital in the process of innovations is evaluated;

- Sources of small business innovative development financing are studied, favorable tax conditions for its development are established;

- Based on the foreign experience of state support in the innovative field, the model and strategy of the innovative development of the state has been developed;

- The concept of the cluster form of production organization has been developed, the system of state measures and mechanisms of cluster policy support has been established, which ensures the growth of competitiveness and innovative development of the enterprises included in the cluster, the cluster map of Georgia has been developed.

**The purpose** of the dissertation is to research the small business innovative potential and the problems of its development in Georgia. From this point of view, the development of practical recommendations and suggestions.

In order to achieve the target orientation, the **following tasks** were defined in the thesis:

- study of economic and legal issues of small business innovative potential regulation;

- study of the essential role of small business in the country's economy;

- Analysis of the current situation and development prospects of small business innovative potential in Georgia;

- Studying the experience of foreign countries in state support of small businesses innovative development;

- Modern situation and analysis of the state support system for small businesses innovative development in Georgia;

- determination of current challenges, strengths and weaknesses of small business innovative development;

- study of the level of development of human capital, the readiness of innovative thinking for the implementation of large-scale innovations;

- Identifying factors hindering the spread of innovations in small companies and searching for solutions;

- Development of the following methods of long-term development of human capital for small business companies: NLP-Neuro Linguistic Programming, Capability Approach, Maslow's pyramid, Graves' spiral dynamics of thinking, logical levels of Robert Dilts;

- development of the state's innovative development model based on the country's national principles, goals and objectives;

- Research of appropriate structures for supporting innovative activity of small entrepreneurship, local technological capabilities;

- Analyzing and perfecting the business environment in terms of legal, monetary and credit and tax policies;

- assessment of the importance of the role of intellectual property management structures in the diffusion of innovations;

- analysis of cluster production organization as the most favorable form for innovative processes;

- Assessment of the stimulating effect of cluster policy on small businesses innovative development.

- development of the methodology of the process of defining, describing and determining the clusters in Georgia;

- Study of the cluster potential of Georgia - according to regions, branches and enterprises;

- Research of prerequisites for creating and managing clusters of Georgia;

- Analysis of the methodology development of the cluster map of Georgia;

**The structure of the thesis** includes an introduction, three chapters, nine subchapters, conclusions and recommendations. The first chapter presents the essence of small business innovative potential, trends in its development and the reasons for its hindrances. The second chapter analyzes the foreign experience of state support for the potential of small businesses innovative development. Peculiarities of the state support system and the modern situation in Georgia. The third chapter provides support for small businesses

innovative potential by improving the financial-credit and tax system. Methodology for creating clusters of small enterprises innovative developmet.

**Research methodology.** The analysis, synthesis and systematization of scientific publications, electronic resources, international and local studies, legislative and normative documents related to the purpose of the research were used in the process of working on the paper. A regression method of statistical research was used to determine the relationship between domestic expenditures on scientific research and gross domestic product, and the density of the relationship was measured with the help of Pearson's linear correlation coefficient. For research purposes, a survey was conducted to assess the level of thinking and development of entrepreneurs. About 100 heads of small enterprises were interviewed. The list of entrepreneurs was provided by the National Statistics Database of Georgia. The questionnaire was compiled in Google Forms, which was sent by e-mail to the heads of small enterprises. The quantitative survey was conducted in January-February 2021, based on open-ended questions, consisting of 19 questions. The legal form of the selected companies was LTD and the size was small, which is determined by the national statistics service of Georgia, where the average annual number of employees does not exceed 50 employees and the average annual turnover does not exceed 12 million. GEL. The data of this research report is presented in the form of a diagram. The research methods used in the thesis are consistent with the research objectives.

**The results** of the dissertation work are of practical importance and it can be used by both private companies and state structures, scientific and educational institutions, and non-profit organizations. This study is focused on solving the problems of small business innovative development in Georgia, which is important for increasing the competitiveness of our country in the international market, overcoming technical backwardness and sustainable socio-economic development. Conclusions and recommendations will help to improve the state policy in the field of small business innovative development. Dissertation separate provisions can be used During lecture and seminar work at the Faculty of Economics and Business of Iv.Javakhishvili Tbilisi State University.

ცხრილები

**ცხრილი №1**. საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციების სამართლებრივი ფორმები. 2022წ..........................................................................................................50

**ცხრილი №2.** საწარმოთა წილი, რომელთაც განახორციელეს ინოვაციები ბიზნეს პროცესებში, % 2021წ. ..........................................................................................52

**ცხრილი №3.** საწარმოთათვის შემუშავებული ბიზნეს პროცესების ინოვაციები,% 2021წ..........................................................................................................52

**ცხრილი №4**. საწარმოთა განაწილება განხორციელებული ინოვაციური საქმიანობის ტიპების მიხედვით % 2021წ...........................................................................53

**ცხრილი №5**. ინოვაციური საქმიანობისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების მნიშვნელობა კატეგორიების მიხედვით, % 2021წ................................................53

**ცხრილი № 6**. ყველაზე ინოვაციური ქვეყნების ტოპ-10-ეული, 2021 წ......................65

**ცხრილი №7**. საქართველოს რეიტინგები 2019 - 21 წ..............................................65

**ცხრილი№8**.საქართველოს ინოვაციების ძლიერი და სუსტი მხარეები.2021წ.............67

**ცხრილი №9**.საქართველო საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში.2019-21წ..........................................................................................................68

**ცხრილი №10.**მშპ და R&D,საწყისი მონაცემები კორელაციური ანალიზისათვის. 2014-21წ..........................................................................................................70

**ცხრილი №11.** მშპ და R&D რეგრესიული ანალიზისათვის ..........................................70

**ცხრილი №12.** რეგრესიული სტატისტიკის ანალიზი .....................................................71

**ცხრილი №13**. კვლევებით და ძიებით დაკავებული პერსონალის რიცხვი.2014-21წ..........................................................................................................75

**ცხრილი №14.** კვლევებზე და განვითარებაზე დასაქმებული პერსონალის რიცხოვნობა სტატუსის მიხედვით. 2020-21წ..................................................................75

**ცხრილი №15**. მ.შ.პ - ს დახარჯები კვლევებსა და განვითარებაზე (R&D)%, ევროკავშირი, იაპონია, აშშ, საქართველო.2011-21წ. ......................................................90

**ცხრილი №16**. ჰაიტეკ ექსპორტი მლრდ. აშშ დოლარი, ევროკავშირი, იაპონია, აშშ, საქართველო.2011-21წ. ........................................................................................................90
**ცხრილი №17**. ადგილობრივი პატენტები - ევროკავშირი, იაპონია, აშშ, საქართველო.2011-21წ.......................................................................................................91
**ცხრილი №18**. სამეცნიერო ჟურნალები, სტატიები-ევროკავშირი, იაპონია, აშშ, საქართველო.2011-21წ. ........................................................................................................91
**ცხრილი №19.** მკვლევარები (მილიონ ადამიანზე) ევროკავშირი, იაპონია, აშშ, საქართველო.2011-21წ. ........................................................................................................92
**ცხრილი №20.** ჰაიტექ და ინოვაციური ქვეყნების 10-ეული ..........................................94
**ცხრილი №21.** მცირე ინოვაციური საწარმოების ყველაზე გავრცელებული ფორმები.......................................................................................................................96
**ცხრილი №22.** სასაქონლო ნიშანი, განაცხადები 2017-2021წ.......................................106
**ცხრილი №23.** გეოგრაფიული აღნიშვნები, განაცხადები 2017-202წ. ..........................106
**ცხრილი №24.** დიზაინი, განაცხადები 2017-2021წ.........................................................107
**ცხრილი №25.** გამოგონება, განაცხადები 2017-2021წ.....................................................107
**ცხრილი №26.** სასარგებლო მოდელი, განაცხადები 2017-2021წ..................................107
**ცხრილი №27**.საერთაშორისო განაცხადები პატენტზე უნივერსიტეტების მიხედვით, 2017-21წ.......................................................................................................................109
**ცხრილი №28**. პატენტზე საერთაშორისო განაცხადები, წამყვანი კომპანიები, 2017-21წ ........................................................................................................................................110
**ცხრილი №29**. საერთაშორისო საპატენტო განაცხადები 2015-21წ...............................112
**ცხრილი №30**. გეოგრაფიულ აღვნიშვნაზე საერთაშორისო განაცხადები 2018-21წ…………………………………………………………………………………….112
**ცხრილი №31**.სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებები ........................................................................................................155
**ცხრილი №32**.კლასტერის პოზიტიური ასპექტები და ხელისშემშლელი ფაქტორები ........................................................................................................................................169

დიაგრამები

**დიაგრამა № 1**. კორელაციის ველი, აშშ - R&D…………………....……………...…..........74

**დიაგრამა №2.**საერთაშორისო საპატენტო განაცხადები. ტოპ 5 ეული. 1978-21წ........108

**დიაგრამა №3**. საერთშორისო განაცხადები 2011-21წ.....................................................111

**დიაგრამა №4**. საქართველოს მცირე მეწარმეების ლოგიკური დონეები. 2021წ….......131

**დიაგრამა №5**. სესხების წლიური ზრდის ტემპი, ვალუტის კურსის ეფექტის ჩათვლით. 2004-21წ.......................................................................................................134

**დიაგრამა №6.** სესხების წლიური ზრდის ტემპი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ვალუტის კურსის ეფექტის ჩათვლით.2016-21წ.......................................135

**დიაგრამა №7.** სესხები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესზე, 1 წლიდან 2 წლის ჩათვლით.2016-21წ.........................................135

სქემები

**სქემა № 1**. ლოგიკური დონეების პირამიდისა და სპირალური დინამიკის დონეების მოდელების სინთეზი.......................................................................................................127

**სქემა № 2**. მეწარმის აზროვნების დონეები....................................................................127

დანართები

**დანართი № 1.** საქართველოს მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარების კლასტერის ორგანიზება.......................................................................................194

**დანართი № 2**. მცირე ბიზნეს მეწარმეების რაოდენობრივი კვლევა ღია კითხვების საფუძველზე.........................................................................................................195

**დანართი № 3.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბაზის მიერ მოწოდებული მცირე საწარმოების სია.................................................................................196

**აბრევიატურა**

CCA - Critical Creative Ability - კრიტიკული კრეატიულობის უნარი

TRIZ - theory of Inventive Problem Solving - საგამომგონებლო ამოცანათა ამოხსნის თეორია

NACE - Nomenclature des Activities de Communaute Europeenne - ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების ევროპული კლასიფიკატორი

R&D - Research and Development - კვლევები და შემუშავება

RIA - Regulatory Impact Assessment - რეგულაციების გავლენის შეფასება

FabLab - Fabrication Laboratory - ფაბრიკაციის ლაბორატორია

Ilab – Innovation Laboratory- ინოვაციის ლაბორატორია

GII - Global Innovation Index - ინოვაციის გლობალური ინდექსი

SBIR-Small Business Innovation Reaserch - მცირე ბიზნესის ინოვაციური კვლევა

STTR - Small Business Technology Transfer - მცირე ბიზნესის ტექნოლოგიების გადაცემა

SBIC - Small Business Investment Company - მცირე ბიზნესის ინვესტიციების კომპანია

SMRJ - Organization for SME and Regional Innovation of Japan - იაპონიის ინოვაციის რეგიონალური ორგანიზაცია

TAMA- Technology Advanced Metropolitan Area - ტექნოლოგიების მეტროპოლიტენი

HRST-Human Resources in Science and Technology - ადამიანური რესურსი მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში

FP- Frame Program - ჩარჩო პროგრამა

IPR – Intelectual Property Right - ინტელექტუალური საკუთრების უფლება

TRIPS -Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights - ინტელექტუალური საკუთრების უფლების სავაჭრო რეგულაციები

OECD - Organization for Economic Co-operation and Development - ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების ორგანზიაცია

WIPO – Intelecual Property World Organization - ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაცია

ARDC - American Research and Development Corporation - ამერიკის კვლევებისა და შემუშავების კორპორაცია

AVT - Athena Venture Partners - ათენას ვენჩურული პარტნიორები

GVCA- Georgian Venture Capital Association - საქართველოს ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია

IPO-Initial Public Offering - პირველად საჯარო შეთავაზება

IMF-International monetary fund - საერთაშორისო მონეტარული ფონდი

TADAT- Tax Administration Diagnostic Assessment Tool - საგადასახადო ადმინისტრირების დიაგნოსტიკის შეფასების მექანიზმი

GST- Goods and Services Taxes - საქონელსა და მომსახურებაზე გადასახადი

RIC-Regional Innovation Cluster - რეგიონალური ინოვაციების კლასტერი

EDA-Economic Development Administration - ეკონომიკური განვითარების ადმინისტრაცია

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** სადისერტაციო ნაშრომი ეხება მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის ანალიზს, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ასევე საქართველოში. დისერტაციაში განხილულია მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის საკითხები. გლობალური კონკურენციის გამძაფრების პირობებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სოციალურ-ეკონომიკური ზრდის მასშტაბების, მდგრადობისა და ინოვაციური განვითარების დინამიზმის მიღწევა. ისეთი სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ამოქმედება, რომელიც შეძლებს სამამულო ინტელექტუალური პოტენციალის, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად. ინოვაციური პროცესების უფრო ეფექტიანი ორგანიზებულობისთვის საჭიროა სამეწარმეო საქმიანობაში ინოვაციური პროცესების გააქტიურება, სადაც მცირე საწარმოები გადამწყვეტ როლს ითამაშებენ. განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა მცირე ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას. ეკონომიკური ზრდის ინოვაციურ მოდელზე გადასვლა დამოკიდებულია, ინტელექტუალური რესურსების განვითარებაზე მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესში, ამასთან მცირე ინოვაციურ ბიზნესს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის დინამიურ ზრდას, მოსახლეობის აქტიურ დასაქმებას, საბაზრო წონასწორობის დამყარებას. რა თქმა უნდა საქართველო ამ მიმართულებით არ წარმოადგენს გამონაკლისს და განსაზღვრული პირობების შემთხვევაში ასეთი საწარმოები შეიძლება მიჩნეულ იქნას ეკონომიკის მნიშნელოვანი ზრდის წყაროდ. მიუხედავად ამისა მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარება საქართველოში ნელი ტემპებით ვითარდება და მას ქვეყნის ეკონომიკაში მოკრძალებული ადგილი უჭირავს. ინოვაციური პოტენციალი მცირე ბიზნესი, როგორც ერთ-ერთი მთავარი სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტი საჭიროებს უფრო სიღრმისეულ შესწავლას,

რაც ამლიერებს კვლევის აქტუალობას და განსაზღვრავს სადისერტაციო კვლევის მიზნებსა და ამოცანებს.

**კვლევის მიზანია** მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების ტენდენციებისა და შემაფერხებელი მიზეზების სისტემური ანალიზი, მისი პოტენციალის შეფასება, სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და გზების დადგენა საქართველოში.

ამ მიზნობრივი ორიენტირის მისაღწევად სადისერტაციო ნაშრომში განისაზღვრა შემდეგი **ამოცანები:**

- მცირე საწარმოს ინოვაციური განვითარების ტერმინოლოგიური აპარატის დაზუსტება;
- მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების რეგულირების ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემების, პოტენციალის, არსებული მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების ანალიზი;
- მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და განზოგადება;
- მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების მიმდინარე გამოწვევების, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, მცირე კომპანიებში ინოვაციების გავრცელების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა და გადაჭრის გზების ძიება;
- მცირე ბიზნესკომპანიებისთვის ადამიანური კაპიტალის გრძელვადიანი განვითარების შემდეგი მეთოდების შემუშავება: NLP-ნეირო ლინგვისტური პროგრამირება, შესაძლებლობის მიდგომა (Capability Approach) მასლოუს პირამიდა, გრეივზის აზროვნების სპირალური დინამიკა, რობერტ დილტსის ლოგიკური დონეები;
- ქვეყნის ეროვნულ პრინციპებზე, მიზნებსა და ამოცანებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების მოდელის შემუშავება;

- მცირე მეწარმეობის ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის შესაბამისი სტრუქტურების, ადგილობრივი ტექნოლოგიური შესაძლებლობების კვლევა;

- წარმოების ორგანიზაციის კლასტერული, როგორც ინოვაციური პროცესებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ფორმის ანალიზი, მცირე ინოვაციურ ბიზნესზე კლასტერული პოლიტიკის მასტიმულირებელი გავლენის შეფასება.

- საქართველოში კლასტერის განსაზღვრის, აღწერის და დადგენის პროცესის მეთოდოლოგიის შემუშავება, კლასტერული პოტენციალის კვლევა რეგიონების, დარგებისა და საწარმოების მიხედვით, საქართველოს კლასტერული რუქის შემუშავების მეთოდოლოგია.

**კვლევის ობიექტია** - მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალი და მისი განვითარების შესაძლებლობანი.

**კვლევის საგანს** წარმოადგენს საზღვარგარეთის ქვეყნებში მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის შესწავლისა და მხარდაჭერის სისტემის განზოგადების საფუძველზე საქართველოში მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის განვითარების პერსპექტივების დადგენა.

**კვლევის მეთოდოლოგია.** დისერტაციული **კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ** ბაზას წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერების ფუნდამენტური კვლევები ქვეყნის ინოვაციური განვითარების დარგში. ასევე საქართველოს საკანონმდებლო დოკუმენტები, სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, საქართველოს ეკონომიკის სახელმწიფო პროგრამები. კვლევის პროცესი ეფუძნება შემეცნების საერთო **მეცნიერულ მეთოდებს: ანალიზის, სინთეზის, აბსტრაგირების, განზოგადების,** ასევე ეკონომიკური ანალიზის მეთოდებსა და ხერხებს. **კვლევის მიზნებისთვის** გამოყენებულია სტატისტიკური კვლევის კორელაციურ-რეგრესიული მეთოდი, პირსონის წრფივი კორელაციის კოეფიციენტი. წრფივი რეგრესიის მოდელი აიგო Excel-ში და მოვახდინეთ შედეგების ინტერპრეტაცია. კვლევისას გამოყენებული მეთოდი დასაბუთებულია ეფექტიანობის თვალსაზრისით. დეტალურად და თანმიმდევრულადაა აღწერილი კვლევის პროცედურები. კვლევის მიზნებისთვის ჩატარდა რაოდენობრივი

გამოკითხვა ღია კითხვარების საშუალებით, რის საფუძველზეც გამოიკითა 100-მდე მცირე საწარმოს ხელმძღვანელი. კითხვარის საფუძველზე შეგროვებული მონაცემების დამუშავებისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის სტატისტიკური პროცედურები და მეთოდები: აღწერითი სტატისტიკა, სიხშირული ანალიზი, გრაფიკული ანალიზი და სხვა.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლეებია:**

- სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის საზღვარგარეთის გამოცდილება, რომლის განზოგადების საფუძველზე წარმოდგენილია მისი განვითარების ტენდენციები და ძირითადი მიმართულებები;
- მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების ხელშეწყობის ზოგადი ტენდენციების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, დადგენილია ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ამოცანები, მიზნობრივი ორიენტირები და გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები;
- ნაშრომში შეფასებულია არამატერიალური აქტივებისა და ინტელექტუალური საკუთრების როლი ინოვაციების შექმნის პროცესში;
- სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებაზე გაწეულ დანახარჯებსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის კორელაციის დასადგენად, გამოყენებულია რეგრესიული ანალიზის მეთოდი, ამ კავშირის სიმჭიდროვე გაზომილია პირსონის წრფივი კორელაციის კოეფიციენტით. ანალიზის შედეგებმა მოგვცა სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტების დადგენის, ამ სფეროს განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის შესაძლებლობა;
- მეწარმეების განვითარებისა და ინოვაციური აზროვნების დონის დიაგნოსტირების მიზნით, საქართველოს მცირე ბიზნესკომპანიებში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომლის შედეგად დადგინდა ქართველი მეწარმეების ინოვაციურობის შესაძლებლობანი.
- გამოვლენილია მსოფლიოში მიმდინარე ტრენდული ტექნოლოგიური მიმართულებების გამოყენების შესაძლებლობანი საქართველოში;

- საქართველოში ადამიანის განვითარების ინდექსის ანალიზის საფუძველზე, შეფასებულია ადამიანური კაპიტალის როლი ინოვაციების შექმნის პროცესში;

- შესწავლილია მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების დაკრედიტების წყაროები, დადგენილია მისი განვითარების ხელსაყრელი საგადასახადო პირობები;

- ინოვაციურ სფეროში სახელმწიფო მხარდაჭერის საზღვარგარეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემუშავებულია სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების მოდელი და სტრატეგია;

- შემუშავებულია წარმოების ორგანიზაციის კლასტერული ფორმის კონცეფცია, დადგენილია კლასტერული პოლიტიკის მხარდაჭერის სახელმწიფო ზომებისა და მექანიზმების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კლასტერში შემავალი საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ინოვაციურ განვითარებას, ჩამოყალიბებულია საქართველოს კლასტერული რუქის შემუშავების მეთოდოლოგია.

**სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.** მცირე ინოვაციურ ბიზნესზე კვლევას მიეძღვნა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ფუნდამენტური ნაშრომები. ამ მხრივ ყურადსაღებია: რ. აბესაძის, ლ. ჩიქავას, გ. მალაშხიას, გ. ჯოლიას, თ. შენგელიას, უ.სამადაშვილის, ნ. ძიძიკაშვილს, ო. შატბერაშვილს, გ. ბერულავას, გ. ქოჩორაძის, თ. ვაშაკიძის, ე. შილაკაძის, დ. ნიჟარაძის და სხვა მეცნიერების ნაშრომები. ამასთან, მოცემული ავტორების კვლევებში არ არის ასახული წარმოების კლასტერული ფორმა, რაც საქართველოში ინოვაციების შექმნის და ინოვაციურ პოლიტიკაზე გადასვლის მთავარი განმსზაღვრელი ფაქტორია. მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის ანალიზს კლასტერულ ჭრილში ძირითადად ვხვდებით უცხოელი ავტორების შრომებში. სტატისტიკური მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებულია ინტერნეტ წყაროები, კერძოდ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური ვებ-გვერდები. კვლევისას ასევე გამოყენებულ იქნა ელექტრონული წყაროები და შესაბამის სფეროში ელექტრონული წიგნები. სადისერტაციო ნაშრომში ფართოდ არის დამუშავებული

როგორც საქართველოს ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი დოკუმენტები. სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური წყაროები და სტატისტიკური მონაცემები. დისერტაციაზე მუშაობისას გამოყენებული ლიტერატურიდან გამოვყოფდი რამდენიმე ძირითად ნაშრომს:

1. **შენგელია თ. ინოვაციური პროცესები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი, „უნივერსალი", 2018 წ.** ნაშრომში განხილულია ინოვაციური პროცესების ხელის შემშლელი ფაქტორები და მათი გამომწვევი მიზეზები. გაანალიზებულია ინოვაციების დარგში სახელმწიფო პოლიტიკა, რის საფუძველზეც ავტორს შემუშავებული ინოვაციური პროცესების გააქტიურების სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები.

2. **კაკულია ე. მცირე ბიზნესი: ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფაქტორი. თბ. 2017წ.** ნაშრომში განხილულია მცირე ბიზნესის უპირატესობანი მსხვილ და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში. საუბარია ინოვაციურ მცირე ორგანიზაციის სახეებზე. მცირე ბიზნესის, როგორც თვითინოვაციურის როლზე ინოვაციებში. გამოკვეთილია ინოვაციების სფეროში მცირე ბიზნესის უპირატესობები.

3. **გოგიაშვილი ო. მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. თბ., 2013 წელი.** ნაშრომში განხილულია მცირე ბიზნესის გამოწვევები და თავისებურებანი საქართველოში. მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები და როლური ასპექტები ეკონომიკაში. განხილულია როგორ უნდა მოხდეს მცირე ბიზნესის არსებული ნაკლოვანებების სრულყოფა.

4. **M. PORTER. The Economic Performance of Regions. Regional Studies, Vol. 37.6&7, August/October 2003.** ნაშრომში გადმოცემულია რეგიონალური კონკურენტუნარიანობის უპირატესობები. მასში წარმოდგენილია წარმოების კლასტერული ორგანიზება, ამ პროცესში მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის გადამწყვეტი როლი. განხილულულია და დახასიათებულია სხვადასხვა კლასტერული ინიციატივების ფორმები აშშ-ს მაგალითზე.

5. **Kaizen A. "The key Japan's Competitive Success". Masaaki Imai. McGraw-Hill Education; 1 edition. November 1, 1986.** ამ ნაშრომში განხილულია იაპონური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის საკითხები, ის ძირითადი ფაქტორები, რაზეც

დაფუძნებულია იაპონური ეკონომიკის წარმატება. ასევე წარმოდგენილია კომპანიების შიგნით არსებული ურთიერთობლივი და იერარქიული პრობლემები, როგორც მათი განვითარების ხელშემწყობი წინაპირობა, კომპანიაში პერსონალის მოტივაციისა და კრეატიულობის დონის ამაღლების საკითხები.

6. **Amartya Sen. Home in the World, 2021.** ამ ნაშრომში ამარტია სენის მიერ განხილულია საზოგადოების განვითარების შესაძლებლობები. როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენის აქტიურად ჩართვა ქვეყნის განვითარების პროცესში. მის ნამუშევარში საინტერესოდ არის განხილული ფართო დიალოგი და საზოგადოების შეთანხმება განვითარების პრიორიტეტებზე, სადაც ყველამ უნდა მიაღწიოს მისთვის სასურველ ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.

7. **Clare W. Graves: Levels of Human Existence. 1970. ქ.** გრეივზი აქ აღწერს აზროვნების სპირალურ დინამიკას და აზროვნების შესაბამის დონეებს. დონეები გამოხატავს ადამიანის ან საზოგადოების განვითარების საფეხურს. რაც უფრო მაღალია ეს საფეხური მით უფრო მეტად არის ადამიანი ან საზოგადოება მზად ინოვაციებისთვის და ზრდისთვის.

8. **Drucker, Peter F., The Practice of Management. London, 1954. პ.** დრუკერი მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ინოვაციებზე მცირე საწარმოში, სადაც მეწარმეს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ის ინოვაციებს განიხილავს როგორც მეწარმის შესაძლებლობას და პიროვნულ თვისებებს გაუსწროს საბაზრო პროცესებს და წინასწარ განჭვრიტოს მომხმარებლის საჭიროება, აიღოს რისკი და პასუხიმგებლობა საკუთარ თავზე სიახლის დანერგვასთან დაკავშირებით. ასევე ის ყურადღებას ამახვილებს ბაზრის ცვლილებაზე, რომელზეც მორგება სრაფად შეუძლია მცირე საწარმოს.

9. **Robert Brian Dilts, Todd Epstein Dynamic Learning Paperback. N.Y. October 22, 2017.** რობერტ დილტსის ეს ნაშრომი მოგვითხრობს ნეირო ლოგიკურ დონეებზე, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქცევებს კონკრეტულ სიტუაციაში. დილტსი აღწერს პიროვნების ფასეულობათა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის განვითარებას და წარმატებას. ცვლილებები იწყება ზემოდან ქვემოთ. პირამიდის ზედა დონეზე ცვლილება იწვევს ქვედა დონეების ცვლილებას.

10. J. Ali, A. (2014), "Innovation, happiness, and growth", Competitiveness Review, Vol. 24 No. 1, pp. 2-4. 5. ალის ამ ნაშრომში აღწერილი აქვს კავშირი ინოვაციებს, ბედნიერებას და ეკონომიკურ ზრდას შორის. თუ როგორ არის დამოკიდებული ინოვაციები საზოგადეობის ბედნიერების ხარისხზე და შემოსავალზე.

11. Rogers, Everett. Diffusion of Innovations, 5th Edition. 2003. როჯერს ევერესტი გადმოვგცემს კომპანიაში ინოვაციების გავრცელების პირობებს და სიჩქარეს. ის ძირითად აქცენტს აკეთებს ადამიანურ რესურსზე და ადამიანის მიერ ინოვაციის მიღების ხარისხზე. ასევე საუბრობს ინოვაციების ხელშემწყობ საკომუნიკაციო არხებზე, სოციალური სისტემის თავისებურებაზე, ინოვაციის დიფუზიაზე.

12. Bandler R. Roberti A. The Ultimate Introduction to NLP: How to build a successful life. 2013. რიჩარდ ბენდლერი ამ წიგნში მოგვითხრობს ნეირო ლინგვისტურ პროგრამირებაზე: მოდელების, ტექნიკის და ოპერაციულ პრინციპთა კომპლექსზე, რომელიც გამოიყენება პიროვნების განვითარებისა და მასზე ზემოქმედებისთვის, მოდელირებების ეფექტიანი სტრატეგიის საშუალებით. ნლპ-ს მიზანია ადამიანებს ასწავლოს ეფექტიანი კომუნიკაცია, შეცვალოს მათი ფსიქიკური და ემოციონალურ ქმედებათა თარგები. ბენდლერმა შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომელიც დაფუძნებულია სხვა ადამიანთა ქცევის ძირითადი ასპექტების მოდელირების ხელოვნებაზე და წარმატებული შედეგების მიღწევის ხერხებზე.

დისერტაციის **კვლევის შედეგები** გამოქვეყნდა ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში:

1. გულედანი ლელა. „რეგიონალური კლასტერის მოდელები და საქართველო" (აშშ-ს მაგალითზე). ჟურ. „ჯეოეკონომიქსი". №9, 2018. e-ISSN 1512-2980
2. გულედანი ლელა. „მცირე ინოვაციური საწარმოების კლასტერების შექმნის მეთოდიკა საქართველოში". ჟურ.„ეკონომისტი" № 3, 2018. გვ. 91 UDC33 e-49
3. გულედანი ლელა. „ინოვაციური სისტემების მოდელები და საქართველო". ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი". ჟურ. № 2. 2018.
4. გულედანი ლელა. „ მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში". ჟურ. „გლობალიზაცია და ბიზნესი". № 13, 2022. გვ.149-153.

5. Guledani Lela. “Human Resource Potential in Small Innovative Businesses in Georgia”. Science PG. Journal “Innovation”. Volume 3, Issue 2, June 2022, Pages: 41-45

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.** დისერტაცია მოიცავს შესავალს, სამ თავს, ცხრა ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები. ნაშრომი მოიცავს 199 გვერდს. ძირითადი ტექსტი 172 გვერდია. მასში წარმოდგენილია 32 ცხრილი, 7 დიაგრამა, 2 სქემა, სულ დანართების რაოდენობა 3. გამოყენებული ბეჭდვითი და ელექტრონული ლიტერატურის ჯამური რაოდენობა შეადგენს 232 წყაროს.

## თავი 1. მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის არსი და განვითარების ტენდენციები

### 1.1 მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების მეცნიერულ თეორიული საფუძვლები და ტერმინოლოგიური დასაბუთება

კაცობრიობა მუდმივად მიიღწვის ცოდნის განვითარებისა და ცივილიზაციის უფრო მაღალი დონეების მიღწევისკენ. სახეზე გვაქვს ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესი, რაც ნიშნავს უკვე არსებულის გაზრდა-გაფართოებას და თვისებრივად ახალი ფორმებისა და შინაარსის მიღწევას. დღეს ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა, სულიერება და დოვლათის წარმოების წესი სწრაფად იცვლება. საზოგადოებრივ პროგრესს, ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფს. ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდის განუსაზღვრელ პირობებს კი ქმნის ეკონომიკური განვითარება, რაც ეკონომიკის სრულყოფას, მის ახალ თვისებრიობაში გადასვლას ნიშნავს.

ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს სიმდიდრის სწრაფ ზრდას და შემდეგ ამ სიმდიდრის ეფექტიან გამოყენებას. კეთილდღეობაზე ორიენტირებული განვითარებული ქვეყნების ერთი ნაწილი მისდევს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის სიმდიდრის გადანაწილების პოლიტიკას, ხოლო მეორე ნაწილი ცდილობს, სიმდიდრის დიდი ნაწილი მოქალაქეებმა (Marshall,1998) თავისი შეხედულებებისამებრ განკარგონ. განვითარებული სამყარო სწორედ იმის დამსახურებით გამდიდრდა, რომ მოქალაქეებს მაქსიმალური თავისუფლება მიანიჭა, სიმდიდრის მაქსიმიზაციის პროცესში.

მოქალაქეების თავისუფლებამ, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებამ, მათთვის სამართლიანი თამაშის წესების დადგენამ, კერძო საკუთრების დაცულობამ, დაბალი დაბეგვრის პირობებმა, რეგულაციების ნაკლებობამ და ეფექტიანობამ, მეტი სტიმული მისცა მეწარმეებს უფრო ეფექტიანად გამოეყენებინათ საკუთარი დანაზოგი და რესურსი დამატებითი სიმდიდრისა და ინოვაციების შესაქმნელად.

ისეთი ფასეულობების რეალიზაციამ როგორიცაა: თავისუფლება და თანასწორობა, სოციალური სამართლიანობა, ეკონომიკური აღორძინება,

ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის სრული რეალიზება და სწრაფვა სტრუქტურული წესრიგისა და სრულყოფილი საზოგადოებისკენ მოგვცა პროგრესის შეუქცევადი პროცესი.

მეცნიერება და ტექნოლოგია გახდა საზოგადოებრივი ცხოვრების უწყვეტი გაუმჯობესების გარანტორი და პროგრესის დინამიკაც სწორედ რომ, მეცნიერული კომპონენტით - ინოვაციის დონით ფასდება.

ქვეყანაში ინოვაციის დონე[1] **ინოვაციურ საქმიანობას** უკავშირდება, რომელსაც მრავალგანზომილებიანი კომპლექსური გაგება აქვს. ინოვაციური საქმიანობა მიმართულია ახალი პროდუქტებისა და ცოდნის მიღებისკენ, რომლის კანონზომიერი შედეგია ახალი პროდუქტის, ტექნოლოგიის, ტექნიკური საშუალებების, მასალების, ორგანიზაციის მართვის ახალი ხერხების და ა.შ. კომერციული გასაღება, რამაც უნდა მოგვცეს სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური ან სხვა ეფექტი.

ტერმინი ინოვაცია, როგორც ახალი ეკონომიკური კატეგორია სამეცნიერო ბრუნვაში შემოიღო ავსტრიელმა, მოგვიანებით კი ამერიკელმა მეცნიერმა იოსებ შუმპეტერმა[2] (1883-1950 წელი) მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში. ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია" (Schumpeter, 1983) (1911წ.) შუმპეტერმა პირველად განიხილა ცვლილებებისა და განვითარების ახალი კომბინაციის, ინოვაციის საკითხები. მან მოგვცა ინოვაციური პროცესების სრული აღწერა. შუმპეტერი თვლიდა რომ „წარმოება - გულისხმობს ჩვენს სფეროში ძალებისა და საგნების კომბინირებას, ხოლო რაღაც ახლის ან რაღაცის ახლებურად წარმოება - ნიშნავს შექმნა შენი ძალებისა და საგნების სხვა კომბინაციები".

ჯოზებ შუმპეტერის თანახმად ინოვაცია არის საწარმოო ფაქტორების, მოტივაციისა და მეწარმეობრივი სულის ახალი მეცნიერულ-ორგანიზაციული კომბინაცია. მისთვის ინოვაცია მოგების მთავარი წყაროა და ახალი კომბინაციების შესრულების შედეგს წარმოადგენს. განვითარების გარეშე არ არის შემოსავალი, შემოსავლის გარეშე კი არ არის განვითარება. შუმპეტერის წიგნებმა ბიძგი მისცა სხვა მეცნიერებსაც ინოვაციების სფეროში.

[1] https://esto.nasa.gov/files/TRL_definitions.pdf
[2] https://en.wikipedia.org/wiki/Joseph_Schumpeter

ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება ინოვაციების სხვადასხვა მეცნიერული ინტერპრეტაცია: „ინვენცია“, „ნოვაცია“, სიახლე, გამოგონება, ინოვაციური პროცესი, ინოვაციური საქმიანობა, ინოვაციური პოტენციალი.

**ინვენცია**[3] - (ლათ: გამოგონება, ფიქცია) - ინოვაციური იდეაა. ინოვაციური იდეის ქვეშ იგულისხმება ახალი ორიგინალური ჩანაფიქრი, რომელსაც გააჩნია გამოკვეთილი მიზანმიმართული და საზოგადოებისათვის პოტენციურად სასარგებლო ფასეულობა. მისი გაჩენის ბიძგი შეიძლება იყოს ცოდნა, პირადი და პროფესიონალური გამოცდილება და შესაძლებლობა მიიღო ის რეალურ სიტუაციაში. ინვენციის ხელმისაწვდომობა საწარმოსთვის არ ნიშნავს რომ განხორციელდა ინოვაცია, ამ შემთხვევაში ეს არის აუცილებელი, მაგრამ არ არის საკმარისი წინაპირობა ინოვაციური პროცესების რეალიზაციისა. ინვენცია არარსებული იდეის მხოლოდ გამოგონება და წარმოდგენაა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გადავწყვიტოთ შესაძლო პრობლემები, ის ხასიათდება აზროვნების პროცესად და არა მოქმედებად.

**ნოვაცია**[4] (ლათ - novation - შეცვლა, განახლება) წარმოადგენს სიახლეს, რომელიც ადრე არ არსებობდა. სიახლის ქვეშ იგულისხმება ახალი ფენომენი, აღმოჩენა, გამოგონება, ახალი წყობა, ახალი წესი, საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ახალი მეთოდი.

**გამოგონება** ადამიანის მიერ შექმნილი ახალი მოწყობილობები, მექანიზმები, ინსტრუმენტები და სხვა ადაპტაციებია. გამოგონება არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე, ის თავისი არსით უანგარო აქტია. ის შეიძლება ინდივიდუალურად დამზადდეს გამომგონებლის მიერ, რომელსაც არა აქვს სოციალური ფასეულობა.

**სიახლე** - (Merriam, 2012) სამეცნიერო ცოდნაა, რომელიც ფლობს ახალ და არსებითად განსხვავებულ გადაწყვეტილებას არსებული გადაწყვეტილებებისგან. ასეთი სიახლე შეიძლება გაფორმდეს შემდეგი სახით: აღმოჩენა, პატენტები, ნოუ-ჰაუ, მარკეტინგული კვლევების შედეგები და ასე შემდეგ.

სიახლის ცნებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სიახლის დანერგვა.

[3] https://en.wikipedia.org/wiki/Invention
[4] https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/novation

სიახლის დანერგვა ნიშნავს პროგრესული სიახლის ამოქმედებას დინამიკაში, ანუ ორგანიზაციულ სისტემაში მის გამოყენებას.

შეიძლება ჩავთვალოთ რომ **სიახლის შემოღება** იგივეა რაც **ინოვაცია**. ინოვაციის ლიტერატურული თარგმანი ინგლისურიდან აღნიშნავს ნოვაციების შემოღებას, რომელიც თავის მხრივ აღნიშნავს სიახლეების გამოყენების პროცესს. სიახლის შემოღება ხდება ინოვაცია, ხოლო სიახლის დანერგვის პროცესი ბაზარზე განიხილება, როგორც კომერციალიზაციის პროცესი.

ინოვაცია ყოველთვის მიმართულია ეკონომიკური სარგებელის მიღებაზე, მას სჭირდება **სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების კოლექტიური და კომპლექსური** შრომა. ის ხორციელდება ტექნოლოგიური გამოყენების დონეზე და ყოველთვის წარმოადგენს მეცნიერული ძიების შედეგს, რომელსაც აქვს მკაფიო ორიენტაცია საბოლოო შედეგზე. ინოვაციის განხორციელება საჭიროებს გამოკვეთილ, მკაფიო მიზანს და ტექნიკურ-ეკონომიკურ საფუძველს. მას ყოველთვის თან სდევს სარგებელი და სასარგებლო ფუნქცია.

ინოვაციის ინტერპრეტაციას მეცნიერები ახდენენ კვლევის ობიექტიდან გამომდინარე. ზოგიერთი მეცნიერი განსაზღვრავს ინოვაციას როგორც პროცესს, რომელშიც გამოგონება ან იდეა იძენს ეკონომიკურ შინაარს. ზოგი თვლის რომ ინოვაცია ტექნიკური, საწარმოო და კომერციული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელსაც მივყავართ ახალი ბაზრის გაჩენისკენ, სამრეწველო პროცესების და გადაიარაღების გაუმჯობესებისკენ, ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქტის მიღებისკენ. შეგვიძლია დავასკვნათ რომ, ინოვაცია არის როგორც სიახლის შექმნის, დანერგვა-გავრცელების და მიღების პროცესი, ისე მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის საბოლოო შედეგი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკისა და ტექნოლოგიების თაობის ცვლილებას.

**საქართველოს** კანონმდებლობის მიხედვით ინოვაცია არის, როგორც საბოლოო პროდუქტი ასევე პროცესი. საქართველოს კანონი „ინოვაციის შესახებ" (საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ, 2016) ინოვაციებს შემდეგნაირად განმარტავს:

- **ინოვაცია** - ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე,

გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის, მათ შორის:

- **ინოვაციური პროდუქტი** - ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, რომელიც არ გულისხმობს სხვა პირის მიერ შემუშავებული ან წარმოებული ინოვაციური პროდუქტის მხოლოდ ესთეტიკურ ცვლილებას;

- **ინოვაციური პროცესი** - წარმოების ან მომსახურების ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მეთოდის გამოყენება, რომელიც პირისთვის არის სიახლე ან გაუმჯობესება, იმის მიუხედავად ეს პროცესი სხვა პირის მიერაა შექმნილი თუ არა;

- **ორგანიზაციული ინოვაცია** - მენეჯმენტის სტრუქტურის ან მეთოდის ახალი ან მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მიმართულია ორგანიზაციაში პროდუქტის ან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისკენ ან/და ცოდნის გამოყენების გაუმჯობესებისკენ ან ბიზნესის ეფექტიანობის ზრდისკენ;

- **მარკეტინგი** - მარკეტინგის ახალი მეთოდების გამოყენება, მათ შორის პროდუქტის დიზაინისა და შეფუთვის და ამ პროდუქტის პოპულარიზაციისა და შეთავაზების მნიშვნელოვანი ცვლილებები.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინოვაციებში იგულისხმება ინოვაციები, როგორც პროდუქტსა და პროცესში, ასევე მენეჯმენტსა და მარკეტინგში. ამიტომ მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში სრულად გავითვალისწინეთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი ეს მოთხოვნა.

**ინოვაციურ პროცესში** (Davenport, 1992) ასევე მოიაზრება მეცნიერული ცოდნის ინოვაციებად გარდაქმნა. ეს საქმიანობა გულისხმობს ახალ შესაძლებლობათა მუდმივ ძიებას, დასმული ამოცანების გადასაწყვეტად სხვადასხვა რესურსული წყაროების გამოძებნას, მოზიდვას და კვლავწარმოებით პროცესში ჩართვას, მეცნიერებატევადი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას ახალი მიდგომებისა და ტექნოლოგიების საშუალებით.

ინოვაციური პროცესის მთავარი ბმული და ყველაზე რესურსტევადი -

**კვლევებისა და განვითარების** (R&D) ეტაპია, რომელიც გვთავაზობს პერსონალისა და რესურსების ინტეგრაციის დონის ამაღლებას კვლევების კომპონენტში.

როგორ და რა სიჩქარით ვრცელდება ახალი იდეები და ტექნოლოგია კარგად არის მოცემული **ინოვაციების დიფუზიის** (Rogers, 2003) თეორიის ფუძემდებელი ამერიკელი პროფესორის, **ევერესტ როჯერსის** წიგნში - **„ინოვაციების დიფუზია".** როჯერსი ამტკიცებს, რომ დიფუზია არის პროცესი, რომლის დროსაც სოციალური სისტემის მონაწილეებს შორის დროთა განმავლობაში ხდება ინოვაციის კომუნიკაცია.

როჯერსის აზრით ახალი იდეის გავრცელებაზე ძირითად გავლენას ახდენს 4 ფაქტორი: **თავად ინოვაცია, საკომუნიკაციო არხები, დრო და სოციალური სისტემა.** ეს პროცესი მნიშვნელოვნად ეყრდნობა **ადამიანურ კაპიტალს.** ინოვაციის შემომღებლები არიან სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები ორგანიზაციაში. დიფუზია სხვადასხვა გზით ვლინდება და ექვემდებარება ინოვაციის შემომღების ტიპსა და ინოვაციების გადაწყვეტილების პროცესს. ინოვაციის მიღების პროცესში არსებობს წერტილი, სადაც ინოვაცია კრიტიკულ მასას აღწევს. ინოვაციის შემომღების კატეგორიზაციის კრიტერიუმს წარმოადგენს ინდივიდუალური პიროვნების მიერ ახალი იდეის მიღების ხარისხი.

**ინოვაციური პოტენციალი** - საწარმოს, დარგის, სახელმწიფოს და ინოვაციური საქმიანობის განხორციელებაში მონაწილე სხვადასხვა სახის რესურსების ერთობლიობაა, რომელიც ეყრდნობა ინტელექტუალურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, საწარმოო, მატერიალურ და ფინანსურ პოტენციალებს. ინოვაციური პოტენციალი[5] ასევე შეიძლება განისაზღვროს როგორც ორგანიზაციის ინოვაციური შესაძლებლობები, ინოვაციის შექმნის უნარი. თუ რამდენად არის შესაძლებელი კომპანიიის მხრიდან ინოვაციების შეთვისება, გენერირება და დანერგვა. (Shlemev, 2017) მოცემულ დისერტაციაში ყურადღებას გავახვილებთ იმ წყაროებზე, რომლებიც შეიძლება ინოვაციის პოტენციალი და გამომწვევი ფაქტორი იყოს, კერძოდ აქცენტი გაკეთდება ადამიანური რესურსის პოტენციალზე.

[5] https://www.lead-innovation.com/english-blog/identification-of-innovation-potential-6-important-triggers-for-innovation

ინოვაციურ აქტივობას განაპირობებს ის, თუ როგორ არის მზად ეროვნული ინოვაციური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტები მოდერნიზაციისთვის. ეს ელემენტებია: ცოდნა, ტექნოლოგიური აღჭურვილობა, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, მათი ეფექტიანი გამოყენების პირობები. არის თუ არა ინოვაციური აქტივობა შესაბამისობაში მსოფლიო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობასთან, კომპანიის მიღწევის მაღალ დონესთან, ინოვაციური პროდუქტის კონკურენტუნარიანობასთან.

ინოვაციების **ევოლუცია** დამოკიდებულია საზოგადოების საჭიროებაზე, საბაზისო მოთხოვნა-მიწოდებაზე, მოგების ნორმაზე, ხარჯების სტრუქტურაზე. ინოვაციების შემოღების ძირითად წყაროს წარმოადგენს თავად იმ სისტემის ტექნოლოგიური პოტენციალი, სადაც ეს ყველაფერი ხდება. ინოვაციების **რევოლუცია** კი დაკავშირებულია ახლის აღმოჩენასთან, საზოგადოების სიახლეებზე და გამოგონებაზე მოთხოვნების დამოუკიდებლად.

1960 წლამდე, დასავლეთის კორპორაციები აღწერდნენ ინოვაციის ეტაპების ხაზოვან მემკვიდრეობას: **კვლევა, განვითარება, პროექტირება, წარმოება და მარკეტინგი.** ინოვაციების **ხაზობრივი** ინტერპრეტაციის სპეციფიკა შედგებოდა ეტაპების ლოგიკური ურთიერთქმედების გამოვლინებაში. ინოვაცია ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და ბაზრის მოთხოვნების შევსების შედეგს წარმოადგენდა.

70-იანი წლებისთვის ინოვაციური განვითარების ამ პრაქტიკამ კრახი განიცადა მთელი რიგი ახალი პროდუქტების ჩავარდნით. კორპორაციებს, ბიუჯეტის ზრდამ კვლევებზე და შემუშავებაზე, მოგება არ მოუტანა. ამიტომ მიდგომები საწარმოს სამეცნიერო კვლევითი მიმართულების მართვასთან და საინოვაციო პროცესებთან დაკავშირებით მთლიანობაში შეიცვალა.

დღესდღეობით ინოვაციური პროცესის ყველაზე თანამედროვე მოდელი **სისტემური**, სიახლეების დანერგვის **კიბერნეტიკული,** სისტემურად **ინტეგრირებული ქსელური** მოდელია, **ფუნქციებისა და ურთიერთქმედების** მაღალი ხარისხის გადაკვეთით. თანამედროვე ეტაპისთვის დამახასიათებელია **კომბინირებული** ინოვაციური პროცესი, რომელიც განსაზღვრავს მეცნიერულ-

ტექნიკური პროგრესის შედარებით უწყვეტობასა და არაერთგვაროვნებას.

ინოვაციური განვითარების კვლევას რომ შევხედოთ შეიძლება ითქვას რომ ინოვაციური პროცესები პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური ზრდის ბუნებასთან, ეკონომიკური განვითარების ციკლურობასთან.

ეკონომისტები ციკლურობას აკავშირებენ საბანკო დაკრედიტების ექსპანსიას, წარმოებაში სიახლეების დანერგვას, (Hansen, 1964) შემოსავლების ზრდას,(Oxford poverty & Human Development Initiative, 2014) მოსახლეობის განწყობას,(Nahid, 2008) კაპიტალდაბანდების სიდიდეს (Hayek, 1989) და ა.შ. ასევე ეკონომიკური განვითარების ციკლურობის ძირითად მიზეზები შეიძლება იყოს სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენები, ომები, კატაკლიზმები.

ეკონომიკური განვითარების ციკლურობის ინოვაციურ კანონზომიერებაზე საუბრობს ცნობილი მკვლევარი, ნ.დ. კონდრატევი. (Kondrotayev, 2011) კონდრატევი სიახლის შემოღებას აკავშირებს „დიდ ტალღას“. მისი აზრით ტალღის ამაღლების დასაწყისში ეკონომიკურ ციკლში მიმდინარეობს სერიოზული ცვლილებები და ხასიათდება ახალი ტექნიკური აღმოჩენებით, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ინოვაციური განვითარების ციკლურობას.

მსოფლიო ეკონომიკის ზრდის თანამედროვე ეტაპები აშკარად ადასტურებს, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა პირდაპირ უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგებს - მიღწევებსა და სიახლეების დანერგვას. ინოვაციურ პროცესებს სამეწარმეო საქმიანობა ქმნის, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციურ აქტიურობაზე. (Nevin, 2013) სამეწარმეო საქმიანობის ინოვაციური ხასიათის გაძლიერება საშუალებას იძლევა დავძლიოთ ჩამორჩენილობა პრაქტიკულად ყველა დარგსა და წარმოებაში.

საზოგადოების სამომხმარებლო ტენდეციების მკვეთრი ცვლილების ფონზე დღეს სამეურნეო სუბიექტის მიზანია არა მოგების მაქსიმიზაცია, არამედ გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა და ორგანიზაციის მდგრადობა. ამაში კი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკუთარი მეურნეობის პირობების ტრანსფორმირების შესაძლებლობა საზოგადოების სამომხმარებლო ტენდენციების განვითარებასთან და წარმოებასთან. სწორედ ამიტომ არის დღეს ინოვაციური

საქმიანობის განვითარება მეწარმეობის ფუნდამენტალური ნიშანი.

ბოლო ასი წლის განმავლობაში ინოვაციური აქტიურობის მთავარი გენერატორი ძალიან ბევრ ქვეყანაში გახდა **მცირე მეწარმეობა,** მიუხედავად მსხვილი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების ევოლუციისა და განვითარებისა, რომლებიც მიზანმიმართულად აწარმოებენ ახალ ტექნოლოგიებსა და ახალ ცოდნას. ინოვაციური პოტენციალის მცირე მეწარმეობა უზრუნველყოფს მრეწველობის დარგების სტრუქტურულ დივერსიფიკაციასა და ტრანსფორმაციას, განვითარების დინამიკას, რეგიონალურ განვითარებას, საზოგადოებაში დადებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ჩამოყალიბებას.

თუ კი ადრე ინოვაციური ციკლი ხორციელდებოდა ერთი კომპანიიის საზღვრებში, თანამედროვე დროში **ინოვაცია** წარმოადგენს რამდენიმე საწარმოს **კოოპერაციის** შედეგს, რომელშიც მცირე საწარმო მოიაზრება ახალი იდეების ძირითად წყაროდ. ინოვაციური პოტენციალის მცირე საწაროების ჩართვას კვლევებისა და შემუშავების პროცესში მივყავართ ინოვაციური პროცესების უფრო ეფექტიანი ორგანიზებულობისკენ და ბაზარზე კონკურენტუნარიანობისკენ.

მცირე მეწარმეობის ინოვაციური პოტენციალის ანალიზისას უნდა ავღნიშნოთ რომ მეწარმე, რომელიც ორიენტირებულია სიახლეების შემოღებაზე, განსხვავდება იმ მეწარმისგან რომელიც მხოლოდ მომხმარებლის საჭიროებებს ითვალისწინებს. მეწარმე, რომელიც არის ინოვატორი, წინასწარ უნდა ხედავდეს მომხმარებლის საჭიროებას და მოახდინოს სამომხმარებლო საჭიროების წინასწარი ადაპტირება. ასევე მან უნდა შეძლოს შეზღუდვების გარღვევა საწარმოს გარეთ არსებულ ტექნოლოგიურ სისტემაში. ამიტომ მეწარმეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა გამოგონების ფართო სპექტრთან და ცოდნის ფონდთან.

მცირე მეწარმეობის ინოვაციურ ხასიათზე ფართოდ საუბრობს თავის ნაშრომებში **პ. დრუკერი.** (Drucker, 1954) ის მეწარმეობას განიხილავს როგორც კონკრეტულ საქმიანობას, რომელიც მოიცავს სიახლის დანერგვას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის მართვაშიც. ა.ვ. ბუსიგინი (Бусыгин, 2000) კი განიხილავს მეწარმეობას, რომელიც ეფუძნება რისკსა და არსებული სამეურნეო კავშირების

სისტემაში ინოვაციურ მიდგომას, რომლის წარმოება და საქონლის გაყიდვა ბაზარზე ორიენტირებულია მოგების მიღებაზე. დრუკერის მსგავსად მეცნიერები ინოვაციის გამოვლინებას ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ხედავენ. მკვლევარები დიდ ყურადღებას უთმობენ მეწარმის მენეჯერულ თვისებებს და მენეჯმენტს.

შუმპეტერი მეწარმეობას განიხილავს, როგორც ადამიანის ხასიათის განსაკუთრებულ ფუნქციას, რომელიც არ არის დაკავშირებული არც მის კლასობრივ და სოციალურ კუთვნილებასთან. მეწარმის ფუნდამენტურ ფუნქციად ის თვლის ინოვაციას. მისი აზრით ბაზარი ინოვაციას სკეპტიკურად ეხება, მაგრამ თუ მეწარმე შეძლებს ინოვაციების გაყიდვას, მაშინ კონკურენციის მექანიზმი აძევებს ბაზრიდან მეწარმეს, რომელიც იყენებს მოძველებულ ტექნოლოგიას. მეწარმის ქვეშ ის გულისხმობს „სამეურნეო სუბიექტს, რომლის ფუნქციაა ახალი კომბინაციების განხორციელება“.

ცნობილი ეკონომისტები **კ. მაკკონელი** (Mcconnell, 2009) და ს. ბრიუ, მიიჩნევენ რომ მენეჯერული ნიჭისთვის დამახასიათებელია: გადაწყვეტილების მიღების უნარი, გამბედაობა, ინიციატივის და რისკის აღების უნარი, პასუხისმგებლობა და ნოვატორობა დანერგო მმართველობის ახალი ფორმები, მეთოდები და ტექნოლოგია. აწარმოო ახალი პროდუქტი, სადაც არ არის გარანტირებული მოგების მიღების შესაძლებლობა.

პიტერ დრუკერის აზრით მენეჯმენტს, თავისებურებეთან ერთად ახასიათებს ამოცანების და პრობლემების მსგავსებაც (Byrne, 2005). თუ კი მოძებნი მათ, იმ შემთხვევაში შესაძლებელია უფრო მეტად უნივერსალური ინსტრუმენტების შექმნა და გამოყენება.

მენეჯმენტის თემას ეხება ასევე ცნობილი იაპონელი მკვლევარი **იმაი მასააკი,** იაპონური მართვის თეორიის **„კაიზენის“** ფუძემდებელი.(Kaizen, 2000) მენეჯმენტის განვითარების აღმძვრელად ის მიიჩნევს პრობლემას ორგანიზაციაში და მის აღიარებას. იმაი მასააკი მიიჩნევს რომ პრობლემის არ არსებობის დროს არ არის განვითარების პოტენციალიც. (Kaizen, 1986) ის მნიშვნელოვნად მიიიჩნევს არა ტექნიკურ პრობლემებს, არამედ ურთიერთობლივ იერარქიულ პრობლემებს.

კაიზენის ფილოსოფიის მიხედვით ახალი იდეების გაჩენას და ორგანიზაციის განვითარების ალტერნატივებს ქმნის ურთიერთობლივი კონფლიქტები, როგორც ორგანიზაციის შიგნით ასევე მის გარეთ. უარყოფითი ასპექტის ზრდა იწვევს სისტემის გაუმჯობესების საჭიროებას. პრობლემა და შეუთავსებლობა პროგრესის მამოძრავებელი ძალაა. არ არის პრობლემა - არ არის პროგრესი. ორგანიზაციისთვის საჭირო გადაწყვეტილების მიღებას ასევე ასტიმულირებს ადამიანისა და ორგანიზაციის ინტერესების თავსებადობა, სადაც წახალისებულია პიროვნების ინიციატივა და არა შემსრულებლობა.(Bedeian, 2002)

იმაი მასააკი ასევე ამტკიცებს, რომ არ არსებობს სრულყოფილი დასასრული და ყველაფერი შეიძლება გაუმჯობესდეს. ადამიანებმა მუდმივად უნდა იზრუნონ ევოლუციისა და ინოვაციებისკენ. კაიზენის ძირითადი პრინციპის მიხედვით ადამიანები, რომლებიც ასრულებენ გარკვეულ დავალებებს და აქტივობებს, არიან ყველაზე მცოდნე ამ ამოცანის/აქტივობის შესახებ, აქედან გამომდინარე მათ შეუძლიათ ცვლილების განხორციელების მიზნით საუკეთესო სტრატეგია შექმნან.

შვედი მწერლისა და სპიკერის, პოპულარული წიგნის "The Idea"-ს ავტორის, **ფრედრიკ ჰარენის** განმარტებით, მართვის სისტემებში წინააღმდეგობების გადასაჭრელად პიროვნებას უნდა გააჩნდეს ცოდნა, პლიუს ინფორმაცია. ჰარენის აზრით იდეა უნდა იყოს პოტენციური სარგებლის მომტანი მოსაზრება. ინოვაციები წარმოიშობა მაშინ, როდესაც იქმნება ახალი ღირებულება, რომელიც აისახება საბოლოო პროდუქტის თვისებებზე. (Haren, 2006) ცოდნა ფასეულობების და გამოცდილების, ინფორმაციის ფლობის ერთბლიობაა, რომელიც განაპირობებს ადამიანებს შორის ურთიერთობის შესაძლებლობას.

ინოვაციური მეწარმეობა დამოკიდებულია მუშა მოსამსახურის საწარმოო ინოვაციური აქტიურობის დონეზე, რომელშიც იგულისხმება მუშა მოსამსახურეების საქმიანობის ფორმები, სადაც გაზრდილია მათი ინიციატივები, სიახლეების შემოღება, დამოუკიდებლობის ინტენსივობა.

ადამიანის ბუნებრივ მონაცემებთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია რამდენად კარგად იყენებს ინსტრუმენტებს ოსტატი და რამდენად კარგია მისი ცოდნის დონე, როგორია მისი უნარჩვევების ფლობის ხარისხი და როგორ იყენებს მათ.

ანალიტიკური და ინოვაციური აზროვნება ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს და სტრატეგიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს მეწარმეობაში.

**მიზნობრივი ინოვაციების** დაკვეთის საჭიროებიდან გამომდინარე გაჩნდა მუშაობის საჭიროება შემოქმედებითი აზროვნების, შესაძლებლობების ზრდის მეთოდებზე. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს **კრიტიკული კრეატიულობის** უნარი (Changwong, 2018)(CCA - Critical Creative Ability) - ეს არის ორგანიზაციის ინტელექტუალური რესურსების მინიმალური რაოდენობა, რომელსაც შეუძლია სხვა თანაბარ პირობებში მოიფიქროს, დაგეგმოს და განახორციელოს ორგანიზაციისთვის რაღაც სასარგებლო.

მოქნილი შემოქმედებითობა გვიჩვენებს თუ რამდენად მაღალია ორგანიზაციის სპეციალისტთა კვალიფიკაცია, თუ როგორ ფლობენ ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებს, ძალუძთ თუ არა მათ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალით ორგანზიაციას შეუქმნან ახალი შესაძლებლობები.

თუ შემოქმედებითობა მოქნილია ერთეული ცვლილებისთვის საჭიროა ერთი სპეციალისტი დარგის მიხედვით. თუ შემოქმედებითობა მოუქნელია მაშინ ერთეულოვან ცვლილებას სჭირდება ერთ სპეციალისტზე მეტი. მაჩვენებელი გვიჩვენებს სტრუქტურის მთლიანი შემოქმედების მარგ ქმედებას, უნარს დახმარების გარეშე შეინარჩუნოს სიცოცხლისუნარიანობა და განვითარება, რომელიც გულისხმობს ახალ პროცესებს და პროდუქტებს.

სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში არსებობს შემოქმედებითი აზროვნების ზრდის სხვადასხვა მეთოდი. მათ შორის გამოყენებადი და პუპარული მეთოდებია:

- **ფრიც ცვიკის,** როდესაც საგამომგონებლო სიტუაციის სიმულირება ხელოვნურად ხდება; (Zwicky, 1969)
- ალექს ოსბორნის, **Brainstorming** (გონებრივი იერიში), რომელიც შემოქმედებითობის აქტივიზაციას ახდენს აუდიტორული ეფექტიანობის დახმარებით;(Osborn, 1966)
- **კოლუმბის მეთოდი** (ეძებდა ინდოეთს და აღმოაჩინა ამერიკა). აქ წინასწარ არ არის შერჩეული რისი გაუმჯობესება სჭრიდება კომპანიას, მიზნად ისახება საბოლოო შედეგის მიღწევა. მთავარი მისი

გაუმჯობესებაა, რა გზით და როგორ სულერთია;

- **ჰამლეტის მეთოდი** - სისტემაში შესაძლო კომბინაციის არსებული შეუთავსებლობა უნდა გამოვლინდეს და შემდეგ სრულიად კონკრეტული ამოცანების ამოხსნით. (Shavinina, 2009)

კრეატიულობის ზრდის ეს მეთოდები ისწავლება დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში. ჩამოთვლილ ყველა მეთოდს თანამედროვე პერიოდში ასევე დაემატა საგამომგონებლო ამოცანათა ამოხსნის თეორიაც (**TRIZ - Theory of Inventive Problem Solving**), (Altshuller, 1999) პრობლემის გადაჭრის ფილოსოფია, რომელიც დაფუძნებულია ლოგიკაზე, მონაცემებსა და კვლევებზე და არა ინტუიციაზე. **TRIZ** ძალიან აქტუალური ხდება ეკონომიკისა და ბიზნესის წამყვან ორგანიზაციებშიც.

საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში შემოქმედებითი აზროვნების ზრდის აღნიშნულ მეთოდებს ნაკლები ყურადღება ექცევა. რა თქმა უნდა ეს აუცილებლად აისახება საზოგადოების კრეატიული აზროვნების მაჩვენებლებზე. ამ მიმართულებით მსოფლიოში უკვე დაგროვილი ცოდნის უგულებელყოფა ვერ მოქვცემს ჩვენ მნიშვნელოვან წინსვლას, კადრების კონკურენტუნარიანობას და რაიმე სერიოზული გარღვევის შესაძლებლობას.

პიტერ დრუკერს რომ დავუბრუნდეთ, ეკონომიკური უპირატესობის გარანტიად ის მიიჩნევს ადამიანური და პირველ რიგში ინტელექტუალურ რესურსებს. სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება ადამიანის მაქსიმალური კრეატიულობის, მთელი საგამომგონებლო ნიჭისა და უნარის მობილიზების საფუძველზე ხდება. საწარმოში სხვა რესურსების ეფექტიანობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ადამიანური რესურსების გამოყენების მარგ ქმედებასა და ეფექტიანობაზე.

დრუკერისთვის ასევე საკვანძო პრობლემას წარმოადგენს მუდმივად ცვალებად სივრცეში მოქნილობა და სწრაფი ადაპტაციის უნარი. მისი აზრით ცვლილებების წინსწრება შესალებელია. 21-საუკუნეში სიცოცხლისუნარიანია ის ორგანიზაცია ვინც შეძლებს ცვლილებების ტენდენციის ამოცნობას და მასთან შეგუებას. ( Innovation and entrepreneurship: Practice and Principles, 1985)

მისი აზრით, ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს საბაზრო ცვლილებებზე სწრაფი რეაქციის და უმტკივნეულო ადაპტაციის უნარი, მაგრამ ამავე დროს უნდა შეეძლოს საკუთარი პროცესების შექმნაც.

ლონდონის ბიზნეს სკოლის პროფესორი, ლინდა გრატონი, დრუკერის მსგავსად, ინოვაციის შემაფერხებელ ფაქტორად სტანდარტულ, კონკურენტულ და პროგნოზირებად ეკონომიკურ გარემოს მიიჩნევს, რასაც **„დიდ ყინვას“** ეძახის (**The Big Freeze**). (Gratton, 2007) მისი აზრით ინოვაციური იდეები წარმოიშობა „ცხელ წერტილებში“ (**Hot Spots**). მისი თეორიის მიხედვით ცხელ წერტილებს უჩვეულო ენერგია ბადებს, და ამ დროს კომპანიის შიგნით და გარეთ მყოფი ადამიანები სხვადასხვა ფორმით ამყარებენ ერთმანეთთან კონტაქტს. ამ დროს მნიშვნელოვანია მუშაკებს ჰქონდეთ მაპროვოცირებელი მიზანი, რომელიც შედგება მაპროვოცირებელი ხედვის, მაპროვოცირებელი კითხვისა და მაპროვოცირებელი ამოცანისაგან.

**შეგვიძლია** დავასკვნათ რომ, ინოვაცია წარმოადგენს, როგორც სამეცნიერო და მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის საბოლოო შედეგს, ასევე პროცესს. ინოვაციის პროცესი სასარგებლო პროდუქტის აღმოცენების, შემუშავების, ადაპტაციისა და გამოყენების პროცესია, რომელსაც ახასიათებს **ხანგრძლივობა**, რამდენადაც ინოვაცია წარმოადგენს უფრო ხანგრძლივ პროცესს სხვა ბიზნეს-პროცესებთან შედარებით, **კომპლექსურობა**, რამდენადაც თავის თავში აერთიანებს კვლევებსა (მეცნიერება) და ბიზნესს და **გაურკვევლობა,** რომელიც ქმნის საბოლოო შედეგების არაპროგნოზირებას.

ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და მეთოდებს განსაზღვრავს **სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა**, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შეძლებს სამამულო ინტელექტუალური პოტენციალის, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად.

გლობალური კონკურენციის გამძაფრების პირობებში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური ზრდის მასშტაბების, მდგრადობისა და ინოვაციური განვითარების დინამიზმის მიღწევა.

საქართველო უნდა გადავიდეს განვითარების ინოვაციურ სტადიაზე, რათა არ მოხდეს ქვეყნის ეკონომიკის ტექნიკური ჩამორჩენა. სწორედ ამიტომ პრიორიტეტი უნდა იყოს ინოვაციური პროცესების გააქტიურება ეკონომიკის მეცნიერებატევად დარგებში, რომელიც ეკონომიკური პროგრესის წყაროა.

აქტიური ინოვაციური პოლიტიკა საჭიროებს მუდმივ განვითარებას, სამართლებრივი ბაზის სრულყოფას. ეკონომიკურ პოლიტიკაში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ეფექტიანი ინოვაციური ტექნოლოგიების ძიება, ალტერნატიული რესურსების აქტივიზირება, ინოვაციური პროდუქტების შემუშავება და ასე შემდეგ.

წარმატებული სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, ნიშნავს მისი რეალიზაციის მეთოდების შემუშავებას, სოლიდური თანხების ხარჯვას ინოვაციურ იდეებსა და პროექტებზე, წარმოების საბაზისო ფაქტორების ინტელექტუალიზაციის დონის ამაღლებაზე.

ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად უნდა მოხდეს ეკონომიკის ტრანსფორმაცია, მოდერნიზაცია, რაც ნიშნავს მცირე მეწარმეობის ინოვაციური პოტენციალის როლის გაზრდას და ამ სექტორის განსაკუთრებული ნიშნების გაჩენას ეკონომიკაში. დღეს, ჩვენ უფრო აქტიურად უნდა მოვითხოვოთ მეწარმეობისგან ინოვაციებსა და ინოვაციურ პროცესებში ჩართვა. მცირე მეწარმეობის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია სიახლეების დანერგვის სიჩქარეზე, საწარმოების რეაქციაზე კონკურენტების მიერ შემოღებულ სიახლეებზე, ინოვაციების პროგნოზირების შესაძლებლობებზე, მეწარმეობაში რისკის გაწევაზე.

მცირე მეწარმეობამ უპირატესობის შესანარჩუნებლად წარმოების უწყვეტი მოდერნიზება უნდა შეინარჩუნოს. ამისთვის აუცილებელია წარმოების უწყვეტად განვითარება, მომდევნო წესრიგის უპირატესობაზე

გადასვლა, რომელშიც იგულისხმება გამრღვევი ტექნოლოგიები, სტრატეგიული ინოვაციები, შრომის, მარკეტინგის, წარმოების ორგანიზების ახალი შესაძლებლობები.

## 1.2 მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში

როგორც ავღნიშნეთ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი ინოვაციური მეწარმეობაა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მოგების მიღება ინოვაციების შექმნითა და აქტიური გავრცელებით ეროვნულ მეურნეობაში. ის ეფუძნება მოქმედი საწარმოს განვითარების ახალი გზების ძიებას ან ახალის, ინოვაციებზე ორიენტირებული საწარმოს შექმნას.

ინოვაციური პოტენციალის საწარმო ძირითადად წარმოდგენილია მცირე საწარმოების სახით, რომელსაც შესწევს უნარი კონკურენცია გაუწიოს ბაზარზე უფრო მსხვილ საწარმოებს, რადგან მას მარტივად შეუძლია მოერგოს მომხმარებელთა ახალ მოთხოვნებს და სწრაფად შეცვალოს ორიენტაცია, რაც მისი გადარჩენის წინაპირობაა.

მცირე ბიზნესი განვითარებული ქვეყნების სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა და მთავარი დამსაქმებელია. დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მონაცემებით, მცირე ბიზნესი აწარმოებს ამ ქვეყნების მშპ-ს ნახევარზე მეტს და ასაქმებს 60%-ს (Evans D, 1987).

მცირე ინოვაციური პოტენციალის მქონე ბიზნესის განვითარებას წარმატებით შეუძლია გადაწყვიტოს შემდეგი პრობლემები: კონკურენტული ცივილიზებული ურთიერთობების ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების საჭიროების უკეთ დაკმაყოფილებას, საქონლის ასორტიმენტის გაფართოება, საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, კონკრეტულ მომხმარებელთან საქონლისა და მომსახურების წარმოების დაახლოება, უმუშევრობის დონის შემცირება, ადამიანების შემოქმედებითი შესაძლებლობების უფრო ეფექტიანი გამოყენება, ადამიანების ტალანტების აღმოჩენა, ხელოვნების

სხვადასხვა სახეების განვითარება, ეროვნული მრეწველობის განვითარება, მოსახლეობის იმ ჯგუფის ჩართვა სამუშაო საქმიანობაში, რომლებიც ვერ ერთვებიან მსხვილ წარმოებაში. (დიასახლისები, პენსიონერები, ინვალიდები, მოსწავლეები). კერძო მესაკუთრეთა სოციალური ფენის ჩამოყალიბება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აქტივიზაცია, ადგილობრივი ნედლეულის ათვისება და გამოყენება, ასევე მსხვილი საწარმოს ნარჩენების ათვისება. მსხვილი საწარმოების საქმიანობასთან ერთად დამხმარე და მომსახურე საწარმოების შექმნა, სახელმწიფოს განთავისუფლება დაბალრენტაბელური და წამგებიანი საწარმოებისაგან. (Freemen, 1982)

ამიტომ მცირე ბიზნესის ინოვაციურობის მნიშვნელობის დაზუსტება და ამ პრობლემატიკის კვლევა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ის შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ფაქტორი საქართველოში ახალი ტექნოლოგიების გავრცელებისა და მისი ეკონომიკის გადასვლისა განვითარების ინოვაციურ გზაზე.

მცირე ბიზნესი და მცირე მეწარმეობა შეიძლება ითქვას რომ ერთი და იგივე მცნებებია. მცირე საწარმო, როგორც კატეგორია პირველად მოიხსენა 1931 წელს დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა, ხოლო აშშ-ში მისი განმარტება გამოჩნდა კანონში 1948 და 1953 წელს „მცირე ბიზნესის შესახებ".

თანამედროვე ეკონომიკურ ლექსიკონში (Pearce, 1987) მეწარმეობა - ეს არის ინიციატივიანი, დამოუკიდებელი, საკუთარი სახელით განხორციელებული, საკუთარი რისკის გაწევით, საკუთარი ქონების პასუხისმგებლობით მოქალაქეების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა, მიმართული მოგების და შემოსავლის სისტემურ მიღებაზე, რომელიც მიიღება ქონების, საქონლის, შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების გაყიდვით.

საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ" სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, 1994). მეწარმეობის განმარტება საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ" არ ითხოვს ნოვატორობას. მაგრამ შემოდის რისკის საკუთარ თავზე აღების მოთხოვნა. ყველა შემთხვევაში თანამედროვე მეწარმეობა შეიძლება განვიხილოთ,

როგორც ახალი შესაძლებლობების რეალიზაცია, დასახული მიზნების მისაღწევად.

ტერმინი ბიზნესი ხშირად განიმარტება როგორც საქმიანობა, რომლის მიზანია მოგების მიღება. ინგლისური ტერმინის თარგმანიდან ბიზნესი აღნიშნავს საქმიან ცხოვრებას. ქართულ ლექსიკონებში ბიზნესი იგივე კომერციული და სამეწარმეო საქმიანობაა, რაც შემოსავლის წყაროდ არის ქცეული. რადგანაც ტერმინი მეწარმეობა და ბიზნესი ერთიდაიგივე მნიშვნელობისაა, მოცემულ ნაშრომში ისინი ერთმანეთს ჩაანაცვლებენ.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში და პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული მცირე ბიზნესის ერთიანი და უნივერსალური განმარტება. ცალკეული სახელმწიფო გამომდინარე მისი ეკონომიკის ეროვნულობიდან, საწარმოო გრადაციიდან, დარგობრივი კულტურიდან გამომდინარე ადგენს მცირე საწარმოს ზომის თავის კრიტერიუმებს. ხვადასხვა მიზნებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა განმარტებები, კონკრეტული და სპეციფიკური ამოცანებიდან გამომდინარე. მცირე ბიზნესის სუბიექტების ზუსტი იდენტიფიკაცია, როგორც ავღნიშნეთ აუცილებელია მათი ეფექტიანი მხარდაჭერისთვის.

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკაში არსებობს კრიტერიუმების რაოდენობა, რომელიც ეხება მცირე საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და დაახლოებით 50-ს ითვლის. მოვიყვანოთ რამდენიმე მეტად ცნობილი მაგალითები, რომლებიც ვრცელდება განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებში. (Kaldor, 1966)

მაგალითად **აშშ-ში** ძირითადი კრეტერიუმი, რომელიც ეხება მცირე ბიზნესის საწარმოს, არის დამოუკიდებელი მესაკუთრეების მიერ მართული ბიზნესები, რომლებიც არ დომინირებენ ბაზარზე. ამერიკული სტანდარტებით მცირე საწარმოს მიეკუთვნება საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა საქმიანობის სახეობის მიუხედავად დადგენილია საზღვრებში: 100, 500, 750, 1000 და 1500 ადამიანი. რომლის წლიური შემოსავლის მოცულობა დადგენილია საზღვრებში 0.75 მილიონიდან 20 მილიონ დოლარამდე. (A Journal of the Regioal studies, 2018).

**ევროკავშირში** მცირე საწარმოს შეგვიძლია მივაკუთვნოთ საწარმო, სადაც დასაქმებულია 49 ადამიანი. დამატებითი კრეტერიუმები საწარმოსთან

დაკავშირებით, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ მცირეს, ევროკავშირის კლასიფიკაციით წარმოადგენს საქონელბრუნვის მაჩვენებელს, რომელიც არ აღემატება 40 მილიონ ევროს, ან აქტივების საბალანსო ღირებულება რომელიც არ აღემატება 27 მილიონ ევროს. მნიშვნელოვან კრიტერიუმებს მიეკუთვნება მცირე საწარმოების ეკონომიკური დამოუკიდებლობა. თუმცა სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში რაოდენობრივი კრიტერიუმები მნიშვნელოვნად განსხვავდება.

**ავსტრიის** კრიტერიუმების მიხედვით მცირე საწარმოებს მიეკუთვნება შემდეგი საწარმოები: დასაქმებულთა რაოდენობა 50 ადამიანი, წლიური შემოსავალი არა უმეტეს 5 მილიონი ევრო, ან აქტივების საბალანსო ღირებულება არის არა უმეტეს 2 მილიონი ევრო. ორივე შემთხვევაში საწარმოს მესაკუთრეებში საგარეო მესაკუთრეების წილი არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს. (Reseach policy, 2015)

**შვედეთში** მცირე საწარმოების კლასიფიკაციისათვის გამოიყენება რიგი სხვადასხვა მაჩვენებლები:

- ზრდის სტადია (დაწყებითი, გადარჩენა, ზრდა);
- გეოგრაფიული მასშტაბი (ლოკალური, რეგიონალური, ეროვნული);
- დარგობრივი მიკუთვნილება;
- მესაკუთრეების სპეციფიკა (ქალი მეწარმეები, უცხოელები);
- პრობლემების ტიპოლოგია (პროდუქციის ხარისხის მართვა, ფინანსირება და ასე შემდეგ).

**გერმანიაში** მცირე საწარმოს ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს დასაქმებულთა რაოდენობა, დაზოგილი კაპიტალისა და წლიური ბრუნვის მოცულობა. მცირე საწარმოს მიეკუთვნება ორგანიზაცია 49 დასაქმებულით, 5 მილიონი ევრო კაპიტალით და წლიური ბრუნვით 7 მილიონი ევრო. ფირმებს უნდა მართავდნენ იურიდიულად დამოუკიდებელი მფლობელები, რომლებიც უკლებლივ მონაწილეობენ წარმოებაში, მთლიანად იღებენ თავიანთ თავზე ეკონომიკურ რისკს და აფინანსებენ თავიანთ საქმიანობას, როგორც წესი საკრედიტო საშუალებების დახმარების გარეშე.

**პორტუგალიაში** მცირე საწარმოს მიეკუთვნება საწარმო, რომელიც წარმოდგენილია მატერიალური წარმოების სფეროში, მაგალითად სამთო

მრეწველობაში და მომსახურებას უწევს სხვა საწარმოებს. ასევე საწარმოები, რომლებიც მოქმედებენ საბითუმო და საცალო ვაჭრობაში. წლიური ბრუნვა მცირე საწარმოებში არ უნდა აღემატებოდეს 12,3 მილიონ ევროს, ხოლო სხვა საწარმოების კაპიტალის წილი არ უნდა აღემატებოდეს 50 %-ს[6].

როგორც ვხედავთ დასავლეთის ქვეყნებში გამოიყენება სხვადასხვა კრიტერიუმები მცირე ბიზნესის გამოსახატავად. უნივერსალური კრიტერიუმები მცირე საწარმოების გამოსაყოფად, რომელიც საშუალებას მოგვცემს შეუცდომლად დავახარისხოთ საწარმო,რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობს.

კრიტერიუმების ასეთი მრავალრიცხოვნობა განაპირობებს გამოვყოთ უფრო ტევადური და განზოგადებული განსაზღვრება მცირე ბიზნესისათვის, როგორც რაოდენობრივი ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ ძირითადი, უფრო ხშირად გამოყენებადი კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს დარგის მიხედვით მცირე ბიზნესის კატეგორიაში:

- საანგარიშო პერიოდში მომუშავე დასაქმებულების საშუალო რაოდენობა;
- საწესდებო კაპიტალის ოდენობა;
- აქტივების მოცულობა;
- ყოველდღიური ბრუნვის მოცულობა (შემოსავალი, მოგება).

მცირე საწარმოს ინოვაციური განვითარებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია მისი კატეგორიზაცია, რათა მიიღოს გარკვეული სახელმწიფო მხარდაჭერა: საგადასახადო და სხვა შეღავათები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გზას დაადგა. ახალი სახელმწიფო მთელი რიგი გამოწვევების წინაშე იდგა, ქვეყანას არ ჰქონდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად არანაირი ცოდნა და გამოცდილება. მოიშალა ძველი ეკონომიკური კავშირები, მორალურად და ფიზიკურად გაცვდა საწარმოები და ეკონომიკა სრულად ჩამოინგრა. მოსახლეობამ სტიქიურად, გაუცნობიერებლად დაიწყო მცირე ბიზნესის კეთება,

[6] https://mpra.ub.uni-muenchen.de/5408/1/MPRA_paper_5408.pdf

რამაც დღემდე ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების საკითხში სათანადო ადგილი სამწუხაროდ ვერ დაიმკვიდრა.

მცირე ბიზნესის ფორმირების **პირველი ეტაპია** 1991-1999 წლები, როდესაც მივიღეთ კანონი „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ" და რომლის საფუძველზეც 1992 წლიდან დაიწყო სახელმწიფო ქონების პრივატიზება საბჭოური მცირე საწარმოებით. მცირე საწარმოების მასობრივმა პრივატიზაციამ პიკს 1995-96 წლებში მიაღწია, ხოლო თავად ეს პროცესი 2000 წლამდე გაგრძელდა. სწორედ ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო სხვადასხვა კანონები კერძო სექტორის ჩამოყალიბების და მეწარმეობის განვითარების ხელშესაწყობად.

1994 წელს მიღებულ იქნა კანონი „მეწარმეთა შესახებ", რომლის შესაბამისად 1995 წლის 1 მარტამდე კერძო სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები დაექვემდებარა ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე. რეგისტრაცია მოხდა საჯარო რეესტრში რაიონული სასამართლოების ნებართვით, რომელიც 1994 წელს შეიქმნა. ბევრმა დამწყებმა მცირე ბიზნესმა სახსრების უქონლობის გამო ვერ მოასწრო მეორადი რეგისტრაციის გავლა და გაუქმებულად გამოცხადდა. ამ პროცესმა შეუწყო ხელი ჩრდილოვანი ეკონომიკის გაკონტროლებას და კანონიერ ჩარჩოში მოქცევას, მაგრამ ხელი შეუშალა მცირე ბიზნესის ფორმირებას.

1999 წლამდე მცირე საწარმოების კრიტერიუმად სახელმწიფო სტატისტიკის მიხედვით ითვლებოდა დასაქმებულთა რაოდენობა დარგობრივ ჭრილში, რომელსაც მიეკუთვნებოდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვით - 50 კაცამდე, მშენებლობაში - 35 კაცამდე, განათლებისა და სამეცნიერო პროფილის ორგანიზაციებში - 30 კაცი, საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და მოსმახურების სფეროში - 20 კაცი, სხვა ორგანიზაციები 25 კაცი. აქედან გამომდიონარე მცირე საწარმოდ ითვლებოდა ის საწარმოები სადაც 1-დან 50-მდე იყო დასაქმებული.

მცირე ბიზნესის **მეორე ეტაპზე** 1999 წლიდან 2002 წლამდე, მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც მცირე საწარმოს შეფასების კრიტერიუმად დასაქმებულთა რიცხოვნობასთან ერთად აღიარებულ იქნა საწარმოს წლიური

ბრუნვის მაჩვენებელი დარგობრივ ჭრილში, რომელთა სტატისტიკური სიდიდეები განისაზღვრა 1-დან 40-მდე კაცით და 500-ათას ლარამდე წლიური ბრუნვით.

მცირე ბიზნესის **მესამე ეტაპია** 2002 წლიდან 2006 წლამდე. 2002 წელს მიღებულ იქნა კანონი „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ", რომლის მიხედვითაც მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განისაზღვრა დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და წლიური ბრუნვა: ა) მცირე საწარმოთათვის - 20 დასაქმებული და 500 ათასი ლარი, ბ) საშუალო საწარმოთათვის 100 დასაქმებული და 1 მილიონ 500 ათასი ლარი, რაც მოკლებული იყო დასაბუთებას. პრაქტიკამაც აჩვენა, რომ ვერც თავდაპირველმა, 1999 წლის და ვერც 2002 წლის შეცვლილმა კანონმა ვერ უპასუხა იმ დროის გამოწვევებს და მთავრობის სტრატეგიამ რომ ყველა ბიზნესი თანაბარ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, განაპირობა 2006 წლის ივლისში ამ კანონის გაუქმება.

2006 წლიდან 2011 წლამდე მცირე საწარმო არის ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რადოენობა არ აღემატება 20 კაცს, ხოლო წლიური ბრუნვა 500 000 ლარს.

2011 წლიდან ახალი საგადასახადო კოდექსით **მიკრო და მცირე** ბიზნესზე ვრცელდება სპეციალური **დაბეგვრის რეჟიმები.** მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და მის მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მცირე ბიზნესის სტატუსი კი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500 000 ლარს.

საქართველოს კანონით „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ":

- **მცირე საწარმო** – ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოა, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა - 500 000 ლარია. საწარმო არ

ჩაითვლება მცირედ თუ: ა) მისი საწესდებო კაპიტალის 25 პროცენტზე მეტი ეკუთვნის პირს (პირებს), რომელიც არ აკმაყოფილებს მცირე და საშუალო საწარმოთათვის ამ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს; ბ) მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბანკო, სადაზღვევო და სხვა ფინანსური საქმიანობა. (კანონი ეროვნული სანვესტიციო სააგენტოს შესახებ, 2002)

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონები ერთსა და იმავე ეკონომიკურ მოვლენას ანუ „მცირე ბიზნესს" და მის წარმომადგენელს ეკონომიკაში „მცირე საწარმოს" სტატუსს სხვადასხვა მახასიათებლებით განმარტავს.

სამწუხაროდ მცირე ბიზნესის ფორმირება განვითარებაში თითქმის 25 წლიანი პერიოდის გამოცდილების მიუხედავად არ არის მიღწეული არათუ მისი შესაძლებლობების, თვისებებისა და როლის ეკონომიკის ზრდაში გამოყენების მნიშვნელობა, არამედ ეკონომიკურად დასაბუთებული მისი სტატუსის განსაზღვრაც კი. (კაკულია, 2015)

2014 წლის 1 სექტემბრიდან იწყება მნიშვნელოვანი პერიოდი მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულებით. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ამოქმედდა ასოცირების შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ეს დოკუმენტი მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის დანერგვას ავალდებულებს პარტნიორ ქვეყნებს. მიუხედავად ამ ყველაფრისა ეროვნულ ეკონომიკაში მცირე ბიზნესის დამკვიდრების საქმეში მაინც არ არის დანერგილი ევროკავშირის პრინციპები და ინსტრუმენტები.

ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით 2017 წლამდე მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ. ლარს.

2017 წლიდან კი მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური

რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით საქართველოში რეგისტირებულია სულ 814,089 ორგანიზაცია, აქტიური სუბიექტია 202,125, საიდანაც კომერციული იურიდიული პირების რაოდენობა 80,217 - ია[7]. (იხ. ცხრილი №1) აქტიური სუბიექტებიდან ინდივიდუალური მეწარმე ყველაზე დიდი პროცენტით გამოირჩევა - 56.58%, რასაც მოსდევს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) 39.04%. ინდივიდუალურ მეწარმედ საქართველოში რეგისტრირებულია 474,644 ფიზიკური პირი, საიდანაც 114,361 აქტიური ფიზიკური პირია.

**ცხრილი № 1. საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციების რაოდენობა სამართლებრივი ფორმების მიხედვით. 2022 წელი**

| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | რეგისტრირებული სუბიექტი | | აქტიური სუბიექტი | |
|---|---|---|---|---|
| | სუბიექტთა რაოდენობა | % | სუბიექტთა რაოდენობა | % |
| **სულ** | **814,089** | **100.00** | **202,125** | **100.00** |
| **კომერციული იურიდიული პირები** | 298,653 | 36.69 | 80,217 | **39.69** |
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება | 287,292 | 35.29 | 78,904 | **39.04** |
| სააქციო საზოგადოება | 2,937 | 0.36 | 904 | **0.45** |
| სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება | 2,757 | 0.34 | 184 | **0.09** |
| კომანდიტური საზოგადოება | 186 | 0.02 | 18 | **0.01** |
| კოოპერატივი | 5,481 | 0.67 | 207 | **0.10** |
| **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები** | 29,286 | 3.60 | 3,875 | **1.92** |
| **ინდივიდუალური მეწარმე** | 474,644 | 58.30 | 114,361 | **56.58** |
| **სხვა** | 6,295 | 0.77 | 1,012 | **0.50** |
| **საჯარო სამართლის სუბიექტები** | 5,211 | 0.64 | 2,660 | **1.32** |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022 წელი. www.geostat.ge

[7] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წლიური პუბლიკაციების საქაღალდეში „ბიზნეს სექტორი საქართველოში“[8] გამოქვეყნებულია სტატისტიკური პუბლიკაციები, სადაც 2009 წლიდან 2018 წლის პუბლიკაციები დასათაურებულია როგორც „მეწარმეობა საქართველოში“, ხოლო 2018 წლიდან „ბიზნეს სექტორი საქართველოში“. აქვე ავღნიშნავ, რომ ისევ გვხვდება ტერმინთან ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება.

მცირე საწარმოების წილი ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებაში 2016-2017 წლებში 10%-მდეა. მცირე საწარმოს გაანგარიშების მეთოდოლოგიის შეცვლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 40%-მდე იზრდება. გადავხედოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს მცირე საწარმოებში ინოვაციური პროცესების შესახებ.

2021 წელს მცირე ინოვაციურ საწარმოთა წილი, რომელთაც მიიღეს რაიმე სახის ფინანსური მხარდაჭერა 4.6%-ია, აქედან ადგილობრივი ხელისუფლებისგან მიიღო 12.5%-მა, საქართველოს მთავრობისგან 55.4%-მა, ევროკავშირის ინსტიტუტებიდან 5.9%, სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან 26.2%. საგადასახადო შეღავათები 2021 წელს 6.5%-მა მიიღო, მათ შორის საგადასახადო შეღავათები კვლევებისა და განვითარებისათვის (R&D) ან სხვა ინოვაციური საქმიანობისათვის 24.4%-მა. საგადასახადო კრედიტები კი ყველა სხვა ტიპის საქმიანობისათვის მიიღო 75.6%-მა.

საწარმოები, რომლებიც ზოგადად თანამშრომლობენ სხვა საწარმოებთან ან ორგანიზაციებთან 7.4%-ია, მათ შორის კვლევებსა და განვითარებაზე თანამშრომლობს 8.4%, სხვა ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებით გარდა (R&D-ისა) 11.2%, ხოლო სხვა ნებისმიერ ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით 80.4%.

2021 წელს მომხმარებლების აქტიური მონაწილეობა პროდუქციის იდეის, დიზაინის შემუშავებასა და განვითარებაში, თანაშემოქმედება განახორციელა 26.1%-მა. სპეციალურად კონკრეტული მომხმარებლის საჭიროების

[8] https://www.geostat.ge/ka/single-categories/105/biznes-seqtori-sakartveloshi#

დასაკამაყოფილებად საქონელი შეიმუშავა 31.1%-მა, სტანდარტული საქონელი კი მომხმარებლებს იგივე გზით შესთავაზა 42.8%-მა.

საწარმოთა წილი, რომელთაც იყიდეს ან მიიღეს ლიცენზია პატენტზე ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლება (IPR) ჯამში 1.2%-ია, აქედან კერძო საწარმოს ან ფიზიკური პირებისგან იყიდა 62.3%-მა, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ან საზოგადოებრივი კვლევითი ორგანიზაციებისგან 37.7%-მა. საწარმოთა წილი, რომელთაც შეიძინეს დანადგარები მოწყობილობები და პროგრამული უზრუნველყოფა 12 %-ია.

**ცხრილი № 2. საწარმოთა წილი, რომელთაც განახორციელეს ინოვაციები ბიზნეს პროცესებში, 2021 წელს. (პროცენტებში)**

| | |
|---|---|
| ახალი /გაუმჯ. საქონლის წარმოების, განვითარების ან მომსახურების მიწოდების მეთოდები | 18.8% |
| ახალი /გაუმჯ. ლოჯისტიკის, მიწოდებისა და დისტრიბუციის მეთოდები | 13.5% |
| ახალი /გაუმჯ. ინფორმაციის დამუშავების ან კომუნიკაციის მეთოდები | 16.7% |
| ახალი/გაუმჯ. ბუღალტრული აღრიცხვის ან სხვა ადმინისტრაც. ოპერაციების მეთოდები | 13.9% |
| ახალი /გაუმჯ. პროცედურების ან საგარეო ურთიერთობების ორგანიზების ბიზნეს პრაქტიკა | 8.9% |
| ახალი /გაუმჯ. სამუშაო პასუხისმგებლობის ორგანიზების, გადაწყვეტილების მიღების ან ადამიანური რესურსების მართვის მეთოდები | 12.4% |
| ახალი /გაუმჯ. რეკლამირების, შეფუთვის, ფასების, პროდუქტის განთავსების ან გაყიდვების შემდგომი მომსახურების მარკეტინგული მეთოდები | 15.8% |
| **სულ** | **100.%** |

**წყარო**: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021. www.geostat.ge

ინოვაციები ჭარბობს შემდეგ ბიზნეს პროცესებში: მომსახურების მიწოდების მეთოდები (18.8%); ინფორმაციის დამუშავების და კომუნიკაციის მეთოდები (16.7%); რეკლამირება, შეფუთვა და მარკეტინგული მეთოდები (15.8%).

**ცხრილი № 3. საწარმოთათვის შემუშავებული ბიზნეს პროცესების ინოვაციები 2021 წელს. (პროცენტებში)**

| | |
|---|---|
| უშუალოდ თქვენმა საწარმომ | **62.5%** |
| თქვენმა საწარმომ სხვა საწარმოებთან ან დაწესებულებებთან ერთად | 16.3% |
| თქვენმა საწარმომ განახორციელა სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული საქონლის/მომსახურების ადაპტირება - მოდიფიცირება | 9.3% |
| სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ | 11. |

| | |
|---|---|
| | 9% |
| **სულ** | **100.0%** |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021. www.geostat.ge

2021 წელს ინოვაციები საწარმოების უმრავლესობამ თავად შეიმუშავა (62.5%). სხვა საწარმოებთან ან დაწესებულებებთან ერთად მხოლოდ 16.3%-მა.

**ცხრილი № 4. საწარმოთა განაწილება განხორციელებული ინოვაციური საქმიანობის ტიპების მიხედვით 2021 წელს. (პროცენტებში)**

| | |
|---|---|
| ახალი/გაუმჯ.პროდუქტების/პროცესების დასრულებული და დაუნერგავი საქმიანობები | 22.3% |
| მიმდინარე ინოვაციური საქმიანობები 2021 წლის ბოლოსათვის | 29.3% |
| შეწყვეტილი ინოვაციური საქმიანობები | 16.6% |
| საკუთარი კვლევები და განვითარება (R&D) | 16.1% |
| გარე კვლევები და განვითარება | 15.7% |
| **სულ** | **100.0%** |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021. WWW.GEOSTAT.GE

ცხრილში კარგად ჩანს რომ, საკუთარი კვლევები აქვს 16.1%-ს, მიმდინარე ინოვაციური საქმიანობები 29.3%-ს. შეწყვეტილი ინოვაციეური საქმიანობა 16.6%-ს.

**ცხრილი № 5. ინოვაციური საქმიანობისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების მნიშვნელობა კატეგორიების მიხედვით 2021 წელს (პროცენტებში)**

| | მაღალი | საშუალო | დაბალი | უფაქტორო |
|---|---|---|---|---|
| შიდა ფინანსური რესურსების ნაკლებობა | 21.5% | 15.5% | 10.5% | 8.3% |
| კრედიტის ან კერძო კაპიტალის ნაკლებობა | 12.1% | 12.3% | 4.7% | 10.3% |
| სირთულეები სახელმწიფო გრანტების/სუბსიდიების მიღებისას | 8.2% | 6.8% | 10.7% | 10.5% |
| ძალიან მაღალი ხარჯები | 22.0% | 14.1% | 9.5% | 8.6% |
| საწარმოში კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა | 5.3% | 8.4% | 11.1% | 10.4% |
| პარტნიორების მოძიების სირთულე | 6.9% | 7.7% | 10.1% | 10.5% |
| გარე ცოდნაზე ხელმისაწვდომობის სირთულე | 3.1% | 6.8% | 11.0% | 10.8% |
| იდეაზე გაურკვეველი საბაზრო მოთხოვნა | 3.3% | 6.4% | 10.9% | 10.9% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ბაზარზე დიდი კონკურენცია** | 14.7% | 14.2% | 11.1% | 8.9% |
| **სხვადასხვა პრიორიტეტები საწარმოში** | 3.0% | 7.9% | 10.5% | 10.7% |
| **სულ** | **100.0%** | **100.0%** | **100.0%** | **100.0%** |

**წყარო**: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021. www.geostat.ge

როგორც ვხედავთ, ინოვაციური საქმიანობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორებია: მაღალი ხარჯები, შიდა ფინანსური რესურსების ნაკლებობა, ბაზარზე დიდი კონკურენცია, კრედიტი და კერძო კაპიტალის ნაკლებობა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის არაეფექტიანობის ზრდას ასევე ხელს უწყობს არაფორმალური ეკონომიკა[9]. როგორც სხვა ქვეყნებში, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი საქართველოშიც საკმაოდ მაღალია და 30%-დან 70%-მდე მერყეობს[10]. მსხვილი ბიზნეს სუბიექტები მონოპოლიურად აკონტროლებენ ბაზრის მომგებიან სფეროებს. მსხვილი ბიზნესი ახერხებს მისთვის სასარგებლო საკანონდებლო გარემოსა და სხვა სახელმწიფო მხარდაჭერების სისტემების (სატენდერო და საგრანტო პროგრამები) უზრუნველყოფას, რაც გამორიცხავს მცირე საწარმოების განვითარების პერსპექტივას.

როგორც ავღნიშნეთ ინოვაციური პოტენციალის მცირე საწარმოები კრიზისულ სიტუაციებში ამცირებენ სოციალურ გაურკვევლობას. ეკონომიკური კრიზისის პირობებში მცირე ინოვაციური საწარმოები ახალი ტექნოლოგიების გზამკვლევია და ეკონომიკის განვითარებას ინოვაციური მიმართულებით ახდენს. მისი უპირატესობაა ადგილობრივ ბაზრებთან სიახლოვე და კლიენტების მოთხოვნილებებზე მორგება, მცირე პარტიებით წარმოება, რაც მსხვილი ფირმებისათვის არ არის მომგებიანი.

მცირე მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. იმისდა მიუხედავად, რომ მცირე საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.

---

[9] https://www.eugb.ge/uploads/content/N1/1-11.pdf
[10] https://duf-obozrenie.ru/ka/dengi-i-gosudarstvo/privet-student-ponyatie-vidy-i-formy-tenevoi-ekonomiki.html

## 1.3 მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების შემაფერხებელი მიზეზები და ფაქტორები

იმისათვის, რომ დავადგინოთ ძირითადი მიზეზები, მცირე ინოვაციურმა ბიზნესმა რატომ არ მიიღო საკმარისი განვითარება საქართველოში, აუცილებელია გავაანალიზოთ და შევაფასოთ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა ამ მიმართულებით და ეკონომიკური პოლიტიკის დოკუმენტები.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საკონტროლო და კანონშემოქმედებით საქმიანობიას, ასევე ქვეყნის ეკონომიკური, მათ შორის დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი, კერძოდ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი. კომიტეტს საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოჰყავს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან. (დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის დებულება, 2018) ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიმართულებებში შეგვიძლია გამოვყოთ მეწარმეობისათვის და ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის სტიმულირების მიმართულება. (დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის დებულება, 2018) კომიტეტის საქმიანობა ძირითადად მოიცავს საკომიტეტო მოსმენებს ეკონომიკის საკითხებზე. (დარგობრივი ეკონომიკის საქმიანობის ანგარიში, 2019) აღსანიშნავია კომიტეტის მიერ შემუშავებული კანონი - **„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“,** (დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის საქმიანობის ანგარიში, 2021) რომლის ფორმატში, კომიტეტი, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით ახორციელებს საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ტენდენციებისა და პროგნოზების განხილვას. კომიტეტი

პერიოდულად ატარებს თემატურ მოკვლევებს[11] სხვადასხვა ეკონომიკურ საკითხებზე.

**კომიტეტის საქმიანობაში შედის**[12] რეგულაციების გავლენის შეაფასების (**RIA**- Regulatory Impact Assessement) სისტემის ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში, როგორც პოლიტიკის შექმნის ეფექტური ინსტრუმენტი, რაზეც ამ ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება მინდა გავამახვილო.

**საკანონმდებლო** პროცესებში რეგულაციების გავლენის შეფასება არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შექმნის პროცესი, რომელიც უკეთესი რეგულაციების შემუშავების შესაძლებლობას იძლევა.

ამ პროცესის დროს შემოთავაზებული პოლიტიკის მოსალოდნელი გავლენის დადგენა და შეფასება კეთდება ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა ხარჯ-სარგებლის ანალიზი. ასევე ხდება შედარების პროცესი, რომელიც ეყრდნობა არსებული პრობლემის გადაჭრისთვის დასახული ამოცანების შესასრულებლად „რეალისტური ალტერნატივების" მოძიებასა და დადგენას, რის შედეგად იქმნება მიკრო დონის პოლიტიკის დოკუმენტი ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში. რეგულაციების გავლენის შეფასება გამოიყენება ძირითადად იმ ნორმატიულ აქტებზე, რომელთაც პოტენციურად ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენების მოხდენა შეუძლია. დღესდღეობით პარლამენტში მიღებული აქტების განმარტებით ბარათებში მოითხოვება რეგულაციის პოტენციური გავლენის გარკვეული დონის ანალიზი. თუმცა, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების მიხედვით, არსებული მოთხოვნები არასაკმარისია. განმარტებით ბარათში გამორჩენილია რეგულირების გავლენის შეფასების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა:

- სახელმწიფო ინტერვენციის საჭიროება და პრობლემების დასაბუთება;
- მკაფიო მიზეზი და ამოცანები;
- პოტენციური, ალტერნატიული გამოსავალი;

---

[11] http://parliament.ge/ge/tematuri-mokvleva

[12] http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/dargobrivi-ekonomikisa-da-ekonomikuri-politikis-komiteti/komitetis-saqmianoba/deputatis-sainformacio-barati

- ლიმიტირებული სოციალური ხარჯები;
- გარემოსდაცვითი სარგებელი;
- ეკონომიკური გავლენა ეკონომიკის არასამიზნე სექტორებზე.

სავალდებულო მოთხოვნები, რომ ნორმატიული აქტების შემუშავებისას, კონსულტაციები ჩატარდეს მონაწილე მხარეებთან/ინტერესთა ჯგუფებთან და ექსპერტებთან, არ არსებობს. მოქმედი საკონსულტაციო პროცესი სუსტია და არაეფექტიანი.

ბიზნეს სექტორი ხშირად, მნიშვნელოვანი აქტების შემთხვევაში, ინფორმაციას მაშინ იგებს, როცა აქტები უკვე პარლამენტშია დარეგისტრირებული და შესაბამისად მასზე რეაგირების ნაკლები საშუალება აქვთ დროის და სამართლებრივი შეზღუდვების გათვალისწინებით. ბიზნეს ასოციაციების და ექსპერტების მიერ სახელდება არაერთი უარყოფითი შედეგების მომტანი ახალი ინიციატივა, რომელიც მოკლე დროში, ასეთი არაეფექტიანი საკონსულტაციო პროცესის და რეგულაციის გავლენის არასაკმარისი ანალიზის შედეგად იქნა ინიცირებული.

ნორმატიული აქტების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემებისა და ახალი რეგულაციების გაზრდილ რაოდენობასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ აღიარა, რომ აუცილებელია პოლიტიკის შექმნის პროცესი მონაწილე მხარეთა სრულყოფილი ჩართულობით წარიმართოს და მეტად იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული. საქართველოს მთავრობამ მოქალაქეებზე, ბიზნესზე, ვაჭრობასა და ინვესტიციებზე რეგულაციების უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად **RIA** 2017 წლიდან შემოიღო.

RIA-ს დასაქვემდებარებელი რეგულაციების გამოსავლენად საერთაშორისო გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავებულია: რიგ ქვეყნებში არსებობს რაოდენობრივი ზღვარი. კერძოდ, თუ ნორმატიული აქტის გავლენა ადამიანებსა და ბიზნესზე რაღაც ზღვარს (კონკრეტულ ციფრს) სცდება, საჭირო ხდება რეგულირების გავლენის შეფასება. მაგ: თურქეთში ეს არის 10 მილიონი ლირა, კორეაში - 10 მილიარდი ვონა, აშშ-ში - 100 მილიონი დოლარი, კანადაში - 50 მილიონი დოლარი.

ზოგი ქვეყანა RIA-ს მხოლოდ კანონებთან მიმართებაში ამზადებს, ასეთი ქვეყნებია: პოლონეთი, სლოვაკეთი, ესტონეთი. მაგალითად ლიტვაში, საბაზისო შეფასება (ე.წ. მსუბუქი RIA) ხორციელდებოდა თითქმის ყველა შემოთავაზებულ პროექტზე, გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებიც რედაქტირებასა და ტექნიკურ ცვლილებებს მოიაზრებს. მოლდავეთში კი, საშუალოდ, წელიწადში დაახლოებით 90 გავლენის შეფასების კვლევა კეთდება იმ ნორმატიულ აქტებზე, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ბიზნესზე. ბრიტანეთში, რომელიც RIA-ს სისტემის კუთხით, ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანაა, წელიწადში საშუალოდ 490 RIA ხორციელდება.

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, განვითარებადი ქვეყნებისათვის RIA-ს მეთოდოლოგია უნდა იყოს უფრო მსუბუქი/მარტივი, მოქნილი და ხელთარსებული რესურსების შესაბამისი[13]. ხოლო RIA-ს სამიზნე უნდა იყოს მხოლოდ ის ნორმატიული აქტები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენის მოხდენა შეუძლიათ ბიზნესზე.

პოლიტიკის დოკუმენტებს რომ დავუბრუნდეთ, სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (საქართველოს მთავრობის პროგრამა, 2021) კვლავ აგრძელებს ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპების საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერას, რეგიონული ტექნოპარკებისა და უნივერსიტეტების ჩართულობით, ახალი ინოვაციური იდეების მხარდაჭერის პროგრამებს“. (მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, 2016-2020)

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე სამართლებრივ ჩარჩოში საუბარია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №400 დადგენილებაში, სახელწოდებით: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“. ამჟამად მიმდინარეობს 2021-2025 წლებში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის განახლებულ პროექტზე მუშაობა, რომლის მიზანია, მცირე და საშუალო მეწარმეობის სფეროში ქვეყნამ

[13] http://www.oecd.org/gov/regulatory-policy/44789472.pdf

განსაზღროს კონკრეტული ინტერესები და მისი აღსრულებით უპასუხოს მცირე და საშუალო მეწარმეობის წინაშე მდგარ გამოწვევებს[14].

მთავრობის ეკონომიკურ დოკუმენტებში ხაზგასმულია ძლიერი კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის მნიშვნელობა. ეკონომიკური პოლიტიკის ხედვა აგებულია პრინციპებზე: სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ეფუძნება კონკურენტუნარიან კერძო სექტორს, ინკლუზიურ ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას და ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

სტრატეგიის მიზანია საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიკაცია და მათ გადასაჭრელად შესაბამისი პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრა. სტრატეგია არ ისახავს მიზნად ცალკეული სექტორის ანალიზს ან მათი კონკურენტუნარიანობის შეფასებას, არც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების გამოვლენას.

მეწარმეობისა და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობას ახორცილებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ი "აწარმოე საქართველოში", (აწარმოე საქართველოში, წლიური ანგარიში, 2015) რომელმაც პროგრამების განხორციელება დაიწყო 2014 წლის ივნისიდან[15]. 2017 წლის 22 ივნისს საქართველოს მთავრობამ გააუქმა ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რომლის უფლებამონაცვლეც გახდა ზემოთ ნახსენები სააგენტო. „აწარმოე საქართველოში“ აერთიანებს სამ კომპონენტს:

- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება - კრედიტის დამტკიცება და ლიზინგი;
- უძრავი ქონებით უზრუნველყოფა;
- საკონსულტაციო მომსახურება;

ფინანსური მიმართულება გულისხმობს სესხის თანადაფინანსებას 50%-ის მოცულობით, სესხის გაცემიდან პირველი 54 თვის განმავლობაში (არაუმეტეს 600 ათასი აშშ დოლარისა). იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი წარმოადგენს ახალ

[14] http://www.moesd.gov.ge/?page=news&nw=1651
[15] http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf

საწარმოს, ვალდებულია წარმოების დაწყება განახორციელოს ლიზინგის საგნის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში. ასევე ორი წლის განმავლობაში წარმოების პროფილი უნდა შეინარჩუნოს. ლიზინგის პირობებში ხდება დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება 24 თვის განმავლობაში. სალიზინგო პროექტის საწყისი კაპიტალია 50,000 აშშ დოლარი, ხოლო მაქსიმუმი 2,000,000 აშშ-დოლარი.

კვლევის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ პროგრამის ყველაზე პრობლემური საკითხები, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ განხილვასა და რეაგირებას:

1. ინფორმაციის ნაკლებობა - საჭიროა ახალი საკონსულტაციო სერვისების მიწოდებისა და მიზანმიმართული კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მორგებული იქნება მეწარმეების მოთხოვნასა და საჭიროებებზე, მიზნობრივ აუდიტორიაზე. ტექნიკური დახმარებისა და საკონსულტაციო მომსახურების კომპონენტის გაძლიერებაზე და მასშტაბების გაზრდაზე. საჭიროა ფორუმების ან მსგავსი პლატფორმების შექმნა, სადაც მეწარმეები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ.

2. ფინანსური მხარდაჭერის კომპონენტთან დაკავშირებული საკითხების რევიზია და ოპტიმიზაცია - თანადაფინანსებასთან დაკავშირებით 2 წლიანი პერიოდის გაზრდა, რაც პროგრამას გახდის მოქნილს და ხანგრძლივს. ქვედა ზღვარის დაწევა (მოქმედი 75 000 აშშ დოლარია) გააჩენს შესაძლებლობას დაფინანსდეს მრავალფეროვანი პროექტები. დამატებითი დაფინანსების მიღების შესაძლებლობა, ხელს შეუწყობს გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვას მეწარმეებისთვის, რადგან საბრუნავი საშუალებების დეფიციტი და ლარის გაუფასურება ხშირად ბიზნესის შეწყვეტის წინაპირობაა.

3. საგადასახადო პოლიტიკის შერბილება - დამატებითი ღირებულების გადასახადის გაუქმება/შემცირება დანადგარების (ძირითად საშუალებებზე) და ნედლეულის შემოტანა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიზნეს პროცესებს და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას. სასურველია მოგების გადასახადის შემცირება ან გაუქმება რეინვესტირებულ თანხებზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ

მეწარმეს უწევს ქონებისა და სესხის შემოსავალში ასახვა, რომლის საგადასახადო დაბეგვრის უკან ჩათვლა ხდება პროდუქციის გამოშვების შემდეგ.

4. სააგენტოს მეტი ჩართულობა სესხის დამტკიცებაში - პროგრამის როლის გაზრდა გამოიწვევს საინტერესო, პერსპექტიული პროექტების დაფინანსებას, რომლებიც ვერ მოდიან სრულ შესაბამისობაში საბანკო პროცედურებთან.

5. ერთი ფანჯრის პრინციპი - სასურველია „აწარმოე საქართველოში" სააგენტომ „ერთი ფანჯრის" პრინციპით გაუწიოს დახმარება კერძო სექტორს, როგორც უშუალოდ პროგრამების დაგეგმვისა და განხორცილების, ასევე არსებული სახელმწიფო სხვადახვა შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებისა და პროფესიული კონსულტაციების ჩატარების კუთხით.

6. აქტიურ მეწარმეთა ერთიანი ელექტრონული ბაზა - კარგი იქნება თუ შეიქმნება იმ დაინტერესებულ და აქტიურ მეწარმეთა ერთიანი ელექტრონული განახლებადი ბაზა, აღრიცხვა/ანალიზი, ვისაც ბანკმა დაფინანსებაზე უარი უთხრა, რათა დადგინდეს ისეთი ჭრილები, როგორიცაა: სექტორი, უარის მიზეზი, მოთხოვნილი თანხა და ა.შ. განაცხადის ეფექტიანი დაგეგმვისთვის დაინტერესებულ მეწარმეებს ანალიზი ძალიან დაეხმარება.

7. მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ფორმირება - წინგადადგმული ნაბიჯია ის გარემოება, რომ 2016 წლის ბიუჯეტში[16], გაწერილია ინდიკატორები შესაბამისი რაოდენობირივი მაჩვენებლებით, (ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, 2021) რაც მოგვცემს პროგრამის შეფასებისა და სამოქალაქო ჩართულობის სათანადო შესაძლებლობებს. (საია, შეფასების ანგარიში. 2017)

2015 წლიდან სააგენტო საქართველოს რეგიონებში ახორციელებს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამას[17] - ფინანსური დახმარებისა თუ საკონსულტაციო მომსახურების გზით, კონკურსში გამარჯვებული მეწარმეებისათვის საკუთარი საქმის წამოწყებისა და გაფართოებისათვის სახელმწიფოს მხრიდან 5 000-დან 15 000 ლარამდე თანხის გაცემას. (მეწარმეობის განვითარების სააგენტო, წლიური ანგარიში. 2016)

---

[16] http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/27205/49694

[17] http://www.enterprisegeorgia.gov.ge/files/4/5f731b25069ae-Micro-Small-Business-Support-Program-2020.pdf

2014-2015 წლებში სააგენტომ მხარი დაუჭირა 79 ბიზნესს, რომელთაგანაც 34 სრულად ახალი საწარმო იყო. მოცემული ბიზნესების მიერ განხორციელებული ინვესტიცია უტოლდება 205.1 მილიონ ლარს, შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა კი 3,835 შეადგენს. პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით კომერციულმა ბანკებმა 118 მილიონი ლარზე მეტი სესხი გასცა. (აწარმოე საქართველოში, წლიური ანგარიში, 2015)

2020 წლიდან მიკრო და მცირე გრანტების პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, გაფართოვდა ბიზნესის ოპერირების ლოკაციები (მოიცვა რეგიონებიც). გაიზარდა საგრანტო თანხების მაქსიმალური მოცულობა 20,000 ლარიდან 30,000 ლარამდე. შემცირდა პროგრამის ახალი ბენეფიციარებისთვის თანამონაწილეობის წილი 20%-დან 10%-მდე, ხოლო არსებული ბენეფიციარებისთვის 50%-დან 25%-მდე. ასევე, განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებულ პროექტებს მიენიჭა პრიორიტეტი. პროგრამა ამ ეტაპისთვის 300-ზე მეტი საქმიანობის მიმართულების დაფინანსებას მოიცავს. (აწარმოე საქართველოში, წლ. ანგარიში 2021)

2015-2018 წლებში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 6,212 პროექტი. აღნიშნულ პროექტებში სულ ჩართული იყო 9,384 ბენეფიციარი, აქედან 3,785 ქალია. სააგენტოს მიერ მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ჯამურად გაცემულმა თანხამ შეადგინა 46.9 მლნ ლარი, ხოლო ინვესტიციამ 61 მლნ ლარს გადააჭარბა. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 15,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

ინსტრუმენტები მეწარმეებს ეხმარება ინკუბაციის პერიოდში, პირველი ორი წლის მანძილზე. ამის შემდეგ ფინანსური თანადაფინანსების კუთხით, სააგენტო წყვეტს კომპანიებთან ურთიერთობას და საკონსულტაციო მომსახურება ერთვება რის შემდეგაც კომპანია თავად აგრძელებს გადახდას. ამ ორი წლის განმავლობაში მეწარმე გადახდისუნარიანი თუ არ იქნება, სახელმწიფო მაშინვე წყვეტს საპროცენტო თანადაფინანსებას. ბანკი, ამ შემთხვევაში, არის ის ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია სწორად და ზუსტად შეაფასოს პროექტის რისკები და სწორად შეარჩიოს დასაფინანსებელი პროექტები.

სააგენტო ახალი საწარმოების დაფინანსებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოდის პროგრამის შინაარსთან. ახალი საწარმოს შემქმნელებს, რომლებსაც სასესხო უზრუნველყოფისთვის მოქმედი ბიზნესი, ან შესაბამისი ქონება არ გააჩნიათ, პროგრამაში ვერ ერთვებიან. ახალი წარმოების დასაწყებად მეწარმისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს: პირველი - საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მისთვის არის საკმაოდ მაღალი და მეორე - გირაო, რომლის სრულად უზრუნველყოფა მეწარმეს არ შეუძლია.

2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, (ინოვაციების სააგენტოს დებულება, 2014) 2015 წლის 3 თებერვალს ასევე მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა კვლევებისა და ინოვაციების საბჭო. (ინოვაციების საბჭოს შექმნის დადგენილება, 2015) რეგიონებში შეიქმნა ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერისათვის შესაბამისი სტრუქტურები (ბიზნეს-ინკუბატორები, ინვესტიციურ-ვენჩურული ფონდები, ბიზნესამაჩქარებლები, ტექნოპარკები, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები, ინოვაციების ლაბორატორიები (FabLab - Fabrication Laboratory, Ilab - Innovation Laboratory) და სხვა. (ეკონომიკის სამინისტროს ბრძანება, 2014)

2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი ინოვაციების შესახებ. კანონის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და განვითარება. ინოვაციებსა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოს ტექნოლოგიების საქართველოში გავრცელება და ათვისება, ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების განვითარება, ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში გავრცელება კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. (კანონი ინოვაციების შესახებ, 2016)

სააგენტო ახორციელებს ინოვაციური ეკოსისტემის შექმნისა და განვითარების პროცესის კოორდინაციას, ქვეყნის ინოვაციების და ტექნოლოგიების ერთიანი პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელების პროცესის ხელშეწყობას. სააგენტო

ასევე ახორცილებს კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფას, რომელსაც არსებული ინფორმაციით მუშაობა ჯერ არ დაუწყია, შესაბამისად არ არის შექმნილი და დამტკიცებული ინოვაციების სფეროში სახელმწიფო სტრატეგია, სტრატეგიის პრიორიტეტები და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. ასევე საქართველოს მთავრობისთვის არ არის წარდგენილი განხორციელებული ინოვაციური საქმიანობის მიზნით გამოყენებული ფინანსური რესურსების შესახებ ყოველწლიური ანგარიშები.

საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიები. (კანონი ინოვაციების ბიუჯეტის შესახებ, 2017) 2014-2020 წლის ფარგლებში სააგენტოს პროგრამების შედეგად გადამზადდა 941 მოსახლე, 785 ბიზნესი ელექტრონულ კომერციაში, 130 მოსწავლე ინოვაციურ ბანაკში. ჯამური ბენეფიციარების რაოდენობა 2014-2020 წლებში 56,000-ია, რეგიონების ჭრილში - 4,556. 135 სტარტაპი - 100,000 ლარი გრანტით, 21 სტარტაპი - 650,000 ლარი გრანტით, 423 სტარტაპი - 15,000 ლარი გრანტით. სულ 579 სტარტაპი, რომელშიც ჯამში დაიხარჯა 40 მლნ ლარი. 2021 წელს გაფორმდა პარტნიორობის ხელშეკრულება GITA-სა და „კატაპულტ ჯორჯიას" შორის, რომლის თანახმად ქართულ ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სტარტაპებში 50 მლნ აშშ დოლარის ინვესტირება უნდა განხორციელდეს.

მსოფლიოში ყველაზე ინოვაციური ქვეყნების რეიტინგს თუ გადავხედავთ, რომელსაც ძირითადად ადგენს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (**WIPO** – World Intellectual Property Organization) და საინფორმაციო სააგენტო **Bloomberg**-ი, არც თუ ისე სახარბიელოდ გვაქვს საქმე.

2021 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით ყველაზე ინოვაციური ქვეყნების ტოპ-10-ული შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი №6). საქართველო ამ რეიტინგში იმყოფება 32,40 ქულით 63-ე ადგილზე. ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის საქართველო ჩამორჩება: ესტონეთს (25-ე ადგილი) ლატვიას (33-ე), რუსეთს,(45-ე) უკრაინას (50-ე) მოლდავეთს (54-ე) და სასომხეთს (59-ე ადგილი). (Global Innovation Index . 2021)

ცხრილი № 6. ყველაზე ინოვაციური ქვეყნების ტოპ-10-ეული, 2021 წელს

| რეიტინგი | ქვეყანა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | შვეიცარია | 65,5 |
| 2 | შვედეთი | 63,1 |
| 3 | აშშ | 61,3 |
| 4 | დიდი ბრიტანეთი | 59,8 |
| 5 | კორეის რესპუბლიკა | 59,3 |
| 6 | ნიდერლანდები | 58,6 |
| 7 | ფინეთი | 58,4 |
| 8 | სიგაპური | 57,8 |
| 9 | დანია | 57,3 |
| 10 | **გერმანია** | 57,3 |

**წყარო**:The Global Innovation Index 2021. https://www.globalinnovationindex.org/

გლობალური ინოვაციების ინდექსი **GII** (GII - Global Innovation Index) გამოითვლება ქვეყნების ინოვაციური პოტენციალით, რომელიც ასახავს ინოვაციის მრავალგანზომილებიან ასპექტებს. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია ინდექსის შესადგენად 80-ზე მეტ კრიტერიუმს იყენებს. ინოვაციის ინდექსი დაჯგუფებულია ინოვაციების შეყვანაზე დანახარჯებისა და ინოვაციების გამოშვებაზე დანახარჯების მიხედვით.

**ცხრილი № 7. საქართველოს რეიტინგები 2019 - 2021 წლებში**

| | GII | ინოვაციების შეყვანა | ინოვაციების გამოშვება |
|---|---|---|---|
| **2021** | 63 | 49 | 74 |
| **2020** | 63 | 54 | 71 |
| **2019** | 48 | 44 | 60 |

**წყარო**: https://www.globalinnovationindex.org/Home

საქართველოს უკეთესი პოზიცია აქვს ინოვაციების შეყვანაში, ვიდრე გამოშვებაში. ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ 2021 წელს საქართველოს ინოვაციებში

2019 წელთან შედარებით უფრო მეტი აქვს დახარჯული, ხოლო ინოვაციების გამოშვება წინა წლებთან შედარებით დაბალია. (იხ. ცხრილი № 7)

საქართველოს პოზიტიური დამოკიდებულება აქვს მოსალოდნელ ინოვაციებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად. შემოსავლის დონეს (მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე) და ინოვაციებს შორის ურთიერთობის შესრულება დადებითად ხასიათდება. დადებითი ტრენდის ხაზი მიუთითებს მოსალოდნელი ინოვაციების შესრულებას შემოსავლის დონის მიხედვით. საქართველოს მაჩვენებლები შეესაბამება მისი განვითარების დონის მოლოდინს. ურთიერთობა ინოვაციის შეყვანასა და გამოშვებას შორის უარყოფითია. საქართველო ინოვაციური ინვესტიციების დონესთან შედარებით ნაკლებ ინოვაციურ პროდუქტს აწარმოებს.

საქართველო შედარებით ძლიერია ბაზრის დახვეწილობის კუთხით, ხოლო ყველაზე სუსტია ინფრასტრუქტურაში.

გლობალური ინოვაციების ინდექსის 7 სვეტი, საქართველოს რეიტინგები:

***ინოვაციების შეყვანის სუბინდექსები:***

1. ინსტიტუციები (პოლიტიკური, სამართლებრივი და ბიზნეს გარემო ) - 35
2. ადამიანური რესურსი და კვლევა (განათლება, უმაღლესი განათლება, კვლევა და განვითარება R&D ) - 60
3. ინფრასტრუქტურა (ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები) - 85
4. ბაზრის დახვეწილობა (კრედიტი, ინვესტიციები, ვაჭრობა, დივერსიფიკაცია და ბაზრის მასშტაბი) - 34
5. ბიზნეს დახვეწილობა - 61 (მცოდნე მუშები, ინოვაციური კავშირები, ცოდნის შთანთქმა)

***ინოვაციის გამოშვების სუბინდექსები:***

6. ცოდნის და ტექნოლოგიის გამოშვება (ცოდნის შექმნა, ცოდნის გავლენა, ცოდნის დიფუზია) - 75
7. შემოქმედებითი პროდუქტის გამოშვება (არამატერიალური აქტივები, კრეატიული საქონელი და მომსახურება, ონლაინ კრეატიულობა) - 74

იმის გაცნობიერებით, რომ ინოვაცია არის ეკონომიკური განვითარების მთავარი

მამოძრავებელი ძალა, GII მიზნად ისახავს უზრუნველყოს ინოვაციების ღრმა ანალიზი 130-მდე ეკონომიკაში. ბოლო ათწლეულში GII ინოვაციების გაზომვის წამყვანი ინსტრუმენტია.

**ცხრილი № 8. საქართველოს ინოვაციების ძლიერი და სუსტი მხარეები, 2021 წელი**

| ძლიერი მხარეები | | | სუსტი მხარეები | | |
|---|---|---|---|---|---|
| **კოდი** | ინდიკატორი | ქულა | კოდი | ინდიკატორი | ქულა |
| **1.2.3** | ზედმეტი ღირებულება | 16 | 2.1.4 | PISA(მოსწავლეთა შეფასების სა ერთაშორისო პროგრამა. დაბალი შეფასება კითხვაში, მათემატიკასა და მიეცნიერებაში) | 70 |
| **1.3.1** | მარტივად ბიზნესის დაწყება | 2 | 2.3.3 | გლობალური კორპორატიული R&D ინვესტორები | 41 |
| **2.1.5** | მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობა, საშუალო | 3 | 2.3.4 | QS უნივერსიტეტის რეიტინგი | 74 |
| **4.1.1** | კრედიტის აღების სიმარტივე | 14 | 3.2.2 | ლოჯისტიკური შესრულება | 111 |
| **4.2.1** | მაინორი ინვესტორის მარტივი დაცვა | 7 | 3.3.3 | გარემოსდაცვითი სერტიფიკატი | 102 |
| **4.3.1** | საშ. შეწონილი საპროცენტო განაკვეთი | 5 | 5.1.4 | GERD დაფინანსებული ბიზნესის მიერ | 89 |
| **5.1.5** | დასაქმებული ქალები % | 23 | 6.2.5 | მაღალტექნოლოგიური წარმოება | 90 |
| **5.3.4** | პირდაპირი უცხოური | 9 | 6.3.1 | ინტელექტუალური საკუთრების გაყიდვა | 97 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ინვესტიციები | | | | |
| **6.2.1** | შრომის პროდუქტიულობის ზრდა | 24 | 7.1.4 | ICT და ორგანიზაციული მოდელის შექმნა | 101 |
| **6.2.2** | ახალი ბიზნესი | 11 | 7.2.5 | კრეატიული საქონლის ექსპორტით ვაჭრობა % | 104 |

**წყარო:** https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020/ge.pdf

ცხრილზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ საქართველოს ინოვაციების ძლიერი მხარეებია ბიზნესის მარტივად დაწყება, შრომის პროდუქტიულობის ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინვესტორის დაცვა, კრედიტის აღების სიმარტივე. სუსტი მხარეებია: ინტელექტუალური საკუთრების გაყიდვა, მაღალტექნოლოგიური წარმოება, გლობალური კორპორატიული ინვესტიციები კვლევა და განვითარება, ლოჯისტიკა, უნივერსიტეტების რეიტინგი.

**ცხრილი № 9. საქართველო საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში (2019-2021 წლები)**

| ინდექსი [18] | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|
| ინოვაციის გლობალურ ინდექსი (GII) | 94 | 64 | 68 |
| ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსი (ICI) | 126 | 123 | 118 |
| გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი(GCI) | 72 | 66 | 67 |
| ინოვაციების განხორციელების შესაძლებლობა | 53 | 121 | 99 |
| კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) | 36 | 127 | 122 |
| სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი | 85 | 119 | 127 |
| თანამშრომლობა უნივერსიტეტებსა და ბიზნეს შორის კვლევებსა და განვითარებაზე | 50 | 128 | 116 |
| ხელმისაწვდომობა მეცნიერებასა და ინჟინრებზე | 73 | 113 | 125 |
| (PCT) ინტელექტუალური საკუთრების დაცვა | 97 | 60 | 70 |
| წამყვანი ტექნოლოგიური პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა | 29 | 95 | 125 |

[18] https://www.weforum.org/reports

| | | | |
|---|---|---|---|
| ტექნოლოგიური მზაობა | 90 | 72 | 70 |
| ტექნოლოგიების ათვისების დონე | 91 | 101 | 106 |
| უახლეს ტექნოლოგიებზე წვდომა | 89 | 97 | 111 |
| კომპანიების მიერ ტექნოლოგიების ათვისების დონე | 87 | 103 | 108 |
| უცხოური პირდაპირი ინვესტიციები(FDI) და ტექნოლოგიების ტრანსფერი | 113 | 109 | 94 |
| ინფორმაციებისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება | 89 | 65 | 58 |
| ინტერნეტის მომხმარებლები | 88 | 72 | 84 |
| ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის გამომწერები | 77 | 60 | 56 |
| ინტერნეტის სიჩქარე | 50 | 42 | 46 |
| მობილურის ფართოზოლოვანი გამომწერები | 66 | 97 | 72 |

**წყარო**: გლობალური ინოვაციების ინდექსი: www.globalinnovationindex.org/analysis-economy

მონაცემებზე დაყრდნობით ცუდი პოზიციები გვაქვს შემდეგ სფეროებში: (გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2021) კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, თანამშრომლობა უნივერსიტეტებსა და წარმოებას შორის კვლევებსა და განვითარებაზე, ხელმისაწვდომობა მეცნიერებასა და ინჟინრებზე. დაბალია კომპანიების მიერ ტექნოლოგიების ათვისების დონე, ასევე დაბალია უახლოეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიური ათვისება, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და ტექნოლოგიების ტრანსფერი.

**კვლევის მიზნებისთვის** საინტერესოა ურთიერთკავშირის გამოვლენა ჩვენს ქვეყანაში R&D - სამეცნიერო კვლევაზე შიდა დანახარჯებსა და მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ-ს) შორის. ამისთვის შესაძლებელია გამოვიყენოთ სტატისტიკური კვლევის ყველაზე გავრცელებული კორელაციულ-რეგრესიული მეთოდი და მოვახდინოთ მისი ანალიზი Microsoft Excel-ში. სტატისტიკური კვლევის ეს მეთოდი გვიჩვენებს ერთ-ერთი პარამეტრის დამოკიდებულებას ერთ ან რამდენიმე დამოუკიდებელ ცვლადთან. ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში განვიხილავთ სტატისტიკური კვლევის ორივე მეთოდს: რეგრესიულს და კორელაციურს და

შემდეგ შევაერთებთ მათ. ანალიზის შედეგი ძირითად ფაქტორებზე დაყრდნობით მოგვცემს პრიორიტეტების დადგენის საშუალებას, ამ სფეროების განვითარების პროგნოზირებას, დაგეგმვას და მათ მართვაზე გადაწყვეტილებების მიღება.

არსებობს რამდენიმე სახის რეგრესია: წრფივი (y = a + bx); პარაბოლური (y = a + bx + cx2); ექსპონენციალური (y = a * exp(bx)); სიმძლავრის (y = a*x^b); ჰიპერბოლური (y = b/x + a); ლოგარითმული (y = b * 1n(x) + a); ექსპონენციალური (y = a * b^x).

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში ავიღებთ წრფივ რეგრესიას, რომლის მოდელსაც ავაგებთ Excel-ში და მოვახდენთ შედეგების ინტერპრეტაციას.

როგორც ავღნიშნეთ ჩვენი კვლევისთვის ავიღეთ ორი დამოუკიდებელი ცვლადი: მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი) და R&D (დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე). ანალიზით დავადგენთ, თუ რამდენად არის დამოკიდებული მშპ, R&D - კვლევასა და განვითარებაზე დახარჯულ თანხებზე, როგორ მოქმედებს მშპ-ზე ამ ცვლადის ცვალებადობა. ანალიზისთვის ავიღოთ ცვლადების მონაცემები ქვემოთ მოცემული ცხრილიდან.

**ცხრილი № 10. მშპ და R&D, მონაცემები კორელაციური ანალიზისათვის 2014-2021წლებში**

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ -მლრდ | 33741,2 | 36721,2 | 39154,3 | 40857,9 | 44678,1 | 49325,4 | 49357,9 | 50232,1 |
| R&D -მლნ | 137412 | 117212 | 123086 | 122573 | 134034 | 147976 | 148073 | 156963 |

**წყარო**: www.geostat.ge & www.world-statistics.org

ჩავსვით შესაბამის Ecxel - ში მონაცემები, რომელიც ასე გამოიყურება:

**ცხრილი № 11. მშპ და R&D რეგრესიული ანალიზისათვის**

| | მშპ | R&D |
|---|---|---|
| A | Y | X |
| 1 | 337412 | 137412 |
| 2 | 367212 | 117212 |
| 3 | 391543 | 123086 |
| 4 | 408579 | 122573 |
| 5 | 446781 | 134034 |
| 6 | 493254 | 147986 |
| 7 | 493579 | 148073 |
| 8 | 502321 | 156963 |

წრფივი რეგრესია შემდეგნაირად გამოიყურება:

$У = a_0 + a_1x_1 + \ldots + a_кx_к$

სადაც „a“ არის რეგრესიის კოეფიციენტი, „X“ მოქმედი ცვლადები და „K“ ფაქტორების რაოდენობა. ჩვენს შემთხვევაში „Y“ წარმოადგენს მშპ-ს, ხოლო „X“ - R&D - დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე.

ექსელში არსებობს ფუნქცია რომლის დახმარებით შეიძლება გავიანგარიშოთ წრფივი რეგრესიის მოდელის პარამეტრები. ამ ფუნქციის გააქტიურებით მივიღეთ:

**ცხრილი №12. რეგრესიული სტატისტიკის ანალიზი**

SUMMARY OUTPUT

| *Regression Statistics* | |
|---|---|
| Multiple R | 0.763811 |
| R Square | 0.583408 |
| Adjusted R Square | 0.513976 |
| Standard Error | 440982.5 |
| Observations | 8 |

ANOVA

| | *Df* | *SS* | *MS* | *F* | *Significance F* |
|---|---|---|---|---|---|
| Regression | 1 | 1.63E+12 | 1.63E+12 | 8.402577 | 0.02738 |
| Residual | 6 | 1.17E+12 | 1.94E+11 | | |
| Total | 7 | 2.8E+12 | | | |

| | *Coefficients* | *Standard Error* | *t Stat* | *P-value* | *Lower 95%* | *Upper 95%* | *Lower 95.0%* | *Upper 95.0%* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Intercept | -286388 | 1590169 | -0.1801 | 0.863004 | -4177390 | 3604615 | -4177390 | 3604615 |
| X Variable 1 | 33.75055 | 11.64326 | 2.89872 | 0.02738 | 5.260519 | 62.24059 | 5.260519 | 62.24059 |

დავაკვირდეთ R კვადრატს (დეტერმინაციის კოეფიციენტი) და კოეფიციენტებს.

R-კვადრატი - დეტერმინაციის (განსაზღვრის) კოეფიციენტია. ჩვენს მაგალითში 0, 763 -ია, ესე იგი 76,3%, ეს იმას ნიშნავს რომ მოცემული პარამეტრები თითქმის 77%-ით არის დამოკიდებული ერთმანეთზე და მათ შორის არის კავშირი. რაც უფრო მაღალია დეტერმინაციის კოეფიციენტი, მით უფრო მეტია დამოკიდებულება და მოდელიც ხარისხიანია. კარგია როდესაც კოეფიციენტი ახლოსაა 0.8-სთან და ცუდია თუ კი ნაკლებია 0.5-ზე. ჩვენს შემთხვევაში შედეგი პოზიტიურია. ანალიზი შეიძლება ჩაითვალოს რომ გონივრულია.

კოეფიციენტი -2863 გვიჩვენებს, რა იქნება Y, თუ განსახილველ მოდელში ყველა ცვლადი 0-ის ტოლია. ანუ სხვა ფაქტორები, რომლებიც არ არის აღწერილი მოდელში გავლენას არ ახდენს გაანალიზებული პარამეტრის მნიშვნელობაზე.

კოეფიციენტი +33.75 გვიჩვენებს X ცვლადის წონას Y-ზე. ანუ, დანახარჯი R&D - კვლევასა და განვითარებაზე (რაოდენობა) ამ მოდელის ფარგლებში გავლენას ახდენს მშპ-ს რაოდენობაზე 33.75 წონით (ეს საკმაოდ მაღალი ხარისხია). ნიშანი "+" მიუთითებს დადებით ზემოქმედებაზე: რაც უფრო მაღალია დანახარჯები R&D - კვლევაზე და განვითარებაზე, მით მეტია მშპ-ს რაოდენობა.

ახლა შევამოწმოთ როგორია კავშირი ამ ინდიკატორებს შორის, რაშიც კორელაციური ანალიზი დაგვეხმარება. მჭიდროა კავშირი თუ ერთი პარამეტრის ზრდა იწვევს მეორეს ზრდას (დადებითი კორელაცია) თუ შემცირებას (უარყოფითს). კორელაციური ანალიზი დაგვეხმარება განვსაზღვროთ, შეიძლება თუ არა ერთი ინდიკატორის მნიშვნელობის გამოყენება მეორის შესაძლო მნიშვნელობის პროგნოზირებისთვის.

შერჩეულ ნიშნებს შორის კავშირის სიმლიერე და ამ კავშირის მიმართულება გავზომოთ პირსონის წრფივი კორელაციის კოეფიციენტის დახმარებით, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$r_n = \frac{\sum_{i=1}^{n} (x_i - x^{-})(y_i - y^{-})}{\sqrt{\sum_{i=1}^{n} (x_i - x^{-})2}\sqrt{\sum_{i=1}^{n} (y_i - y^{-})2}},$$

სადაც

$X_i$ და $Y_i$ - შესადარი რაოდენობრივი ცვლადები;

n - დაკვირვების შესადარი ცვლადები;

$x- = \frac{\sum_{i=1}^{n} x_i}{n}$ , $y- = \frac{\sum_{i=1}^{n} y_i}{n}$ - საშუალო მნიშვნელობები.

კორელაციის კოეფიციენტი აღინიშნება r. ის მერყეობს +1-დან -1-მდე დიაპაზონში. კორელაციური კავშირის კლასიფიკაცია სხვადასხვა სფეროებისთვის განსხვავებულია. როდესაც კოეფიციენტის მნიშვნელობა 0-ის ტოლია, ცვლადებს შორის არ არსებობს წრფივი კავშირი. დადებითი მნიშვნელობა მოწმობს პირდაპირ წრფივ კავშირს, უარყოფითი - საპირისპიროს. რაც უფრო ახლოა კოეფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობა ერთეულთან, მით უფრო ძლიერი და მჭიდროა კავშირი. ითვლება, რომ კავშირი საკმაოდ ძლიერია, თუ კოეფიციენტი აბსოლუტურ სიდიდეში აღემატება 0,7-ს და სუსტია, თუ ის 0,3-ზე უფრო მცირეა.

პირსონის კორელაციის კოეფიციენტის გათვლისათვის ავიღეთ იგივე მონაცემები სტატისტიკური წყაროებიდან. ძირითად ფაქტორულ ნიშნად შერჩეულია შიდა დანახარჯების ზომა R&D - კვლევებსა და განვითარებაზე, ხოლო პარამეტრის შედეგიანობის სახით მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდე. კორელაციის კოეფიციენტის მოსაძებნად გამოვიყენე ისევ პროგრამა Microsoft Office Excel. საბოლოო ჯამში გამოყვანილ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტი - 0,76381. მიღებული შედეგი ახლოსაა ერთეულთან, აქედან გამომდინარე, კავშირი შედეგიან და ფაქტორულ ნიშნებს შორის მჭიდროა. ეს მოწმობს არსებით დამოკიდებულებაზე მთლიან შიდა პროდუქტსა და სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებაზე შიდა დანახარჯებს შორის.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ გრძელვადიან პერიოდში ზუსტად კვლევებსა და განვითარებაზე შიდა დანახარჯების მოცულობა მოახდენს ძლიერ გავლენას მთლიან შიდა პროდუქტის სიდიდეზე. იხილეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამა:

დიაგრამა № 1. კორელაციის ველი, მშპ - R&D




როგორც ფორმულიდან და ჩვენი გამოთვლებიდან ჩანს კვლევებზე დანახარჯების ზრდა გამოიწვევს მშპ-ს გაორმაგებას და მნიშვნელოვან ზრდას. ევროპულ და განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერულ კვლევებზე დანახარჯები მშპ-ს 3-4%-ს შეადგენს. ჩვენთან ეს მაჩვენებელი 0.3%-ს არ აღემატება.

მსოფლიო სტატისტიკის მონაცემებით საქართველოში ბოლო წლებში მოიმატა კვლევებითა და ძიებით დაკავებული პერსონალის რიცხვმა. 2013 წელთან შედარებით ეს ციფრი გაორმაგდა[19]. მკვლევარების რიცხოვნობა განათლების დონის მიხედვით მაღალია ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ დაბალია ტექნიკური და მასთან გათანაბრებული პერსონალის რაოდენობა. სამეცნიერო კვლევებით დაკავებული დაწესებულებების რაოდენობა გაიზარდა 48 დან 58-მდე, მაგრამ ძალიან ცოტაა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რაც 148.2 მლნ ლარს შეადგენს[20]. მზარდი ტრენდი გვაქვს მკვლევარების რიცხოვნობაში განათლების დონეების მიხედვით. ხოლო პროფესიული განათლების მქონე ადამიანების პირიქით, ნაკლებობას განვიცდით. (იხ. ცხრილები №13, №14) ცოტაა ტექნიკური და მასთან გათანაბრებული პერსონალიც.

[19] www.world-statistics.org
[20] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/194/metsniereba

**ცხრილი № 13. კვლევებით და ძიებებით დაკავებული პერსონალის რიცხვი 2014-21წ.**

| 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **566.4** | 1.059 | 1.280 | 1.307 | 1.307 | 1.464 | 1.501 | 1.621 | 1.698 |

**წყარო:** მსოფლიო სტატისტიკა, 2021 წელი. https://world-statistics.org/

როგორც ცხრილიდან ჩანს კვლევებით და ძიებებით დაკავებული ადამიანების რიცხვი მილიონ ადამიანზე იზრდება. ასევე მზარდი ტრენდი გვაქვს მკვლევარების რიცხოვნობაში განათლების დონეების მიხედვით. ხოლო პროფესიული განათლების მქონე ადამიანების პირიქით, ნაკლებობას განვიცდით. ცოტაა ტექნიკური და მასთან გათანაბრებული პერსონალიც.

**დანართი № 14. კვლევებზე და ძიებაზე დასაქმებული პერსონალის რიცხოვნობა სტატუსის მიხედვით 2020-2021წლებში**

| | 2020 | | | 2021 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | ქალი | კაცი | სულ | ქალი | კაცი |
| **პერსონალი, სულ** | **13 732** | **7 477** | **6 255** | **14 589** | **8 011** | **6 578** |
| **მათ შორის:** | | | | | | |
| **მკვლევარი** | 10 191 | 5 339 | 4 852 | 11 859 | 6 334 | 5 525 |
| **ტექნიკური და მასთან გათანაბრებული პერსონალი** | 1 790 | 1 080 | 710 | 1 380 | 817 | 563 |
| **სხვა დამხმარე პერსონალი** | 1 742 | 1 052 | 690 | 1 322 | 840 | 482 |
| **არაიდენტიფიცირებული** | 9 | 6 | 3 | | 20 | 8 |

**წყარო:** https://www.geostat.ge/ka/modules/categories/194/metsniereba

მოცემული მომენტისათვის რთულია პოზიტიურად შეაფასო საქართველოში მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარება. სახელმწიფო პროგრამების სამიზნე ჯგუფი ვერ ვიტყვით რომ არის მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა, ან ინოვაციების წახალისება მცირე საწარმოებში. მიუხედავად იმისა, რომ მივიღეთ საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ, საკანონმდებლო

რეგულირება ინოვაციური საქმიანობისა მცირე ბიზნესში ამ დრომდე სათანადოდ არ მომხდარა.

ტექნოპარკების და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების პროცესში ინოვაციური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. (ღუდუშაური, 2019) სახეზე გვაქვს ფულადი სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა ამ მიმართულებით, შესაბამისად, საქართველოს გადაყვანა განვითარების ინოვაციურ გზაზე მოითხოვს დიდ ძალისხმევას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციებს ქვეყანაში ამჟამადაც აქვს ადგილი, მაგრამ მათი რეალიზაცია საწარმოთა უმრავლესობაში შიგნით არ ხდება და ბიზნესის ცალკეული წარმომადგენლების კერძო ინიციატივებია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბევრ საწარმოში ორგანიზაციის პერსონალი არ არის მზად მასშტაბური ინოვაციების განხორციელებისათვის, უფრო მეტიც, იგი ნაკლებად არის დაინტერესებული თავისი ცოდნისა და უნარების გამოყენებით ინოვაციის დანერგვისას ორგანიზაციაში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა, მუშა მოსამსახურის არასაკმარისი დაინტერესება და მოტივაცია, ინოვაციური აზროვნების ხელშეწყობის არ არსებობა, ინოვაციების დაკვეთის არ არსებობა საწარმოში, ინტელექტუარი საკუთრების დაუცველობა, ფულადი სახსრების პერიოდული უკმარისობა.

მცირე მეწარმეობის ინოვაციური განვითარება რთულ ამოცანას წარმოადგენს და მოითხოვს სისტემურ მუშაობას, რაშიც უნდა ჩაერთოს როგორც სახელმწიფო, ასევე აკადემიური და სამრეწველო წრეები. აუცილებელია შეიქმნას ამ სფეროებს შორის დამაკავშირებელი რგოლები. ამ ტენდენციებზე დაყრდნობით შემუშავებულ და რეალიზებულ უნდა იქნას ღონისძიებების მთელი კომპლექსი, რაც მიმართული იქნება ინოვაციების მასობრივ ათვისებაზე.

სამწუხაროდ სახელმწიფოს არა აქვს გათავისებული მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ინოვაციების შექმნაში. ამ საკითხის მიმართ არასერიოზული და ზერელე დამოკიდებულება კარგად ჩანს საკანონმდებლო სივრცეშიც, კერძოდ სამართლებრივ აქტებში და იმ სახელმწიფო დოკუმენტებშიც, სადაც საუბარია

მცირე მეწარმეობაზე. სამართლებრივ სივრცეში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული მცირე საწარმოს საქართველოს რეალურ ბიზნეს გარემოზე მორგებული ერთიანი ცნება. მაგალითად კანონში „მეწარმეთა შესახებ“ არსებობს მხოლოდ მეწარმის ცნება. საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ ტერმინთა განმარტებაში შევხვდებით დამწყები ბიზნესი, რომელიც განმარტებულია როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტი, რომლის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 2 წელზე მეტი არ გასულა. საგადასახადო კოდექსში შემოღებულია დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი - მიკრო, მცირე და ინდივიდუალური საწარმოსათვის, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის მონაცემებში შეგხვდებათ სხვადასხვა მცნებები. ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ხშირად შეიცვალა მცირე საწარმოს ზომის გაანგარიშების მეთოდოლოგია.

სასურველია შეიქმნას ერთი სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მთავრობის წინაშე ეკონომიკის ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე და ამ მიმართულებით მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის როლის მნიშვნელობასა და პროექტებზე.

და ბოლოს შეიძლება ითქვას რომ, საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის მხარდაჭერისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასაყვანად, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

## თავი 2. მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმებისა და მდგომარეობის ანალიზი

### 2.1 მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის საზღვარგარეთის გამოცდილება

როგორც ავღნიშნეთ ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის დონის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს მცირე ბიზნესი თამაშობს. ის უზრუნველყოფს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მნიშვნელოვან წილს, მოსახლეობის უმეტესობის დასაქმებას, ეკონომიკაში ინოვაციების ნახევარზე მეტის შექმნას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ბოლო 30 წლის განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში მშპ-ს გამოშვებაში მცირე ბიზნესის წვლილმა თითქმის 70%-ს მიაღწია, ხოლო მათი რაოდენობა მსოფლიო საწარმოთა შორის 92.5%-ია. (Флорова Э, 2020) ამ ქვეყნებში მცირე ბიზნესის პოზიციების გამყარება მნიშვნელოვანწილად უკავშირდება სახელმწიფო პოლიტიკას. განსაკუთრებით ეს ეხება სასტარტო ბიზნესის ისეთი რესურსებით უზრუნველყოფას, როგორიცაა: დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანა, ბაზრის კვლევა, პარტნიორებისა და შეკვეთების მოძიება, სამართლებრივი და საინფორმაციო უზრუნველყოფა და ა.შ. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარების მხარდაჭერასა და სტიმულირებას.

მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემებისა და ზომების მსოფლიო პრაქტიკა მრავალფეროვანი და ფართოა. მცირე საწარმოების ინოვაციური პოტენციალის ტექნიკური მხარდაჭერისა და დაფინანსების სახელმწიფო პროგრამების გარდა არსებობს უამრავი საკანონმდებლო, ფინანსური, საგადასახადო და ქონებრივი ბერკეტები სახელმწიფო თუ რეგიონალურ დონეზე, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციური საქმიანობის განვითარებას ბიზნესის ყველა სფეროში. რიგმა განვითარებულმა ქვეყნებმა, რომლებმაც აირჩიეს ინოვაციური განვითარების გზა და შედიან მსოფლიო განვითარების ტექნოლოგიურ ბირთვში - აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი,

ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები (გერმანია, საფრანგეთი) - ჩამოაყალიბეს ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების განსაკუთრებული მექანიზმები მცირე მეწარმეობის სექტორში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების დონე ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, მათი გამოცდილება შეიძლება გამოსადეგი იყოს საქართველოსთვის, მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის. მოწინავე უცხო ქვეყნებში ასეთი ტიპის მცირე ბიზნესი გახდა ინვესტირების ძირითადი სამიზნე ობიექტი. დღეს, მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში დახარჯული სახსრების საერთო მოცულობის 5% ქმნის 50%-მდე სიახლეს, რაც მსოფლიო ბაზრის ინოვაციების თითქმის 50%-ია. ყველაზე უფრო განვითარებულ დარგებში, როგორიცაა ინფორმატიკა, ელექტრონიკა, ბიოსამედიცინო ტექნიკა, მოქმედი ფირმების საერთო რაოდენობიდან მცირე საწარმოებს შეადგენს 80%-ზე მეტს. (Романович, 2010)

**აშშ-ში** ინოვაციური პოტენციალის მცირე ბიზნესი განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. მცირე ბიზნესის ინოვაციური აქტიურობის სტიმულირების პოლიტიკის გატარება ხდება სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე - **ფედერალურ და მუნიციპალურ** დონეზე.

აშშ-ს სახელმწიფოს პრიორიტეტია ინოვაციების კომერციალიზაციისა და ათვისებისათვის ეკონომიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური გარემო პირობების შექმნა. ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ინოვაციური პოტენციალის მქონე მცირე ბიზნესის ჩამოყალიბების საწყისი პერიოდისაკენ.

აშშ-ს მცირე ბიზნესის სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მთავარი შინაარსი მდგომარეობს ფინანსური ნაკადის რეგულირებასა და ხელმისაწვდომობაში. ქვეყანაში მოქმედებს კანონი სახელმწიფო დაფინანსების შესახებ, რომელიც ფედერალურ სამინისტროებს და უწყებებს ავალდებულებს ყოველწლიურად გადარიცხონ თანხები მცირე საწარმოების მეცნიერულ კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, რაც გულისხმობს ბიუჯეტიდან მიზანმიმართულ დაფინანსებას:

გრანტი, შეღავათიანი სესხი, კონტრაქტი ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიის შემუშავებაზე.

აშშ-ში ფედერალური ბიუჯეტიდან მცირე ბიზნესის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე ყოველწლიურად იხარჯება 3,4-დან 4,0%-მდე. ამასთან ერთად მცირე საწარმოების სამეცნიერო-კვლევით დანახარჯების მესამედს აფინანსებს სახელმწიფო. (Казанцева, 2004)

1982 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი მცირე ბიზნესში ინოვაციური საქმიანობის განვითარების შესახებ. ხოლო 1992 წლის ცვლილებებმა გააფართოვა კვლევით პროექტებზე სუბსიდირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რამაც წაახალისა ინოვაციური პოტენციალის მცირე საწარმოები და გამომგონებლები. მათ შორის ყველაზე ეფექტიანი პროგრამებია: მცირე ბიზნესში ინოვაციური კვლევების პროგრამა[21] (**SBIR**-Small Business Innovation Reaserch), მცირე ბიზნესის ინვესტიციური კომპანიების პროგრამა (**SBIC** - Small Business Investment Company) და მცირე ბიზნესის ტექნოლოგიის ტრანსფერის პროგრამა (**STIR** - Small Business Technology Transfer).

ამ პროგრამებს კოორდინაციას უწევს მცირე ბიზნესის ადმინისტრირების სააგენტო[22]. (**SBA** - Small Business Administration) სააგენტო პასუხს აგებს პროექტის რეალიზაციასა და კონტროლზე, დასრულებული ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციისათვის კერძო კაპიტალის მოზიდვის მიზნით სააგენტოს შემუშავებული აქვს კაპიტალის მოძიების პოტენციური წყაროების კომპიუტერიზირებული სისტემა[23], საკონკურსო პროექტების სამომავლო რეალიზაციისთვის.

მცირე ბიზნესში ინოვაციური კვლევების პროგრამა (**SBIR**) წარმოადგენს მცირე საწარმოების ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების საკონკურსო პროგრამას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო მნიშვნელობის მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების კვლევასა და შემუშავებასთან და ფლობს მნიშვნელოვან კომერციულ

[21] https://www.sbir.gov/sites/default/files/SBA_SBIR_Overview_March2020.pdf
[22] https://www.sba.gov/
[23] https://www.sba.gov/sites/default/files/2018-06/SBA_FY_2018-2022_Strategic_Plan.pdf

პოტენციალს. ის ემსახურება მცირე ბიზნესის ინოვაციური იდეების მოზიდვას, მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

პროგრამა თემატურად მოიცავს 10 მსხვილ ფედერალურ სამინისტროსა და სააგენტოს, რომელთა შორისაა - სოფლის მეურნეობის, თავდაცვის, განათლების, ენერგეტიკის, ჯანდაცვისა, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, აერონავტიკისა და კოსმონავტიკის, ატომური ენერგიის, მეცნიერების მიმართულებები. ისინი თავად აფასებენ მეწარმის წინადადების პერსპექტიულობას, განსაზღვრავენ რა მომავალში ფინანსური მხარდაჭერის სახეობასა და ოდენობას. თითოეულს შეუძლია 100$ მლნ-ზე მეტის სუბსიდირება, მცირე საწარმოებში მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. (Бондаренко, 2010)

მცირე ბიზნესის ინვესტიციური კომპანიების (SBIC) პროგრამა მცირე საწარმოებს უზრუნველყოფს ინვესტიციური კაპიტალით, მათი საქმიანობის რისკის შემცველ, სასტარტო, ზრდისა და შემდგომი გაფართოების პერიოდისათვის. ამჟამად აშშ-ში მოქმედებს 400-ზე მეტი ინვესტიციური კომპანია, რომელიც კერძო კომერციულ კომპანიას წარმოადგენს. ისინი ახორციელებენ ინვესტიციებს მცირე ბიზნესში, მომავალში მისაღები მოგების გარანტიით, მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის სააგენტოს საგარანტიო ვალდებულებების საფუძველზე.

კერძო ინვესტიციების მოზიდვის გათვალისწინებით ამ პროგრამის საერთო კაპიტალი შეადგენს დაახლოებით 21$ მლრდ-ს. ისინი გასცემენ სააქციო კაპიტალს, გრძელვადიან და ობლიგაციურ სესხებს, ახორციელებენ ფინანსურ კონსულტაციას. ზოგიერთი კომპანია ორიენტირებულია ვენჩურული ინვესტიციების გაცემით მცირე ინოვაციურ საწარმოებში, მეცნიერული კვლევითი სამუშაოების ჩატარებაზე, ახალი ან სრულყოფილი პროდუქტის შექმნაზე.

STTR პროგრამა მცირე საწარმოებს არაკომერციულ კვლევით ინსტიტუტებთან ურთიერთობის სტიმულს აძლევს, ამით ის ტექნოლოგიის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს ამოცანას ასრულებს. ეს პროგრამა წარმოადგენს პლატფორმას, სადაც შესაძლებელია საწარმოების და სხვა ინსტიტუტების დროებითი გაერთიანება ინოვაციების შესაქმნელად. კვლევის ძირითადი შემკვეთები არიან აშშ-ს უმსხვილესი სამთავრობო უწყებები. პროგრამის წლიური ბიუჯეტი შეადგენს 1$

მლრდ-ს. ფინანსდება ისეთი კვლევები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისათვის. ყოველწლიურად ამ პროგრამით 1000-მდე ინოვაციური პროექტი ხორციელდება.

აშშ-ში ასევე ხშირია „**სპინ-ოფ**" საწარმოები, რომლებიც გამოეყოფიან უმაღლეს სასწავლებლებს, დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, სახელმწიფო კვლევით ცენტრებს, მსხვილი სამრეწველო კორპორაციების სპეციალურ ლაბორატორიებს. სახელმწიფო აქტიურად ატარებს „სპინ-ოფ"-ის ფირმების სუბსიდირებას მსხვილი არაკომერციული მეცნიერული ცენტრებისა და უნივერსიტეტების მეშვეობით.

მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის უშუალო მხარდაჭერის არსებითი ელემენტია - სახელმწიფო ინოვაციური ინფარასტრუქტურა. აშშ-ში შექმნილია საკონსულტაციო ცენტრებისა და სიახლეების დანერგვის გამავრცელებელი ცენტრების ქსელი, რომლებიც საქმიან მომსახურებას უწევენ მეწარმე ინოვატორებს. სახელმწიფო ხელს უწყობს ინოვაციების ბაზრის ფორმირებას გამოფენების, ბირჟების, ბაზრობების საშუალებით.

სახელმწიფო გამოჩენილი მეცნიერების მორალური მხარდაჭერის მიზნით გასცემს ჯილდოებს, საპატიო წოდებებს, აწარმოებს ინოვაციების პროპაგანდას, ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების მოხმარებას, წამყვანი ინოვაციური ორგანიზაციების მონახულებას და ა.შ. მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელთა ჩართვას მნიშვნელოვან სახელმწიფო ღონისძიებებში, მეცნიერულ-ტექნიკური გაერთიანების თვითორგანიზების მხარდაჭერას და ა.შ.

მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების სახელმწიფოს მხარდამჭერ ზომებს შორის აღსანიშნავია ასევე საგადასახადო შეღავათები. აშშ-ს კანონმდებლობით ამოღებულია გადასახადები დოკუმენტაციის შეძენაზე, მოწყობილობების, საცდელი ნიმუშების დამზადებაზე, გამოცდების ჩატარებაზე, საპატენტო მომსახურების ანაზღაურებაზე და სხვა. მცირე ინოვაციურ საწარმოებს აქვთ შეღავათები ისეთ გადასახდელებზე, როგორიცაა კავშირგაბმულობა, გათბობა, ელექტროენერგია და სხვა.

აშშ-ში კარგად არის შემუშავებული შიდა და საერთაშორისო კონკურენციის განვითარების მექანიზმები. ინოვაციური საქმიანობის ინფორმაციული მხარდაჭერა,

იმ ინოვაციის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც ხორციელდება სხვა ქვეყნებში. ინოვაციური ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის მოქმედებს მცირე ბიზნესის ინოვაციური კვლევების პორტალი[24]. ამ პორტალზე ოპერატიულ რეჟიმში წარმოდგენილია ინფორმაცია **SBIR & STTR** პროგრამების თემატური გეგმების შესახებ, ასევე მონაცემები ქვეყნის ყველა კვლევითი ორგანიზაციების შესახებ. პორტალზე მოქმედებს ძიების ველი, სადაც შეიძლება მოიძიო ინფორმაცია წარმატებით დასრულებული მეცნიერულ-კვლევით სამუშაოების შესახებ.

ქვეყნის ეკონომიკის ფორმირებაზე სახელმწიფო ზეგავლენის მაღალი დონით გამოირჩევა **იაპონია.** მიუხედავად შეზღუდული ბუნებრივი რესურსებისა, მოკლე ისტორიულ პერიოდში იაპონია მსოფლიო ეკონომიკის ლიდერი სახელმწიფო გახდა. ეს მიღწეულ იქნა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის დახმარებით, რომელიც ითვალისწინებს მცირე ბიზნესის უდიდეს მნიშვნელობას და ორიენტირებულია ამ სექტორის ყოველმხრივ მხარდაჭერასა და განვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ურთიერთობის სრულყოფას მცირე ბიზნესის მხარდაჭერის საქმეში.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იაპონია დაადგა სწრაფი ეკონომიკური განვითარების გზას, რომელიც დაფუძნებული იყო უცხო პატენტებისა და „ნოუ-ჰაუს" გამოყენებაზე. 80-იანი წლების დასაწყისიდან ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და მსხვილი კვლევითი ცენტრების ორგანიზება-გაფართოებას ითვალისწინებდა, რომელსაც მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული ამოცანები უნდა გადაეჭრა. 1983 წელს იაპონიაში მიღებულ იქნა ტექნოპოლისების განვითარების კონცეფცია. იაპონიის ეკონომიკური განვითარების ტემპებმა მაღალ დონეს მიაღწია. იაპონური **ტექნოპოლისების** ამერიკელი სპეციალისტი **შ.ტაცუნო** აღნიშნავს რომ **„ტექნოპოლისების სტრატეგია** - ეს არის მაღალი ტექნოლოგიური დონის გარღვევის სტრატეგია, ეს არის მთელი იაპონური მეურნეობის ინტელექტუალიზაციის სტრატეგია." (Тацуно, 1989)

[24] http://www.sbir.gov

ეროვნული ტექნოპარკების განვითარებისათვის ქვეყნაში შემუშავდა სპეციალური პროექტები: ტექნოპოლისისა და მეცნიერული წარმოების განვითარების, საბაზისო კვლევების გეგმები. ტექნოპოლისის განვითარების გეგმა გულისხმობს სუბსიდიის გაცემას, დაბალპროცენტიან სესხებს, სამრეწველო სიმძლავრესა და შენობა-ნაგებობაზე გადასახადის შემცირებას. მეცნიერული წარმოების განთავსების გეგმა ასახავს რეგიონალური საწარმოების ტერიტორიულ კონცენტრაციას სპეციალიზაციის მიხედვით. საბაზისო კვლევების გეგმა კი ხელს უწყობს საწარმოების განვითარებას არსებობის საწყის ეტაპზე.

იაპონიაში უდიდესი როლი ენიჭება ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც მცირე მეწარმეზე გასცემს დამატებით შეღავათს, ათავისუფლებს ადგილობრივი გადასახადებისაგან, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გასცემს მიზნობრივ დოტაციებსა და სესხებს. მაგალითად კიუშუს ტექნოპარკის შექმნაში უცხო ინვესტიციების მოსაზიდად მუნიციპალურმა ხელისუფლებამ ინვესტორებზე გასცა $10მლნ სესხი წლიური 1%-8% 10 წლის ვადით (პირველადი გადასახადის 2 წლით გადავადებით). თავდაპირველად შეიქმნა 100 ტექნოპარკი, რომლებმაც შექმნეს კვლევითი ცენტრები, რამაც ხელი შეუწყო საქმიანი და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების განვითარებას. ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერის შედეგად ტექნოპარკები ჩამოყალიბდა უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტების, მრეწველობის ურთიერთობის ცენტრებად.( Никулин, 2011)

1999 წელს მიღებულ იქნა ახალი „კანონი მცირე და საშუალო მეწარმეობაზე, (Small and Medium Enterprise Basic Law. 1999) რომელმაც მძლავრი იმპულსი მისცა მცირე ბიზნესის სექტორში ინოვაციური საქმიანობის განვითარებას. კანონმა ხელი შეუწყო გრანტებისა და გასაცემი კრედიტების ოდენობის გაზრდას, პერსონალის სწავლებისა და ტექნიკური კონსულტირების ფინანსური დახმარების გაზრდას, პატენტირებაზე დანახარჯების კომპენსაციას და სხვა.

ამასთან ერთად მცირე ბიზნესში ინოვაციური საქმიანობის ეკონომიური სტიმულირებისათვის შეღავათები დაწესდა, სამეცნიერო კვლევით სამუშაოებზე დახარჯულ თანხებზე, მოწყობილობებზე, საცდელი ნიმუშების დამზადებაზე.

სახელმწიფომ დააწესა სპეციალური საგადასახადო შეღავათები უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ტექნოლოგიური განვითარების ცენტრებში ერთობლივი მცირე ინოვაციური საწარმოების შექმნაზე.

უნივერსიტეტებთან არსებული შვილობილი მცირე ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო $550მლნ, რამაც განაპირობა 1000-ზე მეტი შვილობილი ინოვაციური საწარმოს შექმნა და უნივერსისტეტებზე გაცემული პატენტების რაოდენობის 10-ჯერ გაზრდა.

მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ეფექტიანად შეგროვების, გაცვლისა და გავრცელების მიზნით შექმნილია საინფორმაციო ქსელი, რომელიც აერთიანებს 3400-ზე მეტ მცირე საწარმოს, 180 უნივერსიტეტს და სხვა მრავალ კვლევით ცენტრს. მეცნიერულ კვლევით სამუშაოებზე სახელმწიფო ხარჯები ყოველწლიურად იზრდება(4%), ძირითადად ფუნდამენტურ კვლევებსა და პრინციპულად ახალი იდეების გენერირებაზე. სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ იაპონია გადააქციოს ლიცენზიების ექსპორტიორ ქვეყანად. მთავრობის მიერ შერჩეულია 4 მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულება: ინფორმაციული სისტემები, მექანოტრონიკა, ბიოტექნოლოგიები, ახალი მასალები, რომლებიც ექსპერტების აზრით, მისცემენ იაპონიას საშუალებას გახდეს ლიდერი ქვეყანა მეცნიერებისა და ტექნოლოგიის დარგებში.

იაპონიაში ინოვაციური საქმიანობის განვითარებასა და სრულყოფაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვისა და გამოყენების საკითხებს. (გამომგონებლების მნიშნელოვანი როლის აღიარება, ინტელექტუალური საკუთრების გავრცელების ხერხები, ინფორმაციის დაცვის გაძლიერება, პატენტების რეგისტრაციაზე ხარჯების შემცირება და მათი გაცემის დაჩქარება, სამრეწველო შპიონაჟისა და ინტელექტუალური საკუთრების მიტაცების აღკვეთა, ყალბი პროდუქციის გამოშვების აღკვეთა და ა.შ.) ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის სრულყოფის მიზნით ხელმეორედ განხილულ იქნა სამართლებრივი და ნორმატიული აქტები, რის საფუძველზეც 2010 წლიდან იაპონიაში შექმნილია ყველა პირობა მსოფლიო სტანდარტებთან

შესაბამისი ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვისა და უზრუნველყოფისათვის.

მცირე ბიზნესის განვითარებასა და მხარდაჭერი ეროვნული ინფრასტრუქტურის საქმიანობის კოორდინაციას ახორცილებს „მცირე და საშუალო მეწარმეობის სააგენტო“. (Small and Medium Enterprise Agency - SMEA, 2021) სააგენტო ასევე ახორციელებს მთავრობის სტრატეგიას მცირე ბიზნესში ინოვაციური საქმიანობის წახალისებასთან დაკავშირებით. ეს სააგენტო აქტიურად ურთიერთობს მთელ რიგ სახელმწიფო და დამოუკიდებელ ორგანიზაციებთან, სამეცნიერო ცენტრებსა და კვლევით ინსტიტუტებთან, რომელთა შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს „იაპონიის რეგიონების ინოვაციური განვითარებისა და მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ორგანიზაციის სააგენტო[25] (**SMRJ** - Organization for SME and Regional Innovation of Japan). **SMRJ** - ს სტრუქტურაში მოქმედებს მცირე ბიზნესის მართვისა და ტექნოლოგიის სრულყოფის 9 ინსტიტუტი, 4 ტექნოპარკი და რიგი ბიზნეს-ინკუბატორები, სადაც მცირე საწარმოების დაახლოებით 4 ათასი ხელმძღვანელი და სპეციალისტი ყოველწლიურად იღებს თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას მწარმოებლური საქმიანობის ყველა საკითხში.

ამჟამად ინოვაციური მხარდაჭერის სახელმწიფო ინფრასტრუქტურასა და მცირე ბიზნესის საწარმოების განვითარებაში შედის 8 ვენჩურული, 59 რეგიონალური და 261 მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მუნიციპალური ცენტრები, ასევე რიგი კვლევითი ინსტიტუტები, საინფორმაციო სამსახური და საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციები.

იაპონიაში იქმნება საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციები ინოვაციების მიზნობრივი დაფინანსების მიზნით. „მცირე ბიზნესის სექტორში აქტიური შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ზომების შესახებ“ (The Temporary Law concerning Measures for the Promotion of the Creative Business Activities of Small Enterprises. 2011) კანონის საფუძველზე, რეგიონალური ადმინისტრაცია დამწყებ მცირე საწარმოებს აძლევს სუბსუდიებს, შეღავათიან კრედიტებს და ათავისუფლებს გადასახადებისაგან.

[25] https://www.meti.go.jp/english/press/2020/0424_004.html

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მცირე ინოვაციურ საწარმოებს, რომლებიც ეკონომიური განვითარების ეროვნულ პრიორიტეტებთან შესაბამისად უშვებენ პროდუქტებს. ასევე უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევენ ადგილობრივი საკრედიტო სააგენტოები 5 წლამდე ასაკის საწარმოებს, რომელთა საქმიანობა შეესაბამება ადგილობრივი სოციალ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს. კრედიტები გაიცემა ძირითადი მოწყობილობების შესაძენად განვადებით ან ლიზინგის საფუძველზე.

ეროვნული პროგრამის „ინდუსტრიული კლასტერის პროექტი“-ს რეალიზებისათვის შექმნილია „მოწინავე ტექნოლოგიების ზონა[26]“(TAMA-Technology Advanced Metropolitan Area), სადაც კონცენტრირებულია უამრავი მცირე ინოვაციური პოტენციალის საწარმო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, უნივერსიტეტები და მსხვილი მაღალტექნოლოგიური კომპანიები. მცირე ინოვაციურ საწარმოებსა და სამეცნიერო-მწარმოებლურ საწარმოებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის ამაღლებისათვის შექმნილია „მცირე ბიზნესის TAMA - ს მხარდაჭერის ცენტრი”.

ცენტრი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, შედეგად TAMA ზონის მწარმოებლური პოტენციალის განვითარების მიზნით, მის ტერიტორიაზე 2005 წელს შეიქმნა „TAMA-ს სამრეწველო აღორძინების“ კორპორაცია, რომელიც აერთიანებს 660 საწარმოს და ორგანიზაციას. ამ კორპორაციის მთავარი ამოცანაა სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის ყველა არსებული რესურსების სწრაფი კონცენტრაციის სისტემის შექმნა, მსოფლიო ბაზარზე უახლესი საქონლისა და მომსახურების სფეროში წამყვანი პოზიციის მოპოვების მიზნით. ამ კორპორაციის საქმიანობის მეშვეობით შეიქმნა დაახლოებით 2000 მცირე ინოვაციური საწარმო.

აქტიური ინოვაციური საქმიანობის შედეგად, იაპონიას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის დონით, რესურსების ეფექტიანი მოხმარებით, მწარმოებელ, განვითარებულ ქვეყნებს შორის ეკონომიური ზრდის ტემპით, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობით.

[26] https://www.rieti.go.jp/jp/publications/dp/02e014.pdf

იაპონიაში მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის განვითარებული სისტემა ხელს უწყობს მოწინავე ტექნოლოგიების დაჩქარებულ განვითარებას და სამრეწველო საქმიანობის ახალი სახეობების შექმნას, რაც აძლიერებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

**ევროკავშირი** სისტემურად ატარებს ინოვაციების მხარდამჭერ პოლიტიკას. საერთო ევროპულ დონეზე გასული საუკუნის 90-იან წლებში პირველად გახდა ფართო განხილვის საგანი მცირე ბიზნესის საწარმოების ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების საკითხი, მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გაძლიერების გამო. მეცნიერებასა და სამრეწველო სექტორს შორის მჭიდრო კავშირისთვის ევროკავშირმა 1995 წელს ინოვაციების გაცვლითი ცენტრების ევროპული ქსელი შექმნა. ამჟამად აღნიშნული ქსელი შეიცავს 68 ცენტრს ევროპის 30 სახელმწიფოში, მათ შორის იმ სახელმწიფოებშიც, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში. (ისლანდია, ისრაელი, შვეიცარია)

ინოვაციების გაცვლის ცენტრების ევროპული ქსელის მისია არის ტექნოლოგიების ტრანსნაციონალური ტრანსფერის სტიმულირება, ევროპაში ინოვაციური და ტექნიკური თანამშრომლობის მხარდაჭერა, ბიზნესის მხარდამჭერი რიგი სპეციალიზებული მომსახურების აღმოჩენა. აღნიშნული ცენტრები ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებიდან ინოვაციური ტექნოლოგიების ბიზნესზე გადაცემას. ინოვაციების გაცვლის ცენტრების მომსახურება ძირითადად მიმართულია ტექნოლოგიურად ორიენტირებულ მცირე საწარმოებზე.

1996 წლის ივნისში ევროკავშირმა მიიღო **„ევროპაში ინოვაციების გავრცელების სამოქმედო გეგმა“**, რაშიც გამოყოფილ იქნა ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციების გავრცელების პრიორიტეტული მიმართულებები.

1998 წელს შეიქმნა ბიურო ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვის საკითხებზე. ბიუროს მიზანს წარმოადგენდა: სისტემის გამოყენების შესახებ ინფორმირების გაუმჯობესება. მცირე და საშუალო საწარმოებისა და მეწარმეების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებზე ინფორმაციების ხელმისაწვდომობის გამარტივება.

ინოვაციების ეფექტიანი დაფინანსების მიზნით შემუშავდა და დაინერგა ვენჩურული კაპიტალის მოზიდვის საპილოტე პროექტი, საწყის ეტაპზე სწრაფად განვითარებადი ინოვაციური პროექტების დასაფინანსებლად. 1999 წელს შეიქმნა ინოვაციების ფინანსური მხარდაჭერის ბიურო. ბიუროს ამოცანებია ტექნოლოგიურად განვითარებული ევროპული მცირე ინოვაციური საწარმოების დაფინანსების პროგრამების ხელშეწყობის გამარტივება და ახალი საწარმოების შექმნის მხარდაჭერა.

ევროკავშირში 2019 წელს 23 მლნ მცირე და საშუალო საწარმოებმა შეადგინა ევროკავშირის მთელი საწარმოების 99.8%. სავაჭრო ბრუნვაში მცირე საწარმოების წილი შეადგენს 65%-ს. გარდა ამისა, მცირე ბიზნესის საწარმოების მიერ იქმნება 80%-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი. გამოცდილებამ აჩვენა, რომ სწორედ ისინი უმკლავდებიან ყველაზე უკეთ კრიზისის ზეგავლენას და უზრუნველყოფენ სახელმწიფოს შედარებით სტაბილურ განვითარებას.

2000 წლის მარტში ევროკავშირის სამიტზე შემუშავდა საერთო ევროპული ინოვაციური პოლიტიკა **„ლისაბონის სტრატეგია[27]“**, რომელშიც აღნიშნულია შეთანხმებული მოქმედების გადამწყვეტი მნიშვნელობა ცოდნაზე დამყარებულ კონკურენტუნარიან ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით. დოკუმენტში ხაზგასმულია ინოვაციურ პროცესებში მცირე საწარმოების მონაწილეობის გაზრდის საკითხი. დოკუმენტი ეხება ისეთ აქტუალურ თემებს, როგორიცაა ევროკავშირში ინოვაციების დაფინანსება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ახალი ტექნოლოგიების განმახორციელებელი საწარმოების შექმნა და ფუნქციონირება, თანამედროვე ევროპაში ინფორმაციისა და სწავლების როლის გაზრდა ინოვაციების რეალიზებაში.

შემდგომი განვითარება ევროპულმა ინოვაციურმა პოლიტიკამ ჰპოვა 2002 წელს, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2010 წლისათვის კვლევებსა და ინოვაციების დარგში ინვესტიციები გაზრდილიყო 1,9%-დან 3%-მდე.

მეცნიერება, ტექნოლოგია და ინოვაცია იზომება 4 მიმართულების საფუძველზე:

---

[27] https://en.wikipedia.org/wiki/Lisbon_Strategy

- კვლევა და განვითარება - (**R&D**) სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯი კვლევასა და განვითარებაზე;

- საზოგადოების ინოვაციის დონე - საწარმოების ბიზნეს პროცესებში ინოვაციური აქტივობების დონე;

- ჰაიტეკი (**High-Tech**) - ცოდნის ინტენსიური სერვისები, მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიები, ჰაიტეკ ვაჭრობა;

- ადამიანური სერვისები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში (**HRST**-Human Resources in Science and Technology) - სტატისტიკა მიმდინარე და მომავალი მაღალკვალიფიციური პირების შესახებ.

გადავხედოთ მსოფლიო სტატისტიკას ამ მიმართულებით.

**ცხრილი № 15. მ.შ.პ - ს დახარჯები კვლევებსა და განვითარებაზე (R&D) %, ევროკავშირი, იაპონია, აშშ, საქართველო. 2011-2021 წლები.**

| | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **EU-27** | 2.02 | 2.08 | 2.08 | 2.11 | 2.12 | 2.11 | 2.17 | 2.19 | 2.15 | 2.16 | 2.15 |
| **Japan** | 3.24 | 3.21 | 3.31 | 3.40 | 3.28 | 3.16 | 3.21 | 3.28 | 3.21 | 3.24 | 3.25 |
| **US** | 2.77 | 2.68 | 2.71 | 2.72 | 2.72 | 2.72 | 2.82 | 2.83 | 2.83 | 2.83 | 3.84 |
| **GEO** | - | - | 0.08 | 0.17 | 0.30 | 0.29 | 0.27 | 0.28 | 0.17 | 0.18 | 0.18 |

**წყარო:** მსოფლიო სატისტიკა, www.world-statistics.org

ზევით მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ევროპა სამეცნიერო კვლევით სამუშაოებზე ბევრად ნაკლებ სახსრებს ხარჯავს, ვიდრე აშშ და იაპონია. საქართველოს წილი მშპ-ში კვლევებსა და განვითარებაზე როგორც ვხედავთ ბოლო ორი წლის განმავლობაში 0.28%-დან 0.18%-ზე ჩამოვიდა.

**ცხრილი № 16. ჰაიტეკ ექსპორტი მლრდ. აშშ დოლარი, ევროკავშირი, იაპონია, აშშ, საქართველო. 2011 - 2021 წლები.**

| | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **EU-27** | 642 | 623 | 645 | 670 | 610 | 635 | 634 | 685 | 695 | 642 | 645 |
| **Japan** | 134 | 130 | 112 | 108 | 99 | 99 | 106 | 111 | 104 | 103 | 106 |
| **US** | 170 | 172 | 172 | 179 | 178 | 176 | 157 | 156 | 156 | 143 | 144 |
| **GEO/მლნ** | 12 | 20 | 21 | 35 | 36 | 19 | 23 | 27 | 19 | 14 | 15 |

**წყარო:** მსოფლიო სატისტიკა, www.world-statistics.org

როგორც ვხედავთ ჰაიტეკის მიმართულებით ევროპა ლიდერობს, მეორე პოზიციაზე აშშ-ა, ხოლო მესამეზე იაპონია. საქართველომ ამ მიმართულებითაც შეამცირა ექსპორტი 27 მილიონიდან 15 მილიონამდე.

**ცხრილი № 17. ადგილობრივი პატენტები - ევროკავშირი, იაპონია, აშშ, საქართველო. 2011-2021 წლები.**

| | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **EU-27** | 94.116 | 92.961 | 93.229 | 92.991 | 84.301 | 93.621 | 91.618 | 89.574 | 88.889 | 88.600 | 88.745 |
| **Japan** | 287.580 | 287.013 | 271.731 | 265.959 | 258.839 | 260.244 | 260.292 | 253.630 | 245.372 | 241.186 | 242.187 |
| **US** | 247.750 | 268.782 | 287.831 | 285.096 | 288.335 | 295.327 | 293.904 | 285.095 | 285.113 | 285.010 | 285.112 |
| **GEO** | 138 | 139 | 114 | 110 | 99 | 96 | 75 | 103 | 85 | 70 | 71 |

**წყარო:** მსოფლიო სატისტიკა, www.world-statistics.org

პატენტების რაოდენობაში აშშ ლიდერობს, შემდეგ იაპონია, ბოლოს ევროპა. საქართველოს ადგილობრივი პატენტების რაოდენობაც შემცირებულია წინა წლებთან შედარებით 103 დან 71-მდე.

**ცხრილი №18. სამეცნიერო ჟურნალები, სტატიები-ევროკავშირი, იაპონია, აშშ, საქართველო. 2011 - 2021 წლები.**

| | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **EU27** | 489.696 | 511.015 | 521.686 | 536.382 | 533.693 | 535.926 | 536.753 | 524.444 | 525.300 | 526.894 | 527.121 |
| **Japan** | 111.258 | 109.644 | 108.996 | 105.586 | 101.307 | 101.297 | 101.084 | 95.793 | 100.321 | 101.569 | 102.578 |
| **US** | 423.959 | 427.997 | 429.570 | 433.192 | 429.989 | 427.265 | 432.216 | 422.808 | 430.100 | 427.541 | 428.230 |
| **GEO** | 472.7 | 442.4 | 463.9 | 472.1 | 494.8 | 620.9 | 547.5 | 550.4 | 539.2 | 522.1 | 523.2 |

**წყარო:** მსოფლიო სატისტიკა, www.world-statistics.org

სამეცნიერო სტატიების რაოდენობაში ლიდერობს ევროპა, შემდეგ აშშ და იაპონია. საქართველოს აქაც გაუარესებული აქვს მონაცემები წინა წლებთან შედარებით, მაგრამ ტრენდი მზარდია საერთო ჯამში.

**ცხრილი № 19. მკვლევარები (მილიონ ადამიანზე) ევროკავშირი, იაპონია, აშშ, საქართველო. 2011-2021 წლები.**

| | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **EU-27** | 3,130 | 3,252 | 3,332 | 3,387 | 3,532 | 3,631 | 3,840 | 3,994 | 4,000 | 4,231 | 4,345 |
| **Japan** | 5,110 | 5,033 | 5,147 | 5,328 | 5,173 | 5,209 | 5,304 | 5,331 | 5,334 | 5,405 | 5,600 |
| **US** | 4,027 | 3,991 | 4,091 | 4,205 | 4,268 | 4,248 | 4,412 | 4,515 | 4,600 | 4,612 | 4,721 |
| **GEO** | - | - | 566,4 | 1,059 | 1,280 | 1,307 | 1,307 | 1,464 | 1,460 | 1,470 | 1,472 |

**წყარო**: მსოფლიო სატისტიკა, www.world-statistics.org

**მკვლევარების რაოდენობით** მილიონ ადამიანზე - ლიდერობს იაპონია, აშშ და ევროპა. საქართველოს აქვს მზარდი ტრენდი.

გადავხედოთ **Bloomberg** ინოვაციების ფართო და ყოვლისმომცველ ინდექსს, რომელიც აჯგუფებს ქვეყნებს ძალიან ბევრი კრიტერიუმის მიხედვით, ესენია: კვლევა და განვითარება, წარმოების მიერ დამატებული მთლიანი ღირებულება, პროდუქტიულობა, მაღალტექნოლოგიური კომპანიის სიმჭიდროვე, მკვლევარების კონცენტრაცია, პატენტის აქტივობა.

2021 წლის მონაცემებით, **სამხრეთ კორეამ** დაიბრუნა ტექნოლოგიურად ყველაზე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის ტიტული. სამხრეთ კორეის საუკეთესო შედეგი აქვს საპატენტო აქტივობაში, რის გამოც მსოფლიოში პირველ ადგილზეა. სამხრეთ კორეა მეორე ადგილზეა როგორც კვლევისა და განვითარების ინტენსივობით, მეოთხეზეა მაღალტექნოლოგიური კომპანიის სიმკვრივით და მესამეზე მკვლევარების კონცენტრაციით. სამხრეთ კორეაში არის ისეთი კომპანიები, როგორიცაა **Samsung, LG & Hyundai.**

**სინგაპური** 2021 წლის მეორე ყველაზე ინოვაციური ქვეყანაა. სინგაპური დაწინაურდა მზარდი პროდუქტიულობითა და წარმოებით, საპატენტო აქტივობით. სინგაპური ასევე ორიენტირებულია განათლებაზე, სადაც მოქალაქეების 91.09%-ს დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი 2021 წელს.

**შვეიცარია** 2021 წელს მსოფლიოში მესამე ყველაზე ინოვაციური ქვეყანაა. ის დაწინაურდა კვლევისა და განვითარების თვალსაზრისით, მკვლევარების

კონცენტრაციით. შვეიცარიას  მშპ-სთან მიმართებაში ყველაზე მეტი ხარჯი კვლევასა და განვითარებაზე მოდის, რომლის ორ მესამედზე მეტი კერძო სექტორისაა.

**გერმანია**, რომელიც 2020 წელს  რეიტინგში პირველ ადგილზე იყო, მეოთხე ადგილზე გადავიდა. გერმანია დაწინაურდა უამრავი ახალი ტექნოლოგიური წამოწყებით, მაღალტექნოლოგიური კომპანიების სიმკვრივით. წარმოების მიერ დამატებული მთლიანი ღირებულებით, რომელიც ძირითადად შეადგენს მანქანების წარმოების ინდუსტრიას და მე-7 ადგილზე R&D ინტენსივობით.

2017 წელს მეხუთე ადგილზე მყოფმა **შვედეთმა**  155,5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია ჩადო კვლევასა და განვითარებაში, რამაც განაპირობა  2021 წლის რეიტინგში მეოთხე ადგილზე გადმონაცვლება  კვლევისა და განვითარების ინტენსივობით, მეექვსეზე მაღალტექნოლოგიური სიმკვრივით და მეშვიდეზე მკვლევართა კონცენტრაციით.

**ისრაელი** მსოფლიოში პირველ ადგილზეა როგორც **R&D** ინტენსივობით, ასევე მკვლევართა კონცენტრაციით. ისრაელის **STEM** ნიჭის დიდმა აუზმა, სამეწარმეო ნიჭმა კონკურენტუნარიან ქვეყანად აქცია გლობალურ **R&D** ბაზარზე. ისრაელი სილიკონის ველსაც კი ეჯიბრება. **Apple, IBM, AT&T, Samsung, GE, Paypal, Microsoft და Motorola** მხოლოდ რამდენიმეა იმ მრავალი ტექნიკური გიგანტიდან, რომლებიც აწარმოებენ  **R&D**-ს ისრაელში.

**ფინეთი** მსოფლიოში მე-10 და მე-17 ადგილს იკავებს შვიდივე მეტრიკის მიხედვით. ქვეყანა გამოირჩევა ტექნოლოგიებითა და მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტილებებით. ფინური ინოვაციები მოიცავს **Linux** ოპერაციულ სისტემას და ტექსტურ შეტყობინებებს.

**ნიდერლანდები** მოხვდა 10 ყველაზე ინოვაციურ ეკონომიკაში 2021 წელს. მაგრამ მსოფლიოში მეშვიდე ადგილზეა მაღალტექნოლოგიური სიმკვრივით, მერვე ადგილზე მკვლევართა კონცენტრაციით და მეცხრე ადგილზე საპატენტო აქტივობით. ნიდერლანდები ევროპაში მაღალტექნოლოგიური საქონლის უდიდესი მიმწოდებელია. 2021 წლის ტოპ ათეულს ავსებს ავსტრია, რომელიც მსოფლიოში

მეექვსე ადგილზეა **R&D** ინტენსივობით. ავსტრიის ეკონომიკა ლიდერობს მომსახურების, მექანიკური ინჟინერიისა და ორგანული მეურნეობის სექტორებში.

**შეერთებული შტატები** მეთერთმეტეა ყველაზე ინოვაციურ ქვეყნებს შორის მსოფლიოში. **Google-ის, Apple-ის, Facebook-ის, Twitter-ის, Tesla-ს, Amazon-ის, Microsoft**-ის, **Intel**-ის და სხვა უამრავი კომპანიის წყალობით აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა მაღალტექნოლოგიური კომპანიების კონცენტრაციით. შეერთებული შტატები ასევე პირველ ადგილს იკავებს საპატენტო საქმიანობით და ლიდერია ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში. შეერთებული შტატები გლობალური ტექნოლოგიების ძლიერი ცენტრია. შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია კოსმოსურ ტექნოლოგიებში, ფარმაცევტული და ტელეკომუნიკაციების სფეროში. აშშ-ს ასევე ჰყავს ყველაზე დიდი და ტექნოლოგიურად განვითარებული არმია მსოფლიოში. (იხ. ცხრილი № 20)

**ცხრილი № 20. ჰაიტექ და ინოვაციური ქვეყნების 10-ული**

| | **ჰაიტექ ქვეყანა** | **ინოვაციური ქვეყანა** |
|---|---|---|
| **1** | იაპონია | სამხრეთ კორეა |
| **2** | სამხრეთ კორეა | სინგაპური |
| **3** | ჩინეთი | შვეიცარია |
| **4** | აშშ | გერმანია |
| **5** | გერმანია | შვედეთი |
| **6** | რუსეთი | დანია |
| **7** | დიდი ბრიტანეთი | ისრაელი |
| **8** | სინგაპური | ფინეთი |
| **9** | ისრაელი | ნიდერლანდები |
| **10** | შვეიცარია | ავსტრია |

**წყარო:**https://worldpopulationreview.com/country-rankings/most-innovative-countries

მსოფლიოში ყველაზე ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების დასადგენად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არსებობს სტანდარტული ან მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებული მეთოდები. შედეგად, თითოეული წყაროს

რეიტინგი ინდივიდუალურია და სავარაუდოდ, ოდნავ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა, მთლიანობაში გარკვეული ტენდენციები სახეზეა.

ამის მიუხედვად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინოვაციური ინდექსის ძირითადი კონკურენტების აშშ და იაპონიის ინოვაციურ ინდექსთან შედარებისას ცხადად ჩანს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ის გაცილებით დაბალი აქვთ, რომლის ძირითადი მიზეზია ინოვაციური პროცესების არასაკმარისი დაფინანსება. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ევროკავშირში კვლევებსა და ინოვაციურ განვითარებაზე გამოიყოფა ნაკლები სახსრები, ვიდრე კონკურენტ ქვეყნებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინოვაციების სფეროში ჩამორჩენას ევროპაში ხელს უწყობს **ბიუროკრატიული წინააღმდეგობები.** ბოლო 10 წლის განმავლობაში ევროკავშირში შეიქმნა და გამოქვეყნდა დაახლოებით 1400 ნორმატიული აქტი, რომელიც ართულებს მცირე ბიზნესის საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით 2021 წლის 1 იანვრიდან სტარტი აიღო ევროკავშირის ინოვაციური ევროპის მეცხრე ჩარჩო პროგრამამ, რომელიც მიმართულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთიან სივრცეში მეცნიერებისა და კვლევების მხარდაჭერისა და განვითარებისაკენ. (EU Research & Innovation Investment Programme, 2021) (2021-2027წწ),

ჩარჩო-პროგრამები (**FP- Frame Program**) - ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ტექნოლოგიური და სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. ხორციელდება 1984 წლიდან. პირველი 6 ჩარჩო პროგრამა მოიცავდა 5 წელს, შემდეგ 7-ს, ბოლო 6 წელს. ჩარჩო პროგრამების დაფინანსების ზრდა 3,75 მლრდ. ევროდან 100 მილიარდ ევრომდე ასახავს ევროკავშირის მიერ ევროპულ კვლევით სივრცეში კვლევების მხარდაჭერისა და წახალისების, მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით დაყენებული ამოცანების სერიოზულობას.

**ცხრილი №21. მცირე ინოვაციური საწარმოების მხარდაჭერის ყველაზე გავრცელებული ფორმები:**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციების შექმნა (კორპორაციები, სააგენტოები) რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე ინოვაციური საწარმოების სამეცნიერო-ტექნიკურ, ფინანსურ და მეწარმეობრივ მხარდაჭერას | აშშ, იაპონია, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა |
| 2 | ტექნოლოგიების გაცვლის საკითხში აქტიური ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან | პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში |
| 3 | მცირე ინოვაციური ბიზნესის სტიმულირების პროგრამების დამუშავებისას კლასტერული მიდგომის გამოყენება | ყველა განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში |
| 4 | მნიშვნელოვანი პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება (სუბსიდიები, სესხები) რომლებიც აღწევს ხარჯების 50%-ს ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიის შექმნაზე | საფრანგეთი, აშშ და სხვა |
| 5 | სამთავრობო ორგანიზაციების თემატიკით მ.კ. შემსრულებელი მცირე ინოვაციური საწარმოების ფინანსური და ტექნოლოგიური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები | აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა |
| 6 | სესხების გაცემა, მათ შორის უპროცენტო | შვეცია |
| 7 | სიახლეების დანერგვაზე 50% დანახარჯების დაფარვაზე უსასყიდლო სესხები | გერმანია |
| 8 | მიზნობრივი დოტაციები სამეცნიერო-კვლევით შემუშავებაზე | პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში |
| 9 | ინდივიდუალურ გამოგონებებზე სახელმწიფო გადასახადის შემცირება და საგადასახადო შეღავათების გაცემა | ავსტრია, გერმანია, აშშ, იაპონია და სხვა |
| 10 | სპეციალური ინფრასტრუქტურების შექმნა მათი მხარდაჭერისა და ეკონომიკური დაზღვევისათვის | იაპონია |
| 11 | გადასახადებისაგან გათავისუფლება ან მათი გადავადება, თუ გამოგონება ეხება ენერგიის ეკონომიას | ავსტრია |
| 12 | ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლების დაცვის საკანონმდებლო უზრუნველყოფა | ყველა განვითარებულ ქვეყანაში |
| 13 | ინოვაციურ სფეროში მოქმედი საწარმოების შეღავათიანი დაბეგვრა, დაბეგვრიდან მ.კ.-ზე | აშშ, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი, ჩინეთი, |

| | | |
|---|---|---|
| | დანახარჯების გამორიცხვა, უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შეღავათიანი დაბეგვრა, სამეცნიერო მოწყობილობების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოწერა, ამორტიზაციის დაჩქარებული ნორმებით | იაპონია |
| 14 | ინდივიდუალური გამომგონებლების დაკვეთით საპატენტო რწმუნებულების უფასო მომსახურება, საბაჟო გადასახდისაგან გათავისუფლება | ნიდერლანდები, გერმანია, იაპონია, ინდოეთი |
| 15 | პროგრამულ ტექნოლოგიებზე და ინოვაციურ დამუშავებებზე სპეციალიზირებული საინფორმაციო-სამძებრო საიტები, რომლებიც აძლევენ საშუალებას დაინტერესებულ საწარმოებს სწრაფად იპოვონ აუცილებელი ტექნიკური გადაწყვეტა და შესაძლო პარტნიორები | ყველა განვითარებულ ქვეყანაში |
| 16 | ვენჩურული კაპიტალის ფონდების ფართო ქსელის შექმნა, რომელიც გამოიყენება ინოვაციური პროექტების მცირე საწარმოების ძალებით რეალიზებისათვის | ყველა განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში |
| 17 | მეცნიერული პარკების ქსელის, ბიზნეს-ინკუბატორების და ტექნოლოგიური განვითარების ზონების შექმნა | ყველა განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში |
| 18 | ინოვაციური დანერგვის ფონდების შექმნა, შესაძლო კომერციული რისკის გათვალისწინებით | დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, ნიდერლნდები |
| 19 | რისკის შემცირებასა და სარისკო ზარალის ანაზღაურებაზე სახელმწიფო პროგრამები | აშშ, იაპონია |
| 20 | მ.კ. შესრულებაზე სდს ორგანიზაციებიდან სახელმწიფო კონტრაქტები | პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში |
| 21 | საკონსულტაციო პუნქტების შექმნა, შესაძლო კომერციული რისკის გათვალისწინებით | პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში |
| 22 | უფასო განათლების უზრუნველყოფა | გერმანია, ნორვეგია |

**ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ**

მცირე ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერის №21 ცხრილში მოყვანილი ფორმები აპრობირებულია და ატარებს უნივერსალურ ხასიათს. მათი გამოყენება ამა თუ იმ თანმიმდევრობით და კომბინაციებით ხელს უწყობს განვითარებული

ინდუსტრიული სახელმწიფოების მთავრობას მიაღწიოს სასურველ შედეგს - წარმოების ზრდას და გადასახადების შემცირებით ბიუჯეტის დანაკარგის კომპენსირებას.

უცხო ქვეყნების მცირე ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერის თანამედროვე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეროვნული თავისებურებების დამოუკიდებლად მისი ეფექტური განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყნის სახელმწიფო ორგანოების მიერ საგულდაგულოდ გააზრებული გასატარებელი ზომების სისტემა.

ამრიგად, მსოფლიოს ყველა წამყვანი სახელმწიფო ატარებს მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების აქტიურ მხარდაჭერას და ფართო დახმარებას უწევს მის განვითარებას, იყენებს რა მეთოდებს, რომლებიც დამუშავებულია ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით. ასეთი მხარდაჭერა მიზანმიმართულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტიული მიმართულებების განხორციელებაზე.

მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის მხარდაჭერა წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანაში. ამ ქვეყნების მცირე ბიზნესის სექტორში ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციის გამოცდილება მოწმობს ყველა პროცესში სისტემური სახელმწიფო მიდგომის აუცილებლობას, ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას, მეურნეობის ყველა დარგში ინოვაციური საქმიანობის ყოველმხრივ სტიმულირებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელი პირობა უნდა იყოს აქტიური სისტემური სახელმწიფო პოლიტიკა.

## 2.2 მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის თავისებურება და თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში

მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის განვითარების პრობლემები დისერტაციის პირველ თავში განვიხილეთ, სადაც გაანალიზებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დოკუმენტები და ბოლო წლებში მცირე ბიზნესისა და ინოვაციების მხარდასაჭერად საქართველოში განხორციელებული პროექტები. ხოლო ამ თავში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ინტელექტუალურ საკუთრებაზე და ჩვენი ქვეყნის ეროვნულ საპატენტო სისტემაზე.

ინფორმირებული საზოგადოების და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის პირობებში, ინტელექტუალური საკუთრება, ნებისმიერი კერძო კომპანიისათვის ეკონომიკური სარგებლის მომტან უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. თანამედროვე, განვითარებულ სახელმწიფოებში მოღვაწე ბიზნეს კომპანიები, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შექმნის ინვესტირებას, მათზე უფლებების მოპოვებასა და დაცვას.

დღეს ევროკავშირში[28], იმ საწარმოების წილი, რომლებიც საქმიანობაში აქტიურად იყენებენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს (IPR – Intelectual Property Right), ხელს უწყობენ სამუშაო ადგილების 35%-ის შექმნას, ევროკავშირის მთლიან შიდა პროდუქტში 39% და საგარეო ვაჭრობაში - 90%-ია. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს საწარმოები გაცილებით უფრო წარმატებულები არიან ვიდრე სხვები და ასეთ კომპანიებში შემოსავალი თითო დასაქმებულზე საშუალოდ 29%-ით მეტია. ასევე, საშუალოდ, 20%-ით მაღალია ხელფასები. (Veronese, 2016)

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ტრადიციულად გამოყოფენ ორ სფეროს[29]: სამრეწველო საკუთრებაზე უფლებებისა (გამოგონება, სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშნვა) და საავტორო უფლებების (სამეცნიერო, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოები) დაცვას.

[28] https://www.epo.org/index.html
[29] http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/23/

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს სარგებელი საკუთარი ნაშრომიდან და ინვესტიციიდან.(ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948) ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ხელს უწყობს ინოვაციას, ტექნოლოგიების გადაცემასა და გავრცელებას, სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას. (შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, 1994)

თანამედროვე პირობებში ინტელექტუალური საკუთრების მართვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ურთიერთობის განვითარება სამართლის ისეთ ძირითად სუბიექტებს შორის როგორიცაა: სახელმწიფო, ბიზნესი და მეცნიერება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ პირველმა შექმნა და აამოქმედა ეროვნული საპატენტო სამსახური ,,საქპატენტი", რომელიც შემდგომ გარდაიქმნა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრად.[30] დაარსების დღიდან მომზადდა და ამოქმედდა 30-მდე კანონი, კანონქვემდებარე აქტები და მთელი რიგი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელიც არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლების წარმოშობისა და განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს. მოქმედი კანონმდებლობა სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

საქართველოს საპატენტო კანონი ერთდროულად მოიცავს სამრეწველო საკუთრების სამ ობიექტს - **გამოგონებას, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშს.** კანონი აწესრიგებს აღნიშნული ობიექტების შექმნასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ქონებრივსა და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

კანონის მიხედვით გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის ავტორობა დაცული და განუსხვისებელი უფლებაა. პატენტის მიღება ასევე შეუძლია იმ კომპანიის მფლობელს, სადაც საგამომგონებლო საქმიანობა შესრულდა. საგამომგონებლო ობიექტები უნდა აკმაყოფილებდეს

[30] http://www.sakpatenti.gov.ge/ka/

პატენტუნარიანობის შემდეგ კრიტერიუმებს: სიახლე, საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა.

სიახლის ცნება დაკავშირებულია ტექნიკის დონესთან. გამოგონება ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული დონით. გამოგონება სამრეწველოდ გამოყენებადია თუ შესაძლებელია მისი დამზადება ან სარგებლობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სფეროებში.

სასარგებლო მოდელი გამოგონებისაგან განსხვავებით უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. ამ ობიექტის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ძლიერი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი, მაგრამ აქვთ უნარი ახლებურად გადაწყვიტონ პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანები. ის ძირითადად მოიცავს ისეთ დარგებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ფართო მოხმარების საგნების წარმოებასთან, რითაც ამჟამად ყველაზე უფრო დაინტერესებულია საქართველოს ბაზარი და ეკონომიკა.

საქართველოს პატენტი იცავს პატენტმფლობელის განსაკუთრებულ უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე. დაცვის ხანგრძლივობა შეადგენს გამოგონებისათვის - 20 წელს, სასარგებლო მოდელისათვის - 8-ს, ხოლო სამრეწველო ნიმუშისათვის - 15 წელს. გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული საფასურია: ჯამში 720$, ხოლო ყოველწლიური შენარჩუნება 20 წლის განმავლობაში 1360$. სასარგებლო მოდელის დაპატენტებასთან დაკავშირებული საფასურია: ჯამში 242$, ხოლო ყოველწლიური შენარჩუნება 8 წლის განმავლობაში 760$.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა დამატებით ხორცილდება „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონით, (კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“. 2017) რომელიც ეფუძნება **TRIPS** (TRIPS - Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights) - ის შეთანხმების (შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ, 1994) შესაბამის ნორმებს. ეს შეთანხმება ზღუდავს კონტრაფაქციული საქონლის საქართველოს საზღვრებზე

გადაადგილებას. 2012 წლიდან კი სასაზღვრო დაცვის მოსაპოვებლად საკმარისია მხოლოდ საქპატენტში რეგისტრაცია.

სამრეწველო საკუთრების ობიექტების გამოყენების დროს პატენტმფლობელისა და საზოგადოების ინტერესების დაბალანსების მიზნით კანონში გათვალისწინებულია ე. წ. იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი, კერძოდ, თუ გამოგონება ან სასარგებლო მოდელი პატენტის გაცემის დღიდან 4 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა არასაკმარისად, სახელმწიფოს ეძლევა უფლება აიძულოს პატენტმფლობელი გასცეს ლიცენზია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის გამოყენებაზე, შესაბამისი ანაზღაურებით.

საქართველოს მოქალაქეს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) უფლება აქვს შეიტანოს "**საქპატენტში**" საერთაშორისო განაცხადი, რომელიც იურიდიულად შეთანხმების მონაწილე ქვეყნების საპატენტო უწყებებში განაცხადის შეტანის ტოლფასია და ამარტივებს უცხოეთის ქვეყნებში პატენტის მიღების პროცედურას.

საქართველოში **სასაქონლო ნიშნის** დაცვის საფუძველს წარმოადგენს საქპატენტში მისი რეგისტრაცია. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშეც, პარიზის კონვენციის მე-6bis მუხლის შესაბიმისად. (სამრეწველო საკუთრების დაცვის კონვენცია, 1993) ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების (ნიშნების საერთაშორისო შეთანხმების პროტოკოლი. 1989) მიხედვით საქართველოს მეწარმეებს შეუძლიათ საქპატენტში შეიტანონ საერთაშორისო განაცხადი სასაქონლო ნიშანზე და მოითხოვონ მისი რეგისტრირება შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში.

**ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის** შესახებ საქართველოს კანონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, როგორც ღვინის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი ქვეყნისათვის. გეოგრაფიული აღნიშვნები წარმატებით გამოიყენება ისეთი აგროპროდუქტების წარმატებით ბრენდირებისა და ბაზარზე რეალიზებისათვის, რომელთა ხარისხი და რეპუტაცია დაკავშირებულია მათი წარმოების გეოგრაფიულ არეალთან.

დღესდღეობით მსოფლიოში ცნობილია 10,000-მდე გეოგრაფიული აღნიშვნით (შამპანური, კონიაკი, ბორდო) მონიშნული სხვადასხვა პროდუქტი, რომელთა საერთო მოცულობა თითქმის 100 მლრდ. აშშ დოლარს აღწევს[31]. გეოგრაფიული აღნიშვნების ძირითადი რაოდენობა (90%) მოდის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (**OECD** - Organization for Economic Co-operation and Development) შემავალ 30 ქვეყანაზე,(გაბუნია, 2018) მათ შორის მოწინავე პოზიციებზეა ის ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ, ერთი მხრივ, მაღალხარისხიანი და მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების წარმოების განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ხოლო მეორე მხრივ კი გამოირჩევიან ამ სფეროში არსებული მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით. **ესენია ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები: იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი.**

საფრანგეთში გეოგრაფიული აღნიშვნებით მონიშნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება წელიწადში შეადგენს 19 მლრდ. ევროს და მოიცავს 600-ზე მეტ დასახელებას. ამ პროდუქციის წარმოებაში ჩართულია 13,8000 საწარმო. საფრანგეთის ღვინის ექსპორტის 85% მოდის გეოგრაფიული აღნიშვნების ღვინოებზე. ასევე, შთამბეჭდავია იტალიის მონაცემები, სადაც გეოგრაფიული აღნიშვნით ბრენდირებული პროდუქტების მოცულობა აჭარბებს 12 მლრდ. ევროს, ხოლო მის წარმოებაში ჩართულია 300 ათასი ადამიანი. (Giovannucci, 2009) ევროკავშირში იწარმოება დაახლოებით 60 მილიარდი ევროს ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ბოლო პერიოდში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემისადმი საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, მათ შორის, ისეთი დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში[32], როგორიცაა: **ჩინეთი, ინდოეთი და ბრაზილია.** გეოგრაფიული აღნიშვნები საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც ეფექტიანი საშუალება მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი აგროპროდუქტების წარმოებისა და რეგიონის

---

[31] https://ec.europa.eu/info/food-farming-fisheries/food-safety-and-quality/certification/quality-labels/geographical-indications-register/

[32] http://ec.europa.eu/agriculture/spirits/index.cfm?event=searchIndication

განვითარებისა[33].

გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული ტრადიციული პროდუქტის წარმოება ხელს უწყობს ხანგრძლივი და საიმედო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ადგილობრივ მოსახლეობაში, (Rangnekar, 2004) თაობათაშორისი კავშირების გაძლიერების სტიმულირებას, რეგიონში სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფას.  ადგილობრივ მოსახლეობაში ბადებს სიამაყის გრძნობას და ხელს უწყობს მათ თვითდამკვიდრებასა და რეგიონში იმიგრაციის პროცესის უკუქცევას, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ამ პროდუქტის გარშემო ადგილობრივი მეწარმეების, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების, კონსოლიდაციასა და დამატებითი ღირებულებების წარმოების მდგრადი ჯაჭვის შექმნას. მას აქვს ასევე ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტები.

გეოგრაფიული აღნიშვნები რეგიონში (Montpellier, 2007) ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების ზრდას, ბიზნესისათვის მიმზიდველი ანკლავების სახით პროფილირებას, რის საფუძველზეც  იზრდება ინვესტიციები, მიწაზე ფასები, რეგიონის ცნობადობა, აგრარული ტურიზმი.

სპეციფიკური ხარისხობრივი მახასიათებლებისა და ავთენთიკური წარმოშობის მქონე აგროპროდუქტებისადმი სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება მთელ მსოფლიოში[34], რაც განპირობებულია  გასტრონომიული კულტურის განვითარებით მსოფლიოში და მისი დაკმაყოფილების ფინანსური შესაძლებლობების გაჩენით მრავალ ქვეყანაში.

საქართველო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მდიდარი ტრადიციების ქვეყანაა. ის გამოირჩევა მრავალფეროვანი აგრო-კლიმატური პირობებით, რაც იძლევა განსხვავებული და, იმავდროულად, განსაკუთრებული ხარისხის აგროპროდუქციის წარმოების საშუალებას. ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა, ასევე, მდიდარი კულინარიული ტრადიციებით.

საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის ფორმირება დაიწყო გასული საუკუნეების 90-იან წლებში. (გაბუნია, 2015) ამჟამად იგი

[33] www.wipo.int/lisbon/en
[34] www.origin-gi.com

წარმატებით ფუნქციონირებს აგროსექტორის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ღვინისა და მინერალური წყლების წარმოება. თუმცა, ჩვენს ქვეყანას გააჩნია გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებული საკმაოდ დიდი, მაგრამ ჯერჯერობით არასათანადოდ გამოყენებული პოტენციალი აგროსექტორის სხვა დარგებშიც. ამ პოტენციალის გააზრებულ და მიზანმიმართულ რეალიზებას კი შეუძლია გარდამტეხი გავლენა იქონიოს ქვეყანაში მაღალი ხარისხის ხილისა და ბოსტნეულის, რძისა და ხორცის პროდუქტების, და სხვა წარმოების განვითარებასა და ქვეყნის ექსპორტული შესაძლებლობების ზრდაზე. ამჟამად საქპატენტში სულ დარეგისტრირებულია ადგილწარმოშობის დასახელებით და გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული 46 ქართული პროდუქტი. (EU, Trade insight. 2017) ასევე შერჩეულია გეოგრაფიული აღნიშვნით დაცვის პოტენციალის მქონე 100-ზე მეტი პროდუქტი.(გაბუნია, 2014)

გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის დასახელებების ეროვნულ და საერთაშორისო განაცხადებში საქპატენტში ლიდერობს: ხელნაკეთი ხალიჩები, ყველი, ხორცის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, ზეთისხილი, კაკაო, ალკოჰოლური სასმელები, ძვირფასი ქვები. საქართველოზე ადგილწარმოშობის დასახელებების გავრცელების მოთხოვნით ფიქსირდება: იტალიის, ირანის, სლოვაკეთის, იუგოსლავიის, მაკედონიის, კუბის, კოსტა რიკის და მექსიკის აქტიურობა.

სასაქონლო ნიშნების, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო განაცხადებში ბოლო 3 წლის განმავლობაში ლიდერობს განაცხადები მომსახურების სფეროსა და ფარმაცევტულ პროდუქტებზე, რეკლამაზე, საოფისე მომსახურებაზე, კომპიუტერულ პროგრამებზე, ალკოჰოლურ სასმელებზე (საქპატენტის ბიულეტენი, 2015). განაცხადები ფიქსირდება აშშ-დან, გერმანიიდან, რუსეთიდან და თურქეთიდან.

საქართველოს ტერიტორიაზე დიზაინზე უფლებათა გავრცელების მოთხოვნით, განაცხადების პრიორიტეტული დაცვის ობიექტებია: საათები, ტარა, საიუველირო ნაწარმი, ნაბეჭდი პროდუქცია, გრაფიკული სიმბოლო, ლოგო, ზედაპირის მოხატულობა. აქტიურობენ განმცხადებლები შვეიცარიიდან,

გერმანიიდან და საფრანგეთიდან.

ბოლო წლებში იზრდება **დიზაინზე** ეროვნული პროცედურით შემოსული განაცხადების რაოდენობა, რაც მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის განსაკუთრებულ დაინტერესებაზე დიზაინით, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ობიექტზე. განცხადებებში ლიდერობს ოპტიკური ხელსაწყოები, კოსმეტიკური საშუალებები, კვების პროდუქტები, სამკაულები, ნაბეჭდი პროდუქცია, გრაფიკული სიმბოლოები, სავაჭრო და სარეკლამო მოწყობილობები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისთვის გამოგონების და სასარგებლო მოდელის დაპატენტების **საფასურებზე შეღავათის** დაწესებამ ბოლო წლებში გაზარდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების აქტივობა.

გამოგონებასა და სასარგებლო მოდელის, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ განაცხადებში ლიდერობს განაცხადები ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნებზე. უცხოურ განაცხადში ლიდერობენ: აშშ, იტალია, გერმანია, იაპონია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში გადავხედოთ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში შესულ და რეგისტრირებულ განცხადებებს, როგორც ადგილობრივს ასევე უცხოურს, 2017 – 2021 წლებში.

**ცხრილი № 22. სასაქონლო ნიშანი, განაცხადები 2017-2021**

| სასაქონლო ნიშანი | | შესული განცხადებები | | | | | რეგისტრირებუი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
| ეროვნული | ადგ. | 1664 | 1373 | 1443 | 1389 | 1441 | 630 | 833 | 924 | 811 | 815 |
| | უცხ. | 768 | 691 | 608 | 546 | 540 | 548 | 591 | 647 | 519 | 521 |
| საერთაშორისო | | 3145 | 3101 | 3339 | 2771 | 2769 | 2407 | 3257 | 2988 | 3066 | 3070 |
| სულ | | 5577 | 5390 | 5385 | 4706 | 4701 | 3585 | 4681 | 4559 | 4396 | 4412 |

**წყარო:** საქპატენტი. https://www.sakpatenti.gov.ge/ka/

**ცხრილი № 23. გეოგრაფიული აღვნიშვნები, განაცხადები 2017-2021**

| გეოგრაფიული აღნიშვნები | შესული განცხადებები | | | | | რეგისტრირებული ნიშნები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული | გეოგ. აღნიშვნა | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 2 |
| | ადგილწარ. დასახ. | 1 | 1 | 4 | 2 | 3 | 0 | 1 | 1 | 4 | 5 |
| საერთაშორისო | | 3 | 57 | 10 | 6 | 5 | 31 | 0 | 69 | 5 | 7 |
| ადგილწარ. დასახ. გამოყენების უფლ. | | 34 | 19 | 25 | 40 | 41 | 34 | 36 | 25 | 39 | 40 |

წყარო: საქპატენტი https://www.sakpatenti.gov.ge/ka/

## ცხრილი №24. დიზაინი, განაცხადები 2017-2021

| დიზაინი | | | შესული განცხადებები | | | | | რეგისტრირებული ნიშნები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
| ეროვნული | ადგილობრივი | ი/პ | 16 | 14 | 9 | 14 | 13 | 9 | 14 | 7 | 9 | 11 |
| | | ფ/პ | 51 | 29 | 54 | 30 | 31 | 32 | 32 | 19 | 30 | 32 |
| | უცხოური | | 11 | 13 | 7 | 14 | 12 | 3 | 4 | 10 | 8 | 9 |
| საერთაშორისო | | | 174 | 126 | 139 | 146 | 147 | 181 | 121 | 145 | 100 | 174 |
| სულ | | | 328 | 273 | 252 | 182 | 178 | 288 | 267 | 166 | 201 | 236 |

წყარო: საქპატენტი https://www.sakpatenti.gov.ge/ka/

## ცხრილი № 25. გამოგონება, განაცხადები 2017-2021

| გამოგონება | | | შესული განცხადებები | | | | | რეგისტრირებული ნიშნები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
| ეროვნული | ადგილობრივი | ი/პ/უნ | 12/5 | 18/6 | 21/4 | 18/6 | 11/5 | 9 | 10 | 9/2 | 10/6 | 11/4 |
| | | ფ/პ | 58 | 79 | 60 | 57 | 58 | 28 | 2 | 20 | 29 | 30 |
| | უცხოური | | 10 | 6 | 1 | - | 1 | 6 | 24 | 4 | 4 | 5 |
| საერთაშორისო | | | 147 | 151 | 111 | 134 | 135 | 163 | 0 | 80 | 103 | 100 |
| სულ | | | 232 | 260 | 197 | 215 | 214 | 206 | 97 | 115 | 152 | 151 |

წყარო: საქპატენტი https://www.sakpatenti.gov.ge/ka/

## ცხრილი № 26. სასარგებლო მოდელი, განაცხადები 2017-2021

| სასარგებლო მოდელი | შესული განცხადებები | | | | | რეგისტრირებული ნიშნები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ეროვნ ული** | ადგილ ობრივი | ი/პ/ უნი | ¼ | 4/2 | 5/6 | 2/2 | 3/4 | 3/1 | 2/3 | 4/1 | 1/3 | 1/2 |
| | | ფ/პ | 36 | 45 | 64 | 53 | 54 | 31 | 34 | 23 | 29 | 30 |
| | უცხოური | | 3 | 4 | 0 | 5 | 6 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 |
| **საერთაშორისო** | | | 0 | 0 | 1 | 3 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 1 |
| **სულ** | | | 57 | 55 | 76 | 82 | 83 | 37 | 42 | 30 | 34 | 35 |

**წყარო:** საქპატენტი https://www.sakpatenti.gov.ge/ka/

როგორც ცხრილებიდან ჩანს 2020 წელს სასარგებლო მოდელებზე განაცხადები ჯამში 34-ია, სადაც ყველა ეროვნული განაცხადია, აქედან ფიზიკურ პირის 29, ხოლო უნივერსიტეტის 3. გამოგონების დაპატენტებაზე ეროვნული განაცხადები 152-ია, 49-ს წარმოადგენს ძირითადად ფიზიკური პირები. დიზაინზე განაცხადი წარმოადგენს 236-ს, აქედან ეროვნულს 42. აქაც ჭარბობენ ფიზიკური პირები და 30-ია. სასაქონლო ნიშნებში რეგისტრირებულია სულ 4396 განაცხადი, აქედან ეროვნული 1430-ია. გეოგრაფიული აღნიშვნები სულ 39-ია, აქედან 5 ეროვნული. გადავხედოთ მსოფლიო საპატენტო განაცხადების სტატისტიკას.

**დიაგრამა №2**. საერთაშორისო საპატენტო განაცხადები. ტოპ 5-ეული.1978-21წლები




**წყარო:** https://www.wipo.int/portal/en/

ბოლო 10 წლის განმავლობაში WIPO-ში საგრძნობლად გაიზარდა საერთაშორისო განაცხადები საშუალოზე მაღალ შემოსავლიანი ქვეყნებიდან 2.6%-დან 21% - მდე. რეგიონების მიხედვით 2021 წელს ლიდერობს აზია, რომელმაც გაასწრო ევროპას. ტოპ ხუთეული ლიდერი ქვეყნები საპატენტო განაცხადებში: აშშ, ჩინეთი, იაპონია, გერმანია და კორეის რეპუბლიკა.

**ცხრილი № 27. საერთაშორისო განაცხადები პატენტზე უნივერსიტეტების მიხედვით, 2017-21წ.**

| აპლიკანტი | ქვეყანა | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კალიფორნიის უნივერსიტეტი** | აშშ | 434 | 482 | 501 | 512 | 545 |
| **მასაჩუსეტსის ტექნ. ინსტიტუტი** | აშშ | 236 | 279 | 216 | 225 | 250 |
| **შენზენის უნივერსიტეტი** | ჩინეთი | 87 | 108 | 201 | 247 | 250 |
| **სამხრეთ ჩინეთის ტექნ. უნივერსიტეტი** | ჩინეთი | 50 | 70 | 170 | 191 | 201 |
| **ჰარვარდის უნივერსიტეტი** | აშშ | 163 | 179 | 169 | 179 | 191 |
| **სეულის ეროვნული უნივერსიტეტი** | კორეის რესპუბლიკა | 155 | 161 | 158 | 162 | 169 |
| **შინგუას უნივერსიტეტი** | ჩინეთი | 122 | 119 | 137 | 141 | 152 |
| **ლელანდ სტანფორდის უნივერსიტეტი** | აშშ | 84 | 90 | 137 | 142 | 145 |
| **ტექნ. და მრეწველობის ჩინეთის უნივ.** | ჩინეთი | 104 | 113 | 121 | 131 | 136 |
| **ოსაკას უნივერსიტეტი** | იაპონია | 84 | 99 | 114 | 116 | 121 |

წყარო: https://www.wipo.int/ipstats/en/

საერთაშორისო განაცხადებში ლიდერობს ჩინეთის კომპანია **ჰუავეი,** რომელმაც მოხსნა რეკორდი ერთი წლის განმავლობაში ერთი კომპანიის მიერ განაცხადების რაოდენობის მიხედვით.

ცხრილი № 28. პატენტზე საერთაშორისო განაცხადებში წამყვანი კომპანიები, 2017-2021წ.

| აპლიკანტი | ქვეყანა | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰუავეის ტექნოლოგიები | ჩინეთი | 3,692 | 4,024 | 5,405 | 5,501 | 5,600 |
| მიცუბიშის ელექტრონული კორპორაცია | იაპონია | 2,053 | 2,521 | 2,812 | 3,123 | 3,633 |
| ინტელის კორპორაცია | აშშ | 1,692 | 2,637 | 2,499 | 2,511 | 2,542 |
| QUALCOMM კორპორაცია | აშშ | 2,466 | 2,163 | 2,404 | 2,532 | 2,632 |
| ZTE კორპორაცია | ჩინეთი | 4,123 | 2,965 | 2,080 | 2,961 | 3,112 |
| სამსუნგ ელექტრონიქსი | კორეის რესპუბლიკა | 1,672 | 1,757 | 1,997 | 2,012 | 2,056 |
| BOE ტექნოლოგიების ჯგუფი | ჩინეთი | 1,673 | 1,818 | 1,813 | 1,925 | 1,987 |
| LG ელექტრონიქსი | კორეის რესპუბლიკა | 1,888 | 1,945 | 1,697 | 1,950 | 2,012 |
| PUBL ერიქსონი | შვედეთი | 1,608 | 1,564 | 1,645 | 1,700 | 1,725 |
| რობერტ ბოშის კორპორაცია | გერმანია | 1,274 | 1,354 | 1,524 | 1,621 | 1,658 |

წყარო: https://www.wipo.int/ipstats/en/

WIPO-ს საერთაშორისო განაცხადებში ლიდერობს კერძო სექტორი, ბიზნესი - 85.3% -ია განაცხადების საერთო რაოდენობაში. 1993 წლიდან უნივერსიტეტების სექტორში საერთაშორისო საპატენტო განაცხადებში ლიდერობს უნივერსიტეტები შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ, ჩინეთი, იაპონია და კორეა. პირველ ადგილზეა რეიტინგებში **კალიფორნიის უნივერსიტეტი.** საერთაშორისო განაცხადებში ლიდერობს ჩინეთის კომპანია **ჰუავეი,** რომელმაც მოხსნა რეკორდი ერთი წლის განმავლობაში ერთი კომპანიის მიერ განაცხადების რაოდენობის მიხედვით.

დიაგრამა №3. საერთაშორისო განაცხადები 2011-2021 წლებში




**წყარო**: https://www.wipo.int/ipstats/en/

**ტექნოლოგიის 10 ყველაზე ტრენდული სფერო** 1979-2021 წლებში არის: კომპიუტერული ტექნოლოგიები, ციფრული კომუნიკაციები, ბიოტექნოლოგიები, აუდიო-ვიზუალური ტექნოლოგიები, სამედიცინო ტექნოლოგიები, ფარმაცევტული, ორგანული ქიმია, ელექტრო-მოწყობილობები-აპარატურა-ენერგია, ტრანსპორტი. ტექნოლოგიების სფეროში 2021 წლის ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდით დაახლოებით 10.1%-ით, გამოირჩევა **ციფრული კომუნიკაციები.**

ყველაზე მჭიდრო თანამშრომლობით გამოგონების სფეროში ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის 2021 წლის მონაცემებით ლიდერობს ბელგია, საფრანგეთი და ესპანეთი. შემდეგ მოდის იტალია, იაპონია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, კანადა, გერმანია. საერთაშორისო საპატენტო განაცხადებში ლიდერობს ჩინეთი. ჩინეთი ასევე ლიდერობს გეოგრაფიული აღნიშვნების, სავაჭრო ნიშნების და სამრეწველო ნიშნების საერთაშორისო განაცხადებშიც. ჩინეთმა ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაასწრო აშშ-ს.

საქართველოს საერთაშორისო საპატენტო განაცხადებმა იკლო ბოლო 10 წლის განმავლობაში, იმატა გეოგრაფიულ აღნიშვნებზე საერთაშორისო განაცხადებმა და გაასწრო ისეთ ქვეყნებს როგორიცაა ისრაელი, თურქეთი, იაპონია და აშშ. იკლო

სამრეწველო ნიმუშების განაცხადებმაც, ხოლო სავაჭრო ნიშნებზე ტრენდი თითქმის შენარჩუნებულია. (იხ. ცხრილი №29, იხ. ცხრილი №30)

ყველაზე მჭიდრო თანამშრომლობით გამოგონების სფეროში ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის 2021 წლის მონაცემებით ლიდერობს ბელგია, საფრანგეთი და ესპანეთი. შემდეგ მოდის იტალია, იაპონია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, კანადა, გერმანია.

**ცხრილი № 29. საერთაშორისო საპატენტო განაცხადები 2015-2021წლებში**

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 1101864 | 1338503 | 1381594 | 1542002 | 1400661 | 1497159 | 1587123 |
| ევროპა | 360100 | 354900 | 356000 | 362000 | 363900 | 357900 | 361230 |
| საქართ | 271 | 274 | 232 | 260 | 197 | 215 | 216 |
| იაპონია | 318721 | 318381 | 318481 | 313567 | 307969 | 288472 | 296317 |
| კორეა | 213694 | 208830 | 204775 | 209992 | 218975 | 226759 | 278963 |
| აშშ | 589410 | 605571 | 606956 | 597141 | 621453 | 597172 | 614589 |

წყარო: https://ipportal.wipo.int/

საერთაშორისო საპატენტო განაცხადებში საქართველოს ახასიათებს კლების ტრენდი.

**ცხრილი № 30. გეოგრაფიულ აღვნიშვნაზე საერთაშორისო განაცხადები 2018-2021 წლებში**

| | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 7247 | 7834 | 8476 | 8963 |
| იაპონია | 90 | 316 | 334 | 345 |
| აშშ | | 529 | 606 | 685 |
| ბრაზილია | 68 | 74 | 84 | 94 |
| საფრანგეთი | 5988 | 5815 | 5419 | 5301 |
| საქართველო | 4426 | 4416 | 4490 | 5123 |
| საბერძნეთი | 5000 | 4826 | 4931 | 3001 |
| ისრაელი | 1000 | 1022 | 1033 | 1048 |
| იტალია | 6015 | 5840 | 5777 | 5963 |
| პორტუგალია | 5998 | 5760 | 5871 | 5978 |
| თურქეთი | 398 | 487 | 631 | 652 |

წყარო: https://ipportal.wipo.int/

მოცემული ცხრილებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო საპატენტო განაცხადებში ლიდერობს ჩინეთი. ჩინეთი ასევე ლიდერობს გეოგრაფიული აღნიშვნების, სავაჭრო ნიშნების და სამრეწველო ნიშნების

საერთაშორისო განაცხადებშიც. ჩინეთმა ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაასწრო აშშ-ს. საქართველოს საერთაშორისო საპატენტო განაცხადებმა იკლო ბოლო 10 წლის განმავლობაში, იმატა გეოგრაფიულ აღნიშვნებზე საერთაშორისო განაცხადებმა და გაასწრო ისეთ ქვეყნებს როგორიცაა ისრაელი, თურქეთი, იაპონია და აშშ. იკლო სამრეწველო ნიმუშების განაცხადებმაც, ხოლო სავაჭრო ნიშნებზე ტრენდი თითქმის შენარჩუნებულია.

რომ დავუბრუნდეთ, არამატერიალური აქტივებისა და ინტელექტუალური საკუთრების ანალიზს, მისი როლი ჩვენს ქვეყნაში არ არის საკმარისად შეფასებული. ასევე თუ შევადარებთ საზღვარგარეთის ორგანიზაციების ინტელექტუალური საკუთრების მართვის შიდა სტრუქტურებს, წარმოების საერთო აქტივებში არამატერიალური აქტივების წილი საკმაოდ მაღალია უცხოურ კომპანიებში.

საჭიროა ჩვენს ქვეყანაში არსებული საგამომგონებლო პოტენციალის რეზერვების სწორად დაორგანიზება, წახალისება და გამოყენება, რაც გამოიწვევს საგამომგონებლო ნიჭისა და ტექნოლოგიური სიახლეების პრაქტიკულ გამოყენებას. ეს განპირობებულია ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ხასიათით, ეროვნული პრიორიტებებით, მიზნებით და ინტერესებით.

კერძო სექტორმა ამ სფეროში უფრო დინამიური როლი უნდა შეასრულოს, უნდა მოხდეს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მიზნობრივი დაფინანსება, ზოგჯერ ამ საქმიანობაში პირდაპირი ჩარევაც კი. ინდივიდუალური გამომგონებელი ნელნელა უნდა ჩაანაცვლოს კერძო საწარმოებისა და სახელმწიფო სამსახურში მყოფმა მკველვართა და გამომგონებელთა ჯგუფებმა. ტექნოლოგიური ცვლილებების წარმატებებით გადმოტანისათვის საჭიროა არსებობდეს ადგილობრივი ტექნოლოგიური შესაძლებლობები სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური დამუშავების ჩასატარებლად. იმპორტირებულმა ტექნოლოგიამ უნდა შეავსოს ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

ტექნოლოგიურ დონეთა სხვაობის შესავსებად საჭიროა ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ქვეყნის შიგნითაც, რაც უცხოური ტექნოლოგიის ადგილობრივ პირობებთან წარმატების ადაპტირებისა და საკუთარი ახალი ტექნოლოგიების შექმნის წინაპირობას შექმნის. პოტენციურად სასარგებლო

ტექნოლოგიური ინფორმაციის მონახვა შესაძლებელია ნებისმიერ ქვეყანაში, მათი ტექნოლოგიური განვითარების არსებული დონის მიუხედავად, ამისთვის ჩვენ უნდა გვქონდეს შესაბამისი ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და სათანადოდ მომზადებული პერსონალი.

ტექნოლოგიური ინფორმაცია ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის, იქიდან გამომდინარე რომ WIPO (WIPO - Intelecual Property World Organization) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია ყოველწლიურად აქვეყნებს მილიონობით საპატენტო ინფორმაციას. ასევე ამ ინფორმაციის ანუ საპატენტო განაცხადის სრული ტექსტების უფასო ასლებით უზრუნველყოფას, თუ ამის შესახებ არის მომხმარებლის მოთხოვნა განვითარებადი ქვეყნიდან.

სამთავრობო დაწესებულებები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და მრეწველობა ერთობლივად უნდა მუშაობდნენ ინოვაციური საქმიანობის წახალისებაზე, ეროვნული მრეწველობის დახმარებით საექსპორტო პოტენციალის გაზრდაზე, სამრეწველო პრიორიტეტების დადგენაზე, ქვეყანაში საკუთარი ტექნოლოგიების შემუშავებაზე და ა.შ.

ადგილობრივ ტექნოლოგიებთან საპატენტო დოკუმენტების მიმოხილვით უნდა განისაზღვროს რომელი მათგანი უფრო მიესადაგება წარმოების ზრდას, რომელიც მოიხმარს უფრო ნაკლებ ენერგიას და რომელი შეიძლება იქნეს გამოყენებული სოფლად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და საქონლის იმპორტის შემცირების უზრუნველსაყოფად.

მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმა უნდა შექმნან იმ ეროვნული პატენტების ფონდები, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროშია გაცემული, და ამავე დროს თვალყური ადევნონ საერთაშორისო განვითარებას, რომელიც ასახულია მათი საზღვარგარეთული კონკურენტების პატენტებში. პატენტებზე განაცხადების სახეობასა და რაოდენობას, რომლებიც ტრანსნაციონალურ კომპანიებს შეაქვთ, შეუძლია უკარნახოს ადგილობრივ მეწარმეს საკუთარი ბაზრის განვითარების შესაძლებლობები, რის შედეგადაც იგი შეძლებს თავისი სტრატეგიის ადაპტირებას ან კორექტირებას.

უნივერსიტეტების სამეცნიერო ბიბლიოთეკები უნდა გამდიდრდეს იმ საპატენტო დოკუმენტაციით, რომელიც დაკავშირებულია მათი ტექნოლოგიური ფაკულტეტების საქმიანობასთან. მრეწველობა ხშირად მიმართავს უნივერსიტეტებს საექსპორტო შეფასებისათვის, ან გარკვეული გამოკვლების ჩასატარებლად, რისთვისაც საჭიროა მოწყობილობები, რომლებიც ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ მცირე და საშუალო საწარმოებს. უნდა შეიქმნას სამრეწველო-ტექნოლოგიური ინფორმაციის ბანაკი, რაც მოწინავე ტექნოლოგიების შერჩევის შესაძლებლობას მოგვცემს.

სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს საზოგადოებაში საკუთარ გამომგონებელთა და ინოვაციების ავტორთა როლის აღიარებისკენ, ტექნიკური და ფინანსური დახმარების აღმოჩენისკენ, სამეცნიერო-კვევითი დაწესებულებებსა და მრეწველობას შორის უფრო ეფექტიანი კოორდინაციისკენ. გარდა ამისა, იგი უნდა ითვალისწინებდეს ისეთი სახის მხადაჭერას, როგორიცაა სხვა საქმიანობის ახალი პროდუქტების საწარმოო პროცესების გამოცდა, მარკეტინგი ან წარმოებისა და კომერციალიზაციის პირდაპირი სტიმულირება. უნდა მოხდეს საგამომგონებლო საქმიანობის წახალისება მორალური სტიმულებით, გამოფენებით, კონკურსებით.

ამ სფეროს ადმინისტრირება უნდა იყოს ეფექტიანი და არ იყოს ძვირი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბარიერები გამომგონებლის მიერ სამართლებრივი უფლებების მოპოვების პროცესში.

## 2.3 მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის შეფასება საქართველოს ეკონომიკაში

მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის შესაფასებლად ჩვენ გამოვყავით საინოვაციო პოტენციალი. ეკონომიკის მეცნიერებაში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული „საწარმოს პოტენციალის" ცნების განსაზღვრება. ჩვენი კვლევის მიზნებისათვის სასურველია გავარკვიოთ მოცემული ცნების არსი.

ტერმინი „პოტენციალი" წარმოდგება ლათ „Potencia"-სგან, რაც ფარულ საშუალებას, უნარს, ძალს ნიშნავს, რომელსაც შეუძლია წარმოჩნდეს ღია პირობებში[35].

„პოტენციალი - ეს არის არსებული „სამარაგო" საშუალებები, წყაროები, რომლებიც შეიძლება იყოს მობილიზებული, მოქმედებაში მოყვანილი გარკვეული მიზნის მისაღწევად ამა თუ იმ ამოცანის გადასაწყვეტად"[36].

სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება ისეთი ცნებები, როგორიცაა სტრატეგიული, ეკონომიკური, საბაზრო, საწარმოო, შრომითი, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა პოტენციალები. ცნება „პოტენციალის" მრავალასპექტობა იხსნება ობიექტების მრავალფეროვნებით, რომლებთანაც ის გამოიყენება. მთავარი, რაც აერთიანებს სხვადასხვა პოტენციალს, მდგომარეობს იმაში, რომ პრაქტიკულად ყველა ისინი მოიცავს რაღაც ერთობლიობის შესაძლებლობებს ან უნარს იმ სფეროში, (Романович, 2010) სადაც გამოიყენება ესა თუ ის განმარტება. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მეტწილ განმარტებებში მიეთითება შესაძლებლობების ფლობის მთელი ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ მიზნების მისაღწევად. (Marshall, 1890)

აქვე უნდა აღინიშნოს რომ აუცილებელია არა მარტო რესურსების, არამედ დაგროვილი, მაგრამ გამოუყენებელი მარაგების ცოდნა,(Mensch, 1979) რადგან ეკონომისტების აზრით საზოგადოების მიერ შეგნებულად დადგენილი პროპორციები მხოლოდ იმ შემთხვევაში უზრუნველყოფს ნამდვილად გეგმაზომიერ განვითარებას, თუკი საზოგადოება ფლობს საკმარის მარაგს. (Райзберг, 2001) მარაგის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს სამეცნიერო-

[35] https://languages.oup.com/google-dictionary-en/

[36] www.Ka.wikipedia.org/wiki/პოტენციალი

ტექნიკური პროგრესის შედეგად კვლავწარმოების სვლის რღვევის აცდენა, ინოვაციების დანერგვა. მარაგის სრული და რაციონალური გამოყენების მისაღწევად, აუცილებელია საკუთარი პოტენციალის კარგი ცოდნა, მისი დონის შესახებ აუცილებელი წარმოდგენის ფლობა.

ჩვენი კვლევის მიზნებისათვის აუცილებლია გამოვყოთ მცირე საწარმოს ინოვაციური პოტენციალის მთავარი განმსაზღვრელი ელემენტი - ინტელექტუალური, ადამიანური რესურსი და შევაფასოთ ის საქართველოს ეკონომიკაში. როგორია დღეს ჩვენს ქვეყანაში ადამიანური რესურსის განვითარების დონე, როგორია აქტიური სამუშაო ძალა, რა მოცულობის ინვესტიცია ხორციელდება ან უნდა განხორციელდეს ადამიანურ კაპიტალში, რომელმაც შეიძლება ქვეყანას მოუტანოს ინოვაციები, მშპ-ს სწრაფი და მდგრადი განვითარება.

დისერტაციაში აქცენტი გაკეთდება კოლექტივის ერთობლიობის შედეგად შესაძლებლობების ერთიან გამოხატვაზე, რის საფუძველზეც კეთდება დასკვნა სინერგეტიკული ეფექტის შესახებ, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ამოცანის შესასრულებლად. რაც უფრო წარმატებით ჩამოყალიბდება ობიექტის სტრუქტურა, რაც უფრო მჭიდრო შესაბამისობაში იმყოფება მისი სტრუქტურული და ფუნქციური ელემენტები, მით უფრო მაღალია მისი პოტენციალი და ეფექტიანობა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით დასტურდება რომ საქართველოს მოსახლეობის აქტიურ სამუშაო ძალას, ქმედუნარიან ყოველ მეოთხე ადამიანს (700 ათასი ადამიანი ჯამში) აქვს დიდი სურვილი ჰქონდეს საკუთარი ბიზნესი. მიკრო და მცირე საწარმოები კი ბიზნესის ის ფორმებია, სადაც შესაძლებელია დასაქმდნენ ადამიანები, როგორც მაღალი ისე დაბალი კვალიფიკაციით. ოკუნის კანონით, სამუშაო ძალაში დაუსაქმებელთა წილის თითოეული პროცენტი მშპ-ს 2%-იან დანაკარგს იძლევა და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ მდგომარეობაზე[37]. ამას ემატება ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი სტრუქტურული პრობლემა - სოციალური პოლიტიკა, რაც მთლიანი მოსახლეობის 14.3%-ს

[37] http://www.osgf.ge/files/publications/2011/EPRCGeorgianEconomicOutlookII,Nov2011GEO.pdf

უმუშევრობისა და უმოქმედობისკენ უბიძგებს. ამავე კანონის თანახმად მზარდი ეკონომიკისთვის აუცილებელია დასაქმებული ადამიანების ზრდა. (Okun, 1983)

რადგან საქართველოს განვითარების პოლიტიკის მთავარი მიმართულება ადამიანურ რესურსებზეა ორიენტირებული და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში აქტუალიზებულია ინკლუზიური ზრდის თემატიკა, ამიტომ ამ უკანასკნელზე დიდი აქცენტი უნდა გაკეთდეს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანური რესურსის პოტენციალი სრულფასოვნად უნდა ჩაებას ქვეყნის განვითარებისა და სიმდიდრის შექმნის პროცესში. აქედან გამომდინარე საინტერესოა გადავხედოთ განვითარების ალტერნატიულ ხედვებს, რასაც სხვადასხვა მეცნიერები გვთავაზობენ.

ჯონ ნეშის აკადემიური ხედვების მიხედვით საზოგადოებრივი ჯგუფისთვის ყველაზე ოპტიმალური არის სტრატეგია, რომლის, დროსაც მისი თითოეული წევრი ითვალისწინებს როგორც საკუთარი, ისე სხვების ინტერესებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც სხვადასხვა სუბიექტები ირჩევენ საუკეთესო სტრატეგიას მხოლოდ მათი გადმოსახედიდან და არ ითვალისწინებენ სხვა სუბიექტების ინტერესებს, ეს იწვევს არა საზოგადოების მაქსიმალურ კეთილდღეობას, არამედ „საგნების ბალანსს", რაც არ შეიძლება იყოს ოპტიმალური საზოგადოებისთვის. (Nash's Equilibrium Game Theory. 2022)

ბრიტანელ-ინდოელი ეკონომისტის, ამარტია სენის „შესაძლებლობებზე ორიენტირებული მიდგომის - **Capability Approach**"[38] თანახმად, განვითარების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ფართო დიალოგს, რომელშიც ექსპერტების და პოლიტიკოსების გარდა, ღარიბები და სხვა გარიყული ჯგუფების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. ეს მოდელი ითვალისწინებს ზრდის უზრუნველყოფის პროცესში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას, სადაც პრიორიტეტი ენიჭება ისეთ პოლიტიკას, რომელიც რესურსების, პირველ რიგში კი - ადამიანური რესურსების - მაქსიმალურ ათვისებას უწყობს ხელს.

ამარტია სენმა, (Sen, 2021) რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჰუმანური განვითარების თეორიის, კეთილდღეობის ეკონომიკის, სიღარიბის

[38] http://european.ge/amartya-sen-ganvitareba/

განმაპირობებელი მექანიზმების კვლევასა და პოლიტიკურ თეორიებში, ასევე შექმნა "ადამიანური განვითარების ინდექსი" (**HDI** - Human Development Index), რომლითაც მსოფლიოში ქვეყნების განვითარებას ზომავენ ოთხი ძირითადი მიმართულებით: ბედნიერების, სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლების დონის მაჩვენებლის და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით. რაც უფრო მაღალია ადამიანური განვითარების ინდექსი, მით უფრო განვითარებულია ქვეყანა და მიდრეკილია ინოვაციებისკენ. საინტერესოა ჩვენი ქვეყანა განვითარების რა დონეზეა ამ მაჩვენებლების მიხედვით.

2021 წლის მონაცემებით საქართველო[39] მსოფლიო ბედნიერების ინდექსის მიხედვით 150 ქვეყნიდან 108 ადგილზე 4.89 ქულით არაბედნიერი ქვეყნების სიაში იმყოფება. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონის მიხედვით 185 ქვეყანას შორის საქართველო 105 ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვაში სახელმწიფო დანახარჯები გაორმაგდა და მშპ-სთან მიმართებაში 3.1%[40] შეადგინა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2021 წლის მონაცემებით საქართველოს საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა 73.4 წელია[41] და მსოფლიოში 183 ქვეყანას შორის 93-ადგილზეა. განათლების სისტემის განვითარების და თანასწორი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხი მთელი ქვეყნის მასშტაბით დღესაც მწვავე პრობლემაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლება და ჯანმრთელობა ადამიანური შესაძლებლობების პირდაპირ განმსაზღვრელი ფაქტორებია, რომელსაც ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, რადგან მეტ განათლებას და მეტ ჯანმრთელობას შეუძლია ხელი შეუწყოს მეტ პროდუქტიულობას და მეტ შემოსავლებს.

ბოლო წლებში მსოფლიოში სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა[42] გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით. იმ ქვეყნებში, სადაც სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა არ არის მიჩნეული მთავარ მოვლენად სიცოცხლის ხანგრძლივობა ხანმოკლეა. სიცოცხლის ხანგრძლივობა პირდაპირ არის

[39] https://www.theglobaleconomy.com/rankings/happiness/#Georgia
[40] https://moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/16.08.2019.pdf
[41] https://forbes.ge/blogs/mosakhleobis-sitsotskhlis-khangrdzlivobith-saqarthvelo-msophlioshi-93-e-adgilzea/
[42] https://www.vital-reaction.com/blogs/news/factors-that-affect-life-expectancy

დამოკიდებული ქვეყნის განვითარების დონესთან და საშუალო თვიურ შემოსავალთან. სადაც მაღალია განვითარების დონე იქ სიცოცხლის ხანგრძლივობაც მაღალია.

მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია ბედნიერების კავშირი როგორც ჯანმრთელობასთან ასევე ინოვაციებთან.[43] ბედნიერ ადამიანებს ნაკლებად აქვთ დაავადების შეყრის ალბათობა, ისინი ავადმყოფობისადმი ნაკლებად მგრძნობიარენი არიან. ბედნიერი ადამიანები დაჯილდოვებულნი არიან შესანიშნავი წარმოსახვის უნარით. მეცნიერების აზრით ბედნიერება მნიშვნელოვანი სოციალური თვისებაა, რადგან ის ხელს უწყობს სიმდიდრის დაგროვებას და გამოგონებას. ეს კი თავისთავად ქმნის სამუშაო ადგილებს და აძლევს ადამიანებს შესაძლებლობას გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი, იყონ აქტიური ეკონომიკური და სოციალური მოთამაშეები.

ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ სტაბილურობა და სათანადო საშუალო კლასის არსებობა წარმოადგენს ყველაზე გადამწყვეტ ფაქტორებს შემოქმედებითი აზროვნებისა და ჩართულობის სტიმულირებისთვის. ასეთი გარემო შესაძლებელს ხდის კრეატიული იდეების გავრცელებას და პოზიტიურ დამოკიდებულებას ახალი შეხედულებების მიმართ. რაც მთავარია, ასეთ გარემოში დიდი კორპორაციები მზად არიან სარისკო კაპიტალი ჩადონ ახალ იდეებსა და აღმოჩენებში. ეს უადვილებს გამომგონებლებს ენთუზიაზმით განაგრძონ თავიანთი ინოვაციები.

როგორც ვხედავთ ინოვაცია არ არის შემთხვევითი ფაქტორი, ის არის კულტივირებული ისეთ გარემოში, სადაც მხარდაჭერილია შემოქმედება და დამოუკიდებელი აზროვნება. ისტორიულად ინოვაციების გამომგონებლები ნიჭიერი ხალხია, რომლებიც ფლობენ რისკს და ინიციატივას. ასეთ ინდივიდებს სჭირდებათ ზურგის გამაგრება და ინფრასტრუქტურა, რათა ტრანსფორმირება გაუკეთონ თავიანთ ხედვებს და კრეატიულ იდეებს. (Ali, 2014) სახელმწიფოს როლია ხელი შეუწყოს მეგობრულ და მდგრად ბიზნეს გარემოს საშუალო კლასის ზრდის სტიმულირებისა და წახალისებისთვის.

---

[43] https://greatergood.berkeley.edu/article/item/six_ways_happiness_is_good_for_your_health

საერთო ჯამში საქართველო ადამიანური განვითარების ინდექსის მიხედვით 185 ქვეყანაში 61 ადგილს იკავებს, 0.812 ქულით. როგორც ვხედავთ არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს ყველა მიმართულებით[44].

დღეს, როდესაც მსოფლიო მთავარ აქცენტს აკეთებს ადამიანის თვითრეალიზების სტრატეგიაზე, მისი შიდა რესურსების განვითარებაზე, შინაგანი ძალის და კრეატულობის შესაძლებლობების გამოვლინებაზე, საინტერესოა განვიხილოთ ის ხელშემწყობი პირობები, სადაც შესაძლებელია ადამიანის შინაგანი პოტენციალის წარმოჩენა.

მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე რომ **პიროვნების ქვეცნობიერი** წარმოადგენს ინოვაციების პოტენციურ მარაგს. ინოვაციები კარგად ჩნდება მცირე ბიზნესში, სადაც სოციალური კავშირები უფრო მჭიდროა და ადვილად იქმნება გუნდები. გუნდის მუშაობა კი უფრო ნაყოფიერია ვიდრე ცალკე აღებული ინდივიდის, რადგან გუნდში წარმოდგენილი ადამიანების მრავალფეროვანი უნარები და პერსპექტივები გამრავლების და სინერგეტიკულ ეფექტს იძლევა.

90-იანი წლების კვლევების თანახმად მცირე გუნდი, რომელიც შესდგენა 7 ადამიანისაგან ეფექტიანია გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც. ხოლო ყოველი დამატებითი წევრი ამცირებს გადაწყვეტილების ეფექტიანობას 10%-ით. ასევე დასტურდება რომ გუნდი უკეთეს გადაწყვეტილებებს იღებს შემთხვევების 75%-ში, ვიდრე ცალკე აღებული მენეჯერი ან დირექტორი. (Lencioni, 2002 )

2008 წელს ჩატარებული მასშტაბური კვლევის მიხედვით, რის საფუძველზეც გამოიკითხა 5000 სრულ განაკვეთზე მყოფი თანამშრომელი ამერიკასა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, სამსახურში კონფლიქტური სიტუაციის გამო მიმდინარე სამსახურის დატოვება სურს დასაქმებულთა 51%-ს, ხოლო 51% არ არის ჩართული სამუშაო პროცესში. (Day, 2004)კონფლიქტებთან გამკლავება თანამშრომლების 85%-ს უწევს. სამუშაო ადგილზე კონფლიქტის ძირითადი მიზეზია პიროვნებებს შორის დაპირისპირება და ეგო (49%), რასაც მოჰყვება სტრესი (34%) და მძიმე დატვირთვა (33%). კონფლიქტი შეინიშნება ყველა იერარქიაზე, როგორც ქვედა ასევე მაღალ დონეზე.

[44] https://georgia.un.org/en/45020-georgia-ranks-high-human-development-loses-12-percent-its-progress-through-inequalities

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ კონფლიქტების მაღალი ხარისხის შედეგებს ყველაზე კარგად ანეიტრალებს ტრენინგები, რასაც მოჰყვება შემდეგი პოზიტიური შედეგები: სხვების უკეთ გაგება (41%), სამუშაო ადგილის პრობლემის უკეთ გადაწყვეტა (29%), თანამშრომელთა მეტი ჩართულობა, (State American Workplace. 2017) სამსახურის მიმართ ჩართული თანამშრომლების ემოციური კავშირის მატება.

საქართველოს **მცირე ბიზნესის განვითარების პოლიტიკა** ორიენტირებული უნდა იყოს **ადამიანური კაპიტალის** განვითარებაზე, გუნდური მუშაობის წახალისებაზე და სინერგიის ეფექტის მიღწევაზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინოვაციის შექმნის პროცესს ორგანიზაციაში.

ამიტომ, კომპანიებისთვის საინტერესო იქნება ადამიანური რესურსების განვითარების სხვადასხვა მეთოდის დანერგვა, რაც დაქირავებულ თანამშრომლებს საშუალებას მისცემს გრძელვადიანი განვითარებისა და კარიერული წინსვლის პერსპექტივას ორგანიზაციაში, სადაც გათვალისწინებული იქნება მათი ინტერესები.

თანამედროვე მეწარმისთვის და თანამშრომლისთვის საკვანძოა საკუთარ ფასეულობებზე დაყრდნობით იპოვოს თავისი ადგილი და გამოხატოს საკუთარი თავი საუკეთესო ფორმით კომპანიაში, რაც იძლევა ერთიან ძლიერ სინერგეტიკულ ეფექტს. **კლერი გრეივზის აზროვნების სპირალური დინამიკის** (Graves, 1970) კონცეფციის მიხედვით ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და აქვს საკუთარი ფასეულობათა სისტემა, აზროვნების სტილი და სამყაროსთან ინტერაქციის სხვადასხვა ფორმა. კონკრეტული ადამიანის ფასეულობათა სისტემისა და აზროვნების სტილის გააზრებით, უკეთ არის შესაძლებელი ღრმა და ძლიერი კავშირების „გაბმა“ კონკრეტულ ადამიანთან, აუდიტორიასთან თუ საზოგადოებასთან.

**რობერტ დილტსის ლოგიკური დონეების პირამიდის** (Dilts, 2017) მიხედვით ფასეულობები და შემზღუდავი რწმენები წარმოადგენს მეწარმის ჩამოყალიბებულ აზროვნებას პროცესებსა და მოვლენებზე, რაც განსაზღვრავს მისი ბიზნესის შენების და წარმართვის მოდელს, ხასიათს. ცვლილება უკეთესობისკენ ლოგიკურ

დონეებში ზემოდან ქვემოთ იწყება. ლოგიკურ დონეებს წარმოადგენს: გარემო, საქციელი, ცოდნა/უნარები, ფასეულობები/ შემზღუდავი რწმენები, როლი და მისია.

**ფასეულობები** მთავარი მოტივებია, რისთვისაც კონკრეტული მეწარმე იწყებს საკუთარ ბიზნეს. ფასეულობები და შემზღუდავი რწმენები ხელს უშლის მეწარმეს მასშტაბირებაში, შთამაგონებელი რეზულტატების მიღწევაში. განვითარების რა სტადიაზეა ბიზნესი დამოკიდებული მეწარმის როლზე, როგორ ხედავს ის საკუთარ თავს ბიზნესში.

ორივე მოდელი კარგად აღწერს საზოგადოების ფასეულობათა სისტემის ევოლუციას, რომელიც შესანიშნავად ეწყობა ბიზნეს კონტექსტს. კლერი გრეივზის აზროვნების სპირალური დინამიკის და რობერტ დილტსის ლოგიკური დონეების პირამიდის მოდელების შერწყმით შეიძლება ჩამოყალიბდეს გამარტივებული და განზოგადებული სისტემა, რომელიც კარგად ასახავს ბიზნესის განვითარების ეტაპებს და ევოლუციას, თუ როგორ გადადის ბიზნესი განვითარების მოცემული დონიდან უფრო მაღალ დონეზე.

სპირალურ დინამიკას 7 დონე აქვს. თითოეული დონე წარმოადგენს კორპორატიულ კულტურას შესაბამისი ფასეულობით, რომელიც კომპანიის შიგნით შეიძლება გაცნობიერებულად ჩამოყალიბდეს მეწარმის მიერ გარკვეული ბიზნეს პროცესების შესასრულებლად. თუ ეს არ ხდება მიზანმიმართულად მაშინ ეს პროცესი კომპანიაში ქაოტურად და თავისით მიმდინარეობს. ბიზნეს კომპანიაში ჩამოყალიბებული კულტურა პირდაპირი შედეგია მეწარმის აზროვნების დონისა და მისი გავლენისა იმ ბიზნეს გარემოზე, რომელსაც თვითონ აწარმოებს.

1. ოჯახის კულტურა/მიკუთვნება
2. ძალაუფლების კულტურა /ძალა
3. წესების კულტურა
4. წარმატების კულტურა/ რეზულტატები
5. ურთიერთობის კულტურა
6. განვითარების კულტურა
7. სინთეზის კულტურა

მოდელი ევოლუციურია, ზრდა მიმდინარეობს ქვევიდან ზემოთ. ერთი დონიდან მეორე დონეზე გადასვლა საჭიროებს შემუშავებისა და ზრდის გაცნობიერებას ერთი ფასეულობიდან მეორეზე თანმიმდევრობით. აქ საკვანძოა ის რომ ვერცერთ დონეს ვერ გადაახტებით და ვერ გამოტოვებთ. თითოეული დონე აღწერს მეწარმის გასაღებ ფასეულობათა სისტემას, რომელიც გავლენას ახდენს გარემოზე, მოგებაზე, თანამშრომლების საქციელზე, ურთიერთობებზე. ახალ დონეზე გადასვლა საჭიროებს ფასეულობათა სისტემის შეცვლას და დამუშავებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით ნორმალურია, როდესაც მეწარმეები კომფორტულად გრძნობენ თავს მიმდინარე ბიზნეს გარემოში და შესაბამის კულტურაში, არ უნდათ ცვლილება და არა აქვთ მასშტაბურობის ამბიცია. მეწარმე ბედნიერია თავის ამბიციებში და მიზნებში. ასეთ მეწარმეს განვითარებაში ხელს უშლის საკუთარი აზროვნების პატერნები და შაბლონები. როდესაც მეწარმეს აქვს მასშტაბირების და გაფართოების ამბიცია, მაშინ ის ზევით იწევა სპირალური დინამიკის დონეების მიხედვით.

პირველი დონე **ოჯახის კულტურის** დონეა. ამ დონისთვის ფასეულია მიკუთვნების კულტურა. მეწარმე ავლენს ოჯახის ფასეულობას როგორც საკუთარი თავის ასევე თანამშრომლების მიმართ. ამ მოდელში ადამიანების ურთიერთობა ძალიან ჰგავს ოჯახის წევრების ურთიერთობას. მეწარმე მონაწილეობს ყველა პროცესში, ის კონტაქტშია თანამშრომლებთან და ცალკეულის მოტივაციაზე ზრუნავს. იძლევა კონკრეტულ განკარგულებას დავალებების შესასრულებლად. აქ თავს იყრიან ისეთი ადამიანები ვისაც მოსწონს ოჯახური კულტურა.

**ძალაუფლების** დონისთვის დამახასიათებელია ძალის დემონსტრირება. მეწარმისთვის ფასეულია ყველაფრის კონტროლი, აქვს ძალაუფლების დაკარგვის შიში. მეწარმე არ ენდობა თანამშრომლებს და ებღაუჭება განვითარების ამ ჭერს. ასეთ სისტემაში თანამშრომლებიც კომფორტულად გრძნობენ თავს, რადგან მათთვის ფასეულია სტაბილურობა და მორჩილება. აქ ინიციატივა დასჯადია. კომპანიაში არ არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც უნდა განავითაროს ბიზნესი.

**წესების იგივე წესრიგის კულტურას** შეუძლია დაახასიათოს ბიზნესი როგორც სისტემა, ხოლო მეწარმე როგორც სისტემური მეწარმე. გაფართოებული და სისტემატიზირებული ბიზნეს პროცესები, ახალი თანამშრომლები, გაწერილი სტანდარტები და სკრიპტები, გაყიდვების სკრიპტები, გრძელვადიანი სტრატეგიები და სხვა. თანამშრომელი არ ელოდება კონკრეტულ განკარგულებას, ის მოქმედებს გაწერილი ინსტრუქციის მიხედვით. აქაც არ ველოდებით სუპერ ინიციატივებს.

**წარმატების და რეზულტატების** დონე, როდესაც ერთი წარმატებული ბიზნეს მოდელი მეწარმეს გადააქვს სტანდარტებში. წარმატება და რეზულტატი გამოხატულია ფულში და აქტივებში. კომპანიას აქვს სუფთა მოგება, ქეში, ინვესტიციები, მასშტაბირება, ფრენჩაიზინგი ან სხვა რაიმე სახის განვითარება. ეს არის მოგებაზე ორიენტირებული დონე. ამ დონეზე სხვა დრაივია, ჩნდება ენერგია. თანამშრომლებისგან პირველად ვხედავთ უფრო მეტ ინიციატივას და საკუთარ გადაწყვეტილებებს, პასუხისმგებლობას შედეგებზე.

**ადამიანური ურთიერთობების** დონეზე მეწარმე ფოკუსირდება ურთიერთობაზე თავის თანამშრომლებთან, კლიენტებთან, პარტნიორებთან. აქ კომპანია კიდევ უფრო წარმატებული ხდება. ეს დონე ავსებს და აცოცხლებს ბიზნესს უფრო სხვა ფერებით.

**განვითარების მეექვსე** დონეზე მნიშვნელოვანია კომპანიაში მყოფი ადამიანების **პიროვნული განვითარება.** ეს არის კოლექტიური ლიდერების გუნდის კულტურა, რომელიც შესდგება ტოპ მენეჯერებისაგან და დირექტორებისაგან. აქ არის უსაზღვრო თავისუფლება. თუ კი მეწარმეს აქვს სურვილი გახსნას თავისი თანამშრომლების პოტენციალი ასეთი მეწარმე ყველა დონის გავლით ყოველთვის ეცდება მივიდეს ამ დონემდე.

**მეშვიდე** დონე **სინთეზის** დონეა, რომელიც აღწერს ბევრისთვის სასურველ მოდელს და მას მართლაც მოაქვს კომპანიისთვის და ადამიანებისთვის უფრო მეტი და მნიშვნელოვანი. ასეთ დროს მეწარმე გადის ბიზნესიდან, რათა სამყაროს მეტი მოგება მოუტანოს. ეს არის ქველმოქმედება, სწავლება, სოციალური პროექტები.

კომპანიის შიგნით კულტურის გააზრება საშუალებას იძლევა გავიგოთ რა ამოძრავებს თითოეულ ადამიანს. ეს ცვლის ურთიერთობას თანამშრომლებს შორის, ცვლის დამოკიდებულებას სამუშაოსთან, ქვეშევრდომებთან. ეს ინსაიტი ადამიანებს ეხმარება გააცნობიერონ თუ როგორ იგება და მუშაობს სისტემა და მასში ცხოვრება უფრო მარტივი ხდება.

ეს გამარტივებული და განზოგადებული მოდელი სპირალური დინამიკის ყველა ეტაპის საფუძველზე დაყრდნობით აღწერს საერთო კანონზომიერებებს მესაკუთრის აზროვნების მიხედვით.

ნებისმიერ დონეზე გადასვლა აწყდება შინაგან შიშებს და შემზღუდავ რწმენებს, რომელზეც საჭიროა მუშაობა. ყველა დონის რღვევა უკავშირდება ფინანსური დონის რღვევას. ფული მეწარმის სამყაროს სურათის ანარეკლია და მას აქვს პირდაპირ პროპორციული დამოკიდებულება მეწარმის აზროვნების მასშტაბირებასთან, მიზნებთან და ამოცანებთან. ყველა დონეზე ეს მასშტაბი და სამყაროს სურათი პრინციპულად განსხვავებულია. ამიტომ ფული, როგორც ფასეულობა ცალკე უნდა დამუშავდეს: რწმენები ფულზე, გამომუშავების უნარები, ფულის გამომუშავების ქმედებები, თვითრეალიზების უნარები, თვითრეალიზების ქმედებები და ასე შემდეგ. (იხ. სქემა №1, სქემა №2)

როგორც უკვე აღვნიშნეთ ბიზნეს პროცესების რეალური ევოლუცია ყველა დონის გავლით ხდება. მეწარმემ უნდა გააცნობიეროს რა ამოძრავებს, მკაფიოდ დააფიქსიროს და გაიაზროს რომელ დონეზეა, დაამუშავოს კონკრეტული ფასეულობები და შემზღუდავი რწმენები და ავიდეს უფრო მაღალ დონეზე. კულტურების ცალცალკე დამუშავების შემთხვევებში შესაძლებელია ფასეულობებისა და შემზღუდავი რწმენების შეცვლა, კონკრეტულ უნარებზე მუშაობა. თითოეული დონის ღრმა დამუშავების ცოდნა ეხმარება მეწარმეს შექმნას და გაწეროს კორპორატიული კულტურა კომპანიაში, შეარჩიოს შესაფერისი ადამიანები შესაბამისი კულტურითა და განვითარების დონით, ფასეულობების საფუძველზე აუმაღლოს მათ მოტივაცია.

## სქემა №1. ლოგიკური დონეების პირამიდისა და სპირალური დინამიკის დონეების მოდელების სინთეზი




## სქემა №2. მეწარმის აზროვნების დონეები




ყველა ადამიანს მიუჩინოს თავისი ადგილი კომპანიაში და მათ მიმართ გამოყენებულ იქნას მართვის კონკრეტული ინსტრუმენტები. აქედან გამომდინარე მარტივია კოლექტივის მართვა, სადაც ყველა ღებულობს შედეგს და რეზულტატს

და რაც მთავარია სიამოვნებას. არ არსებობს კარგი და ცუდი თანამშრომლები, არსებობს უნარები და ცოდნა რათა მართო ისინი.

მართვის კონკრეტულ ინსტრუმენტებს რაც შეეხება დამსაქმებლებს შეუძლიათ შექმნან თანამშრომლების ჩართულობის სტრატეგია ამერიკელი ფსიქოლოგის **აბრაამ მასლოუს** სამსაფეხურიანი მოთხოვნილებების იერარქიის პირამიდის გარშემო, რომელიც მოიცავს: გადარჩენისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნილებებს, ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს და თვითრეალიზებას. პირველი საფეხური გულისმობს ხელფასის მოცულობას და გრძელვადიანი დარჩენის პერსპექტივას სამსახურში. მეორე საფეხური სულიერი მდგომარეობის მიღწევას სამსახურში, რაც გულისმობს დასაქმებულის როლს და სრულფასოვან მონაწილეობას კომპანიის განვითარების საქმეში. მესამე საფეხური - თვითრეალიზაციას, პატივისცემას, აღიარებას და შემოქმედებითი პოტენციალის სრულ გახსნას.

დასაქმებულისთვის საუკეთესო სტრატეგია უნდა შემუშავდეს სხვა მონაწილეების რესურსებზე და მათ შესაძლო ქმედებებზე დაყრდნობით, რაც დაეფუძნება ფართო დიალოგს კომპანიაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა თანამშრომელი. ამ პროცესში მნიშვნელოვანია კომპანიის ყველა იერარქიული თანამშრომლის თანაბარი ჩართულობა. დასაქმებულს უნდა მიეცეს საშუალება მიაღწიოს სასურველ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას კომპანიაში.

მნიშვნელოვანია თანამშრომლების პრიორიტეტებისა და ინტერესების შეთანხმება, მათი თანაბარი შესაძლებლობების გაზრდა, კომპანიის ინტერესებისა, და მიზნების შესაბამისად. თანამშრომლების არჩევანი ღირებული უნდა იყოს კომპანიისთვის, ისევე როგორც თანამშრომელი თავისუფალი უნდა იყოს დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობაში.

წარმატებული ადამიანების მიერ გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზებაში დაგვეხმარება **ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება(NLP).** NLP აკავშირებს გამოცდილებით ნასწავლ აზრებს, ენას და ქცევის ნიმუშებს კონკრეტულ შედეგებთან. ის ცდილობს შექმნას ეფექტური კომუნიკაცია ცნობიერსა და

არაცნობიერს შორის, რათა დაეხმაროს ადამიანებს გაზარდონ კრეატიულობა და პრობლემების გადაჭრის გზები. (Fernandes, 2020)

NLP იკვლევს ურთიერთობებს აზროვნებას(ნეირო), საუბარს(ლინგვისტურ), ქცევასა და ემოციებს(პროგრამებს) შორის. (Bandler, 2013) ამ ურთიერთობების შესწავლისას ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ აზროვნების, კომუნიკაციის, გრძნობისა და ქცევის უფრო წარმატებული გზები. ის ეხმარება ადამიანს სწრაფად აკონტროლოს საკუთარი აზროვნება და მოახდინოს მასზე გავლენა მიზანმიმართულად გუნდისა და ინდივიდის სასარგებლოდ. კონკრეტული ტექნიკის გამოყენებით კომუნიკაცია და ადამიანებთან ურთიერთქმედება ხდება უფრო მნიშვნელოვანი და წარმატებული.(Sturt, 2012)

NLP ტექნიკებს იყენებენ გუნდის მუშაობის გასაუმჯობესებლად. NLP ასევე გვთავაზობს ფასეულობების დონეებზე გადაადგილების სწავლების და კომუნიკაციის სხვადასხვა ტექნიკებს, თითოეულ ლოგიკურ დონეზე არსებული ინფორმაციის ორგანიზებას და წარმართვას, (Craft, 2001) ინდივიდის მიერ შესრულებული დავალების პროცესის დაკოპირებას და სხვაზე გადაცემას.(Lages, 2004)

NLP-ს მიხედვით თითოეული ადამიანი მოქმედებს საკუთარი გადმოსახედიდან და არა ობიექტურობიდან გამომდინარე. სამყაროს აღქმები დამახინჯებული, შეზღუდული და უნიკალურია. ინდივიდის სამყაროს რუკა ყალიბდება გრძნობების მეშვეობით მიღებული მონაცემების საფუძველზე. ეს ინფორმაცია ინდივიდუალურად განსხვავდება ხარისხისა და მნიშვნელობის მიხედვით თითოეულ ადამიანში. თითოეული ადამიანი ამუშავებს საკუთარ გამოცდილებას საკუთარი პირველადი წარმომადგენლობითი სისტემის (**PRS – Persons Representative System**) გამოყენებით.(5 Most Effective NLP Techniques. 2022)

მოცემული ნაშრომის კვლევის მიზნებისათვის ჩატარდა კვლევა მეწარმეების აზროვნების და განვითარების დონის შესაფასებლად. გამოიკითხა **100**-მდე მცირე საწარმოს ხელმძღვანელი. კითხვარი რამდენიმე შეკითხვას მოიცავდა, რათა დაგვედგინა აზროვნების რომელ დონეზე იმყოფებოდა ბენეფიციარი.

კვლევის შედეგები ასე გამოიყურება: (იხ. დიაგრამა №4)

გამოკითხულთა 52% - იმყოფება ოჯახის კულტურის დონეზე;

გამოკითხულთა 28% - იმყოფება განვითარების მეორე დონეზე, ძალაუფლების და კონტროლის დონეზე, სადაც დასჯადია ინიციატივა;

გამოკითხულთა 12% - იმყოფება განვითარების მესამე დონეზე, წესების და წესრიგის კულტურაზე, სადაც ინიციატივა ნაკლებად არის წახალისებული;

გამოკითხულთა 5% - იმყოფება წარმატების და რეზულტატის მეოთხე დონეზე, სადაც ინიციატივა მეტ ნაკლებად იჩენს თავს.

გამოკითხულთა 2% - იმყოფება განვითარების მეხუთე, ურთიერთობის დონეზე;

გამოკითხულთა - 1% - იმყოფება განვითარების მეექვსე დონეზე სადაც კომპანია ზრუნავს თანამშრომლების განვითარებაზე.

მეწარმეების სია მოწოდებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბაზის მიერ. აღნიშნული სიიდან შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა 100 კომპანიის ხელმძღვანელი. კითხვარი შედგენილი იყო Google Forms-ში, რომელიც დაეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე მცირე საწარმოს ხელმძღვანელებს. რაოდენობრივი გამოკითხვა ჩატარდა ღია კითხვების საფუძველზე. კითხვარი შესდგებოდა 19 ღია შეკითხვისაგან, რათა დადგენილიყო მეწარმის აზროვნების შესაბამისი დონე. გამოკითხვა ჩატარდა მიმდინარე წლის დასაწყისში, კერძოდ 2021 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ შერჩეული კომპანიების იურიდიულ ფორმას წარმოადგენდა შპს, ხოლო ზომა მცირეს, რომელიც დადგენილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის მიერ, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს.

დიაგრამა № 4. საქართველოს მცირე მეწარმეების ლოგიკური დონეები. 2022 წელი




აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ რომ ადამიანური რესურსის განვითარების დონე დაბალია საქართველოში, რაც არის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ინოვაციების შექმნის და ქვეყნის განვითარებისა. საჭიროა სერიოზული მუშაობა ამ მიმართულებით, როგორც სახელმწიფო, კერძო ასევე სამეცნიერო დონეზე.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ ქართულ კომპანიებში მასლოუს სტრატეგიისა და "Capability Approach" ფართო დიალოგის გამოყენებით (Sen, 2016) შესაძლებელია ადამიანების ქვეცნობიერის გაგება და ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება. NLP ტრენინგებით შესაძლებელია ადამიანური რესურსების დახურული პოტენციალის გახსნა, თანამშრომლების აღქმაში განსხვავებებისა და გაურკვევლობის შემცირება, თანამშრომლების დიაგნოსტიკა ფასეულობებისა და აზროვნების დონეების მიხედვით. ეს ყველაფერი დაეხმარება კომპანიებს თანამშრომლების ჩართულობისა და პროდუქტიულობის გაზრდაში. კომფორტული გარემო დასაქმებულებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი თავი თავისუფლად და ზუსტად, შეამცირებს შფოთვას და გაურკვევლობას გუნდში.

კომპანიაში დასაქმებული **ადამიანების განვითარების ინდექსი** თუ კი იქნება მაღალი, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი კომპანია წარმატებული იქნება და

მას ექნება მოტივირებული ადამიანური რესურსები, რომლებიც მზად არიან გახსნან საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი. (Shmelev, 2016)

ეჭვგარეშეა, რომ საწარმოს შეუძლია შეცვალოს პერსონალის ბედნიერების და ერთგულების მდგომარეობა კომპანიაში. საჭიროა კონცენტრირებული ძალისხმევა ინოვაციური პოლიტიკის მიმართ, რომელიც შთააგონებს ადამიანებს, იყვნენ წარმოსახვითი და პოზიტიური თავიანთი დამოკიდებულებების მიმართ. გარდა ამისა, კომპანიამ უნდა გააძლიეროს ოპტიმიზმი და ნდობა თანამშრომლებს შორის. აუცილებელია, რომ კომპანიამ ინოვაცია განიხილოს არა მხოლოდ როგორც ტექნოლოგიური საკითხი, არამედ როგორც სოციალური და ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის კეთილდღეობასთან.

არ არსებობს აზროვნების "**სწორი**" და "**არასწორი**" გზა. სამყარო რომ გადარჩეს მას სჭირდება ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა დონეების შესაბამისად აზროვნებენ. როცა ადამიანი შემდეგ საფეხურზე გადადის მასში რჩება წინა საფეხურის ფასეულობებიც, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს.

პიროვნებები და საზოგადოებები საჭიროებენ ლიდერებს, რომლებიც უფრო მაღალი საფეხურიდან აზროვნებენ, რომელთაც შეუძლიათ სხვადასხვა საფეხურებზე მდგომი ადამიანების განსხვავება, და ამ ცოდნის გამოყენება პრობლემების გადასაწყვეტად სწორედ იმ ფასეულობითი სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ყველაზე უპრიანი იქნებოდა მოცემულ მომენტში.

## თავი 3. მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის სრულყოფა და პერსპექტიული მიმართულებები

### 3.1. მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის საფინანსო-საკრედიტო უზრუნველყოფის სისტემის განვითარება

ინოვაციური პოტენციალის მცირე ბიზნესი - ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული, ეფექტიანი, მაგრამ ამავე დროს რისკის შემცველი ბიზნესის სახეობაა. ამჟამად საქართველოში განსაზღვრულია მცირე ბიზნესის და ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები და ფორმები, დაფინანსების წყაროები, მოცემულია ამ მიმართულებით ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი სტრუქტურები. სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ზომების მიუხედავად, მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის მხარდაჭერა მაინც სუსტია და ჩვენი ეკონომიკის ღერძს არ წარმოადგენს.

ბიზნესის დაწყება საწყისი კაპიტალის გარეშე წარმოუდგენელია. ფული, რომელიც სჭირდება საქმის წამოწყებას საქართველოში ძვირია. ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის დარეგისტრირება მარტივია, მაგრამ მისი შენარჩუნება რთული. მცირე მეწარმეობა, ნორმალურად ფუნქციონირების პირობებში 3-4 წლის მერე უნდა გაფართოვდეს და საშუალო ბიზნესის დონეზე გადავიდეს, მაგრამ ამას ძალიან ცოტა ახერხებს.

მსოფლიო გამოცდილებით 90%-ზე მეტი სუბიექტი მეწარმე, (Яковлев, 2004) რომელიც დაკავეულია მცირე ინოვაციური ბიზნესით, მუშაობას სესხით იწყებს. ამ საჭიროების გათვალისწინებით სახელმწიფომ სტიმულირება უნდა გაუწიოს ბანკების მიერ მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის პროგრამების დაფინანსებას. ამასთან, აუცილებელია რომ საფინანსო-საკრედიტო სისტემამ უზრუნველყოს ინოვაციური პროცესის ყველა ეტაპის დაფინანსება.

აშშ-ში ყოველ წელს სულ მცირე 60%-ზე მეტი მცირე მეწარმე მიმართავს ბანკს ფინანსური ლიზინგის ან კრედიტის ასაღებად. ევროპის ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი 76%-ს შეადგენს.[45] ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები,

[45] https://www.sba.gov/funding-programs/loans/microloans

რომლებიც გრძელვადიან სესხებს გასცემენ საწარმოებზე, წარმოადგენენ საფინანსო-საკრედიტო სისტემის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს.

2004 წელს, ამერიკაში ბანკების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, ახალი ბიზნესების 79%-ის კრახის მიზეზი ძალიან მცირე საწყისი კაპიტალია. (Miller, 2016) იგივე რეალობა დგას საქართველოშიც, დამწყები ბიზნესმენები ზედმეტად ოპტიმისტურად უყურებენ მათი ბიზნესის განვითარების პერსპექტივას და გადაჭარბებული წარმოდგენები აქვთ მოსალოდნელ მოგებაზე, არ აქვთ შექმნილი რეზერვები გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, რის გამოც, მცირე ფინანსური კრიზისიც კი მათთვის „სასიკვდილო" ხდება. არასწორი მარკეტინგი, რეკლამების ნაჩქარევად მომზადება, არაზუსტად განსაზღვრული მიზნობრივი სეგმენტი, ბიზნესის მარტო დაწყება, დაბალი ფასის სტრატეგია ხდება ბიზნესის ინოვაციური განვითარების წარუმატებლობის წყარო.

ბანკების მხრიდან მცირე ბიზნესის და მით უფრო ბიზნესის ინოვაციური განვითარების დაფინანსება საკმაოდ რისკის შემცველია. ძალიან რთულია გათვალო ნაზღაურობის, მომგებიანობის, შემუშავებლობის ხარისხი. ამას ემატება სარისკო პროექტებზე ლიკვიდური გირაოს წარმოდგენის პრობლემაც. გადავხედოთ საქართველოს საბანკო სექტორის ორიენტაციას 2010-2020 წლებში:

**დიაგრამა №5. სესხების წლ. ზრდის ტემპი, ვალუტის კურსის ჩათვლით. 2004-21წ.**




**წყარო:** სებ. სტატისტიკური მონაცემები. https://nbg.gov.ge/

**დიაგრამა № 6. სესხების წლიური ზრდის ტემპი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ვალუტის კურსის ეფ. ჩათვლით. 2016-21წლებში**




**წყარო:** სები, სტატისტიკური მონაცემები. https://nbg.gov.ge/

**დიაგრამა № 7. სესხები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესზე, 1 წლიდან 2 წლის ჩათვლით. 2016-21წლებში.**




**წყარო:** სები, სტატისტიკური მონაცემები. https://nbg.gov.ge/

ბოლო რამდენიმე წლებში იკლო როგორც სესხების წლიურმა ზრდის ტემპმა, ასევე სესხების წლიურმა რაოდენობამ. სესხის მოცულობით თანმიმდევრობით

გამოირჩევა შემდეგი სექტორები: ჯანდაცვა, განათლება, უძრავი ქონება, ფინანსური და სასტუმრო ბიზნესი. ბიზნეს სესხები 1 დან 2 წლამდე ლაგდება იგივე თანმიმდევრობით სექტორების მიხედვით. ასეთივე თანმიმდევრობით სესხები მცირე და საშუალო ბიზნესზე. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სექტორი დაკრედიტების მიხედვით ბოლო ადგილზეა.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების დაფინანსების უმნიშნელოვანესი წყარო სახელმწიფო ბიუჯეტია, რომლის ხარჯზე ხორციელდება მიზნობრივი პროგრამები და პრიორიტეტული სახელმწიფო პროექტები. მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს ორი ძირითადი მიმართულებით:

*მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერა:*

- პირდაპირი დახმარება, სუბსიდია, დონაცია, გრანტი;
- შეღავათიანი კრედიტი, კრედიტი გირაოს გარეშე, გრანტები კრედიტებზე;
- შემცირებული საპროცენტო განაკვეთები, კრედიტის სრული ან ნაწილობრივი კომპენსაცია;
- მიუღებელი მოგების კომპენსაცია;
- საბანკო და საბიუჯეტო ორგანიზაციების ერთობლივი დაფინანსება;

*მცირე ბიზნესისთვის ინოვაციური განვითარების ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი პირობების შექმნა:*

- შეღავათიანი დაბეგვრა, დაბეგვრის გამარტივებული სქემების შემუშავება;
- საბაჟო შეღავათები;
- ძირითადი საშუალებების დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმების დადგენა;
- სხვადასხვა სახის ფინანსური მომსახურების გავრცელება (ლიზინგი, დაზღვევა, ფაქტორინგი და ა.შ.);
- სახელმწიფო პროტექციონიზმი;
- საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა.

გრანტი წარმოადგენს ინოვაციური პროექტების დაფინანსების ერთერთ წყაროს, მისი განვითარების საწყის ეტაპზე. 2017 წელს განხორციელდა საკანონმდებლო

ცვლილებები, რის საფუძველზეც გრანტის გაცემა შესაძლებელია საქართველოს სახელწმიფო ბიუჯეტიდან. (საქართველოს კანონი გრანტების შესახებ, 1996) მცირე ინოვაციურ კომპანიებზე შემოსავლის მიღებამდე შეიძლება ასევე გაიცეს სუბსიდია დანახარჯების ანაზღაურების მიზნით.

მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების დაკრედიტების აქტიური განვითარებისთვის საზღვარგარეთის ქვეყნებში იქმნება (Горфинкель, 1996) ***საგარანტიო ფონდები,*** რომელიც უზრუნველყოფს გაცემული კრედიტების ბანკებისთვის დაბრუნებას. საგარანტო ფონდები ხელს უწყობს კონკურენციას მცირე ბიზნესის საწარმოებსა და მსხვილ კომპანიებს შორის, საკრედიტო რესურსებთან მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარების ხელმისაწვდომობის გამარტივებასა და გაფართოებას, მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარების რაოდენობის სტაბილურ ზრდას და მათი საქმიანობის მწარმოებლურობის ამაღლებას.

ჯეროვნად განვითარებული საგარანტიო ფონდები მცირე ინოვაციურ საწარმოებს მისცემს გრძელვადიანი რესურსების გარანტიებს. საგარანტიო ფონდის თავდებობაზე უნდა დაწესდეს მცირე გადასახდი - საშუალოდ თავდებობის თანხის წლიური 1%-3%, (Druker, 2005) საგარანტიო ფონდისა და საკომპენსაციო თანხების გადახდა უნდა მოხდეს საბიუჯეტო სახსრებიდან.

***ფაქტორინგი*** (კოვზანაძე, 2014) ბიზნესის ფინანსირების ერთ-ერთი ყველაზე მეტად მოქნილი პროდუქტია, რომელიც გულისხმობს ინვოისების დაფინანსებასა და მიმდინარე დავალიანების მართვის მხარდაჭერას. ეს მომსახურება მოკლევადიანია (6 თვე) და მიმართულია მცირე მეწარმეების სახსრებით უზრუნველსაყოფაზე მიმდინარე საქმიანობის განსახორციელებლად.

მცირე მეწარმეობის სუბიექტების მიერ ფაქტორინგის ოპერაციების ჩატარების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკის ეს სფერო რისკის შემცველია და როგორც წესი ფაქტორინგული კომპანიები, მცირე მეწარმეობის წარმომადგენლების არჩევით მუშაობენ. ამჟამად ფაქტორინგის გავრცელება საქართველოში რამდენადმე ჩამორჩება დაფინანსების სხვა სახეობებს, მაგრამ იღებს ტემპებს და ხელს უწყობს მცირე მეწარმეობისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებას.

*ფრენჩაიზინგი* ეს არის საბაზრო სუბიექტებს შორის ურთიერთობის სახეობა, როდესაც ერთი მხარე, საფასურის ხარჯზე, გადასცემს მეორე მხარეს ბიზნესის განსაზღვრულ სახეობაზე, ნებართვას, საქმის წარმოების დამუშავებული ბიზნეს-მოდელის გამოყენებით. ის გამოიყენება მსხვილი ორგანიზაციების ფინანსური რესურსების მოსაზიდად მცირე მეწარმეობის განვითარების მიზნით. ეს ფინანსური მომსახურება ფართოდაა გავრცელებული დასავლეთში.

ფრენჩაიზინგი მნიშვნელოვანია სამეწარმეო აქტივობისათვის, გააჩნია მრავალი უპირატესობა და იზიდავს დამწყებ ბიზნესმენებს. დღეისათვის საქართველოში ფრენჩაიზინგის განვითარების უდიდესი პერსპექტივა არსებობს, როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფრენჩაიზინგის სექტორი ძირითადად აგებულია სწრაფი კვების ინდუსტრიის ირგვლივ, თუმცა, ევროპის განვითარებული ქვეყნებისა და აშშ-ის ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში გვხვდება წარმატებული ფრენჩაიზინგის მაგალითები.

საგულისხმოა, რომ მცირე ინოვაციურ საწარმოთა, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დამაჩქარებლის, მნიშვნელობა და მათთვის ფულადი რესურსების ტრადიციულ წყაროებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა წინა პლანზე წევს *ვენჩურულ* დაფინანსებას.

მცირე საწარმოს ვენჩურული დაფინანსების უკან დგას მსხვილი კორპორაცია, დაინტერესებული იმ საწარმოთა საქმიანობით, რომლებიც საკუთარ თავზე იღებს პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ და საპროექტო დამუშავებას, მათ საცდელ და სამრეწველო ათვისებას. ამ დროს მცირე საწარმოს სარისკო საქმიანობა გვევლინება თავისებურ საპილოტე პროექტად, რომლის დროსაც ხორციელდება ახალი იდეის აპრობირება.

მსოფლიოში ვენჩურული კაპიტალის სფეროში შეერთებული შტატები ტრადიციულად ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას. აშშ-ს აქვს მეწარმეობის პოლიტიკის უნიკალური ნაზავი და გამოცდილება, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ბოლო კვლევის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატები ვენჩურული კაპიტალის კომპანიათა 72%-ის სამშობლოა. (Mendelson, 2019)

**აშშ-ი** ვენჩურული კაპიტალის დახმარებით შექმნილი კომპანიები წელიწადში 10 მილიონ სამუშაო ადგილს ქმნიან. მათ მიერ შექმნილი პროდუქტების/სერვისების გაყიდვების საერთო ღირებულება ჯამში 1,8 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ასაქმებენ დასაქმებულთა 9,4%-ს. შტატებში არსებული წლიური გაყიდვების 9,6% სწორედ მათ პროდუქტებზე/სერვისებზე მოდის. საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების გარდა ვენჩურული კაპიტალი იდება ფარმაკოლოგიასა და ბიოტექნიკაში, ხელოვნური ინტელექტისა და მანქანათმცოდნეობის დარგებში (Mishraand, 2015)

აშშ-ს ვენჩურული ფონდების კაპიტალდაბანდებების ყოველწლიური მოცულობა შეფასებულია 3-4 მლრდ დოლარით. (Pichler, 2000) ყოველწლიურად ვენჩურული ფონდების საშუალებით ფინანსდება 1057 საწარმო. აშშ-ში ვენჩურული დაფინანსება სტიმულირდება მცირე მეწარმეთათვის განკუთვნილი მცირე ბიზნესის საინვესტიციო კომპანიის მეშვეობით. კომპანიას აქვს სპეციალური ლიცენზია და ნაწილობრივ ფინანსდება აშშ-ის მცირე ბიზნესის ადმინისტრაციიდან. მას ვენჩურული კაპიტალის სხვა წყაროებისგან განსხვავდებით კანონით ეკრძალება ვენჩურულ ფირმებზე კონტროლის დაწესება და მისი საკუთარ ხელში აღება.(Mach, 2003)

ვენჩურული კაპიტალის განვითარება იზრდება ევროპაშიც. (Findings from the 1998 Survey of Small Business Finance. EU.) ევროპის ბაზარზე ვენჩურულ კაპიტალში ინვესტირების მოცულობა ბოლო წლებში რეკორდულად, 4-ჯერ გაიზარდა. ევროპისთვის ვენჩურული კაპიტალი არის მთავარი შესაძლებლობა, შექმნას ევროპული გლობალური კორპორაციული ლიდერები.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სტარტაპ ეკოსისტემა წინ ელვის სისწრაფით მიიწევს ისრაელშიც. პირველი ვენჩურული ფონდი ისრაელში AVT (AVT - Athena Venture Partners) 1985 წელს შეიქმნა, რომლის დამფუძნებლებიც იყვნენ **Dan Tolkowsky, Dr. Gideon Tolkowsky** და ამერიკელი ვენჩურული კაპიტალისტი **Frederick R. Adler**. 1991 წლიდან 2000 წლამდე, ქვეყნის ვენჩურული კაპიტალის ინვესტიციები 58 მილიონი დოლარიდან 3 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. დღესდღეობით ისრაელში 70 აქტიური ვენჩურული კაპიტალის და 220 საერთაშორისო ფონდი

საქმიანობს და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. 2019 წლის მონაცემებით, ისრაელში მოქმედი კომპანიები ამერიკულ კომპანიებზე მეტად პოპულარულები არიან. ევროპული ქვეყნების შემდეგ, ისრაელი მე-4 ადგილს იკავებს მსოფლიოში (Industry, trade and services introduced, Israeil. 2021) ვენჩურული კაპიტალის ინვესტირების კუთხით. 2014-2018 წლებში ისრაელში სტარტაპები 140%-ით გაიზარდა. (Noa Shamay, 2020)

მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში უამრავი მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკური ცენტრი წარმოიშვა, „სილიკონის ველი" რჩება ტექნოლოგიური ინოვაციების მთავარ ჰაბად. ყველა ევროპული ტექნოლოგიური სტარტაპისა და კომპანიისთვის სანფრანცისკოს უკვე კარგად ჩამოყალიბებულ ეკოსისტემაში მოხვედრა პრიორიტეტული ამოცანაა, თუმცა ბოლო წლებში ტენდენციები იცვლება და ვენჩურული კაპიტალის კომპანიები საქმიანობას საკუთარ ქვეყანაში აგრძელებენ.

საქართველო ვენჩურული კაპიტალისტებისთვის სასურველი ბაზარია. მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან ბევრი საწარმოს გადატანა ჩინეთში მოხდა, რათა მათი კონკურენტუნარიანობა დაბალი თვითღირებულებით გაზრდილიყო. ახლა მსგავსი ტრენდი მეორდება უფრო მაღალტექნოლოგიურ დარგში და საქართველოს აქვს უნიკალური შანსი, ტალღის ქიმზე მოექცეს.

2017 წელს საქართველოში შეიქმნა საქართველოს ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია (GVCA-Georgian Venture Capital Association), რომლის მიზანია საქართველოში დაფინანსდეს გლობალური პოტენციალის მქონე ტექნოლოგიური სტარტაპები, რეგიონში მოიზიდოს საუკეთესო ინოვაციური პროექტები, ხელი შეუწყოს რეგიონალური კაპიტალური ბაზრის განვითარებას. **GVCA** ქმნის ეფექტიან პლატფორმას ინვესტორებისთვის, ბიზნესკომპანიებისთვის და ფიზიკური პირებისთვის, რომელთაც აქვთ ინოვაციური იდეა.

საქართველოში ვენჩურული სექტორის განვითარებისთვის აუცილებელია სისტემური მხარდამჭერი ზომები:

- ვენჩურული ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება;

- რისკის გადანაწილება;
- საბიუჯეტო გარანტიები;
- სახსრების წილობრივი დაბანდება;
- ლიზინგური სქემების გამოყენება;
- რეგიონალური ვენჩურული პროგრამების დამუშავება და რეალიზება;
- მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების და ვენჩურული კაპიტალის ურთიერთქმედების მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის განვითარება.

როდესაც, მცირე მეწარმეობის ინოვაციური განვითარების დაფინანსებაზე და მხარდაჭერის უცხოურ პროგრამებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია განვიხილოთ **Crowdfunding** - *ქრაუდფანდინგის* ("დაფინანსება ხალხისგან") პროგრამის გავლენაც დამწყები ბიზნესის დაფინანსების საკითხში. **Crowdfunding** - ეს არის ფინანსების მოძიების ერთერთი საინტერესო მექანიზმი,[46] რომლის ყველაზე პოპულარული მიმართულებებია: სოციალური პროექტები, გაჯეტები და გამოგონებები, კინო, ვიდეო და მუსიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მცირე ბიზნესი, მოდა.

ქრაუდფანდინგის პოპულარული პლატფორმებია - **Kickstarter & Indiegogo**, რაც საშუალებას იძლევა დაუკავშირდეთ ყველაზე მსხვილ ინვესტორებს მსოფლიოში. ამ პლატფორმების საშუალებით 2012 წელს შეიქმნა პირველი ჭკვიანი საათი **Pebble**. საათმა **Kickstarter**-ზე 10,3 მლნ დოლარის მოგროვება შეძლო 68,929 მომხმარებლისგან. მოწყობილობა დღემდე ერთ-ერთ პოპულარულ პროდუქტად რჩება. (Scott, 2003) 3D-პრინტერი, ვირტუალური რეალობის ჩაფხუტი და ა.შ.

საქართველოში ქრაუდფანდინგ პლატფორმების მეშვეობით ინვესტიციების მოზიდვა შეუძლებელია. ამის მიზეზი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის მკაცრი მოთხოვნებია. (**IPO**-Initial Public Offering) ფასიანი ქაღალდების კანონში აქციათა შეთავაზების წესების განსაზღვრების შემთხვევაში ინვესტორები და სტარტაპები შეძლებენ აქციათა წილობრივ სახალხო შეთავაზებას.

შეჯამებისთვის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია საქართველოში.

---

[46] Https://www.entrepreneur.com/article/363266

მაღალი საპროცენტო განაკვეთები (დაახლოებით 16%) და გირაოს დიდი მოცულობა (კრედიტის ღირებულების 220%-მდე), რასაც შედარებით განუვითარებელი არასაბანკო დაფინანსების სისტემა ემატება, ართულებს ინვესტიციების და საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას. მცირე ბიზნესის სეგმენტის დაკრედიტების წილი მთლიან დაკრედიტებაში კვლავ მცირეა და მხოლოდ 16%-ს შეადგენს. (IMF Statistics, 2018)

არასაბანკო დაფინანსების სხვა წყაროები განუვითარებელი და არადივერსიფიცირებულია. არ არის კარგად განვითარებული ლიზინგი და ჯერჯერობით მცირე საწარმოებისათვის სიცოცხლისუნარიან ალტერნატივას არ წარმოადგენს. ფაქტორინგული მომსახურება ძირითადად გამოუყენებელია. ინვესტიციების და ვენჩურული კაპიტალის მარეგულირებელი ჩარჩოს გარკვეული გაუმჯობესების მიუხედავად (საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონის მიღების სახით), კერძო კაპიტალის სექტორის და კერძოდ, ვენჩურული კაპიტალის აქტივობები, ზოგადად, განვითარების ადრეულ სტადიაზე იმყოფება. საქართველოს კაპიტალის ბაზრები მცირე და არალიკვიდურია და რეფორმირებას საჭიროებს. ბაზრის ინფრასტრუქტურას, განსაკუთრებით კი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურას მოდერნიზება სჭირდება. (საქართველოს დახასიათება, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები 2016)

მცირე ბიზნესის დაფინანსების ალტერნატიული წყაროები ძირითადად მიკროსაფინანსო ინსტიტუტების კრედიტებით შემოიფარგლება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კაპიტალის ნაკლებობას განიცდან და ძირითადად, საერთაშორისო დონორების დახმარებაზე არიან დამოკიდებული. მაღალია საგირავნო უზრუნველყოფის მოთხოვნები, რასაც ემატება გირაოდ მოძრავი ქონების მიღების შედარებით დაბალი მაჩვენებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის ხელახლა დაწყებაზე არანაირი შეზღუდვები არ ვრცელდება, მთავრობამ უფრო პროაქტიური მიდგომა უნდა შეიმუშაოს, რომ საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით წაახალისოს მეორე შესაძლებლობის გამოყენება. მცირე ბიზნესის უმეტესობას უჭირს

წარუმატებლობის შემდეგ ბიზნესის ხელახლა დაწყება. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერი დაფინანსების ხელმისაწვდომობაა.

### 3.2 მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარების დაბეგვრის სისტემის სრულყოფა

როგორც გვიჩვენებს უცხო ქვეყნების გამოცდილება, მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების ძირითად პირობას წარმოადგენს გადასახადის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ამიტომ მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის სრულყოფისას აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საგადასახადო სისტემას, მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარების დაბეგვრის სისტემის ოპტიმიზებას.

თვალი გადავავლოთ საგადასახადო სისტემის რეფორმებს და არსებულ მდგომარეობას საქართველოში. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქართველოში გატარდა საგადასახადო სისტემის მასშტაბური რეფორმები, რომლის მიზანს წარმოადგენდა: საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივება, საგადასახადო ტვირთის შემცირება და თანაბრად გადანაწილება, სისტემის დამამახინჯებელი გავლენის შესუსტება, საგადასახადო ტვირთის შემცირება ეკონომიკაზე. (ჯანგირიანი, 2016)

შედარებით მნიშვნელოვანი წარმატება საგადასახადო რეფორმებისა არის გადასახადების რიცხვის შემცირება და საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის დონის ამაღლება. 20 გადასახადიდან, რომელიც არსებობდა 2005 წლამდე, დღეს მოქმედებს ხუთი საერთო-სახელმწიფოებრივი და ერთი ადგილობრივი გადასახადი. საგადასახადო განაკვეთების შემცირებით მიღებული საბიუჯეტო დანაკარგები კომპენსირებულია საგადასახადო ბაზის გაფართოებისა და ბიზნესის ჩრდილიდან გამოსვლის ხარჯზე.

საგადასახადო რეფორმები საქართველოში პირობითად **სამ** ეტაპად შეიძლება დაიყოს. **პირველი ეტაპი,** (2004-2007 წლები) როდესაც მიღებულ იქნა ძირითადი ინსტიტუციონალური ცვლილებები, დაიწყო ბრძოლა კორუფციასთან, განხორციელდა გადასახადების რაოდენობის ღრმა ჭრა, აღმოიფხვრა ზედმეტი ბიუროკრატიული დაბრკოლებები და ბიზნეს საქმეებში სამთავრობო

სტრუქტურების მხრიდან ყველა მიუღებელი და არაეფექტიანი ჩარევა. მოხდა თამაშის სამართლიანი წესების შემოღება და გარანტირება ყველა პირისათვის.

**მეორე ეტაპზე** (2007-2009 წელი) მოხდა ინსტიტუციონალური პოტენციალის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, საგადასახადო ადმინისტრირების ახალი ორგანოების ფორმირება, საგადასახადო ტვირთის შემცირება. შეიქმნა საგადასახადო შემოსავლების სამსახური, გაუმჯობესდა საბაჟო და საგადასახადო ინფრასტრუქტურა. შეიქმნა გადასახადების ერთიანი ბაზა. შემცირდა მოგების გადასახადი 20%-დან 15%-მდე. გაერთიანდა სოციალური და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი.

**მესამე ეტაპზე** (2010-2011 წლები) მიღებულ იქნა ახალი **საგადასახადო კოდექსი,** რომელიც მიახლოებულია მოწინავე საერთაშორისო მეთოდოლოგიასა და დებულებებთან. შემოღებულია დაბეგვრის ახალი რეჟიმები მცირე და საშუალო მეწარმეთა მოთხოვნილებების შესაბამისად. ტექნოლოგიების ამაღლების ხარჯზე, დაინერგა ელექტრონული მომსახურება, გამარტივდა საბაჟო ადმინისტრირება.

ბოლო ათწლეულების მანძილზე საქართველოში საგადასახადო რეფორმის არსებით და აშკარა შედეგებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- დაბეგვრის გამარტივება და **სპეციალური რეჟიმის შემოღება მიკრო და მცირე ბიზნესისათვის.** მიკრო-ბიზნესი (წიური მთლიანი შემოსავალი 30 ათას ლარამდე, სასაქონლო მარაგით 45 ათას ლარამდე) გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან. მცირე ბიზნესისათვის (ყოველწლიური მთლიანი შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან 100 ათას ლარამდე, სასაქონლო მარაგი 150 ათას ლარამდე და არ არის დარეგისტრირებული როგორც დღგ-ს გადამხდელი) დადგენილია ერთადერთი გადასახადი, რომელიც იანგარიშება საქონელბრუნვის მიხედვით, 3% ბრუნვისა, თუ გადამხდელს გააჩნია შემოსავლების 60% ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, (გარდა სახელფასო ხარჯებისა) და 5% ასეთი დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაში .

- საბაჟო რეგულირების გამარტივება, რის საფუძველზეც 2006 წლიდან **16 საბაჟო** ტარიფის ნაცვლად მოქმედებს ტარიფის მხოლოდ **სამი სახე** (0%, 5%, 12%).
- საგადასახადო და საბაჟო კოდექსების უნიფიკაცია და გაერთიანება, საჯარიმო სანქციების შერბილება, პროგრესული საშემოსავლო გადასახადის ბრტყელი ჯერ 12%-იანი, შემდეგ 20%-იანი განაკვეთით ჩანაცვლება, დღგ-ს 20%-დან 18%-მდე შემცირება, დივიდენდებისა და პროცენტების გადახდის საგადასახადო განაკვეთის შემცირება 10%დან 5%-მდე. მოგების გადასახადის 20%-იდან 15%-მდე შემცირება, სააქციო მოსაკრებლების და საკუთრების გადასახადის შემცირება, კაპიტალურ აქტივებზე ამორტიზაციის დაჩქარება. საერთაშორისო რეგულირების შემოღება ორმაგ დაბეგვრაზე, საგადასახადო დავების გამარტივება.
- საგადასახადო დეკლარირების ელექტრონული სისტემის შემოღება, ბიზნესსა და საგადასახადო ორგანოებს შორის ურთიერთობის გამარტივება. ელექტრონული და სალარო ოპერაციების ონლაინ მომსახურება. პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურებისა და საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება.
- ევროკავშირის ბაზრებზე ყოველგვარი სავაჭრო ბარიერის გარეშე თავისუფლად საქონლის ექსპორტირება. თავისუფალი საწარმოო და საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც თავისუფლდებიან მოგების, დღგ-ს გადასახადისაგან და საექსპორტო ვალდებულებებისაგან.
- გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების, საგადასახადო ანგარიშის დროის შემცირება. თუ რეფორმამდე გადასახადების შეგროვების პოტენციალი 35%-ს შეადგენდა, გატარებული რეფორმების შემდეგ გადასახადების შეგროვება უახლოვდება 80%-ს.
- საგადასახადო შემოსავლების ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტში. 2005 წლამდე გადასახადების გადახდა მშპ-საგან შეადგენდა 16%-ს, რეფორმის შემდეგ ამ მაჩვენებელმა მიაღწია 23-24%.

ბიზნესისათვის გადასახადის საერთო განაკვეთი საქართველოში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია 9,9%. შემცირდა გადასახადის გადახდის და მომზადების დრო. რეგიონში ვლიდერობთ გადასახადების რაოდენობის სიმცირით, (5) გადასახადების წილით მშპ-ში (23.1%).

2020 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (**IMF**-International Monetary Fund) მხარდაჭერით[47] განხორციელდა საგადასახადო სისტემის დიაგნოსტიკური შეფასება (TADAT- Tax Administration Diagnostic Assessment Tool). ანგარიშის მიხედვით, შემოსავლების სამსახურმა 2016 წლის შეფასებასთან შედარებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აჩვენა **TADAT**-ის რვა ძირითადი მიმართულების შეფასების ინდიკატორში[48], კერძოდ:

- თანამედროვე საგადასახადო რეგისტრაციის სისტემის დანერგვა;
- კანონშესაბამისობის რისკის იდენტიფიცირების და მართვის პროცესი;
- საჩივრების განხილვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი დავების მართვის სისტემის გამოყენებით;
- გადასახადის გადამხდელებისთვის ელექტრონული სერვისების გაფართოებული არჩევანით სარგებლობა;
- დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს დღგ-ის თანხის დაბრუნების გამარტივებულ და სწრაფ პროცედურებს. (შემოსავლების სამსახურის ნგარიში, 2020)

საქართველოში საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების შედეგები, ძლიერი და სუსტი მხარეების ჩათვლით.

***ძლიერი მხარეები:***

- შემოსავლების ადმინისტრირების მოდერნიზაცია;
- ახალი რეესტრის საშუალებით დავალიანების მართვის გაუმჯობესება;
- კანონშესაბამისობის რისკების იდენტიფიცირება და შეფასება;
- ელექტრონულ სერვისებზე გადამხდელთა ინფორმირება;
- გადასახადის წყაროსთან დაკავების და წინსწრებით გადახდის ქმედითი სისტემა;

[47] https://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2016/cr16283.pdf
[48] https://www.tadat.org/home

- აუდიტის დაბალანსებული პროგრამა, რომელიც რისკების საფუძველზე საქმეების ცენტრალურად შერჩევის, ხარისხის უზრუნველყოფის მკაცრ მექანიზმებს და საქმეების ქმედით მართვას ეფუძნება;

- დავების გადაწყვეტის ხელმისაწვდომი და დამოუკიდებელი მექანიზმი;

- დღგ-ს ზედმეტობების დაბრუნების კარგი პრაქტიკა და თანხების ავტომატური გადახდა;

*სუსტი მხარეები:*

- ფინანსურ ინსტიტუტებთან ინფორმაციის გაცვლის მასშტაბური ავტომატიზებული სისტემის არ არსებობა;

- კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმების განუვითარებლობა;

- კანონშესაბამისობის რისკების შერბილების სტრატეგიების მონიტორინგის სისტემური შეფასების არ არსებობა;

- ბიზნეს ოპერაციების მხარდამჭერი ბიზნესუწყვეტობის გეგმის(BCP), შეუსრლებლობა;

- დეკლარირების ვალდებულების დარღვევებზე რეაგირების პროგრამის არარსებობა;

- საგადასახადო დავალიანებების დიდი და მზარდი ოდენობა, რომელთა დიდი ნაწილი12 თვეზე უფრო ხანდაზმულია;

- ახლადშექმნილი შიდა აუდიტის ფუნქციის განვითარების ადრეული სტადია;

- ფინანსური და ოპერატიული საქმიანობის შეზღუდული საჯარო ანგარიშგება.

საქართველოს ძირითადი სახელმწიფო გადასახადები ჯამურად მშპ-ს წილობრივად 22.8 პროცენტს შეადგენს (2019 წ.). შემოსავლების მთავარი წყაროებია დღგ (მთლიანი შემოსავლების 40.6), საშემოსავლო გადასახადი და წყაროსთან დაკავებული გადასახადი (30.5 პროცენტი), აქციზის გადასახადები (13.2 პროცენტი) და მოგების გადასახადი (7.6 პროცენტი). გადასახადების გადამხდელთა რიცხვი: წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი 173,989; ფიზიკური პირის

საშემოსავლო გადასახადი 163,641; მოგების გადასახადი 94,954; დღგ 71,669; აქციზის გადასახადი 2,012 (2019). (საგადასახადო სისტემის შეფასების ანგარიში, 2020)

2017 წლის 1 იანვარს ცვლილებები გატარდა მოგების გადასახადის მობილიზების რეჟიმში. ახალი სისტემით მოგების გადასახადის მობილიზების ტრადიციული რეჟიმი შეიცვალა და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა კომპანიის განაწილებული მოგების გადასახადი. ეს რეჟიმი ვრცელდება ყველა იურიდიულ პირზე, გარდა ზოგიერთი სექტორისა, როგორიცაა ფინანსური ინსტიტუტები და ნავთობის საძიებო კომპანიები.

2020 წელს ამოქმედდა გადასახადის გადამხდელთა ახალი რეესტრი, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა დროული დეკლარირების უზრუნველყოფის, კანონთან შესაბამისობის რისკების, გადასახადის გადამხდელთა მომსახურებისა და საგადასახადო დავალიანების მართვისთვის. ინერგება დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების მართვის ახალი სისტემა, ოპერაციული რისკების მართვისა და შიდა აუდიტის ფუნქციის ჩამოყალიბება.

შეფასდა ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციის სისტემის საქმიანობის ცხრა სფერო, (საგადასახადო სისტემის შეფასების ანგარიში, 2016) რომელშიც ჯამში 32 გამსხვილებული კრიტერიუმი შედის. 2016 წელთან შედარებით 2021 წელს 32 კრიტერიუმიდან გაუმჯობესდა 14 კრიტერიუმი, (რეგისტრირებულ გადამხდელთა ბაზა, კანონთან ნებაყოფლობითი შესაბამისობა, გადასახადების დროული გადახდა, ანგარიშვალდებულება და შემოსავლების მართვა). საერთო ჯამში 17 კრიტერიუმში გვაქვს მაღალი შეფასება, 15 კრიტერიუმში კი დაბალი შეფასება.

საგადასახადო გარდაქმნების წარმატება საქართველოში მეტწილად აიხსნება კორუფციასთან სისტემური ბრძოლით. რეფორმები გატარდა სწრაფი ნაბიჯებით მოკლე დროში და ერთდროულად ყველა სექტორში. (ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასება. 2016) მნიშვნელოვან ანტიკორუფციულ ინსტიტუტს საქართველოში წარმოადგენს ბიზნეს-ომბუდსმენი, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ბიზნეს ინტერესები სახელმწიფო ორგანოებთან შექმნილი სირთულეებისა და პრობლემების შემთხვევაში.

არსებობს მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარების ხელსაყრელი საგადასახდო პირობები, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა დამატებით საგადასახადო შეღავათებისა და პრეფერენციების, დაბეგვრის რეჟიმის მექანიზმებისა და მცირე საწარმოების ინოვაციური პოტენციალის ფინანსური ანგარიშგების განსაკუთრებული პირობების შემოღებით.

*__შეღავათი__* - ეს არის უპირატესობა, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობის მიერ მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელთა ცალკეულ კატეგორიებს სხვებთან შედარებით. მცირე ბიზნესისათვის შეღავათიანი გადასახადის დაწესებას დიდი მნიშვნელობა აქვს ინოვაციური პროდუქციის მოთხოვნასა და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების მოსაზიდად.

*__პრეფერენციები__* - ეს არის უპირატესობა, რომელიც ეძლევათ ცალკეულ სახელმწიფოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს განსაზღვრული სახის საქმიანობის მხარდასაჭერად. ხორციელდება გადასახადის შემცირების ფორმით, ბაჟის გადასახადის დაკლებით, ხელსაყრელი კრედიტების შეთავაზებით.

საწარმოების ინოვაციური საქმიანობის საგადასახდო სტიმულირების მიმართულებები შეიძლება იყოს:

- საგადასახადო შეღავათი;
- სამეცნიერო კვლევების გათავისუფლება დღგ-საგან;
- შეღავათი კვლევითი სამუშაოების დანახარჯებზე;
- ლიცენზიების გაცემაზე შეღავათების დაწესება ან დღგ-სგან განთავისუფლება;
- ინოვაციებზე საგადასახადო კრედიტების დაწესება;
- ტექნიკის შეძენაზე დანახარჯების ერთდროული აღრიცხვა;
- იმ ძირითადი საშუალებების დაჩქარებული წესით ამორტიზაცია, რომელიც მონაწილეობს მეცნიერულ კვლევებში.

განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში ტექნოლოგიების დამნერგავი სუბიექტებისათვის შეიძლება გამოიყოს შემდეგი შეღავათები:

- მოგების გადასახადზე განაკვეთის შემცირება;

- მეცნიერული კვლევების დანახარჯებზე ეფექტიანი საგადასახო განაკვეთის დაწესება;
- ქონებისა და მიწის გადასახადის გაუქმება;
- სატრანსპორტო გადასახადის შემცირება ან გაუქმება;
- დაზღვევაზე საგადასახადო განაკვეთის შემცირება;
- საბაჟო ზონის თავისუფალი რეჟიმი;
- კანონმდებლობის არახელსაყრელი ცვლილების შემთხვევაში გადასახადსა და გადასახადების აკრეფაზე გარანტიების უზრუნველყოფა.

ჩვენი აზრით, მოცემული **შეღავათის ეფექტიანობისთვის** მიზანშეწონილია:

- სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს მკაფიო განსაზღვრება;
- მცირე ბიზნესის მკაფიო განსაზღვრება;
- სტრატეგიული დარგების გამოკვეთა;
- რეგიონების სპეციალიზაცია კომპეტენციებისა და რესურსების მიხედვით.

ინოვაციებისათვის დამახასიათებელია იდეების სწრაფი ცვლა, რესურსებისა და მოწყობილობების ხშირი განახლება, ამიტომ კვლევა და ახლის შეტანა ეს არის - მასშტაბური ფულის გადახდა, დაბანდება, ინვესტიციები, ეგრეთ წოდებული დანახარჯები სამეცნიერო კვლევით და ტექნიკურ სამუშაოებზე. ინოვაციური საწარმოებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია, რომ სამეცნიერო კვლევითი გასავალი მიღებულ იქნას, როგორც დანახარჯი, რომელიც ამცირებს დასაბეგრ შემოსავალს.

საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს სამეცნიერო კვლევითი და ტექნიკური სამუშაოების განსაკუთრებული სახეობები, რომელთა დანახარჯი არ ჩაითვალება საგადასახდო ანგარიშსწორებაში. ასეთი სამეცნიერო კვლევითი და ტექნიკური სამუშაოები უნდა ემსახურებოდეს ახალი ან სრულყოფილი პროდუქციის შექმნას და იყოს მიმართული პრიორიტეტული ტექნოლოგიების განვითარებისაკენ. პრიორიტეტული ტექნოლოგიები უნდა განისაზღვროს ქვეყნის ეროვნული რესურსებისა და კომპეტენციიდან გამომდინარე.

საქართველოს კანონის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ მიხედვით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში

საქმიანობა მოიცავს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებსა და დამუშავებას, მათი შედეგების გამოყენებას, არსებულ ტექნოლოგიათა და ტექნიკის სრულყოფას წარმოების დონის ამაღლების და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით. (საქართველოს კანონი მეცნიერების შესახებ, 1994) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით, საგრანტო სისტემით, სამეცნიერო ფონდებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ სასელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ბიუჯეტიდან ფინანსდება. (საგადასახადო კოდექსი, 2010)

ერთობლივი შემოსავლიდან საგადასახადო კოდექსის თანახმად გამოქვითვას არ ექვემდებარება როიალტი:

- საავტორო უფლების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნახაზის, მოდელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;
- სამრეწველო, სავაჭრო ან სამეცნიერო-კვლევითი მოწყობილობის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;
- ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის მიღებული შემოსავალი;

კოდექსით ასევე ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას ექვემდებარება სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები, გარდა ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯებისა.

საგადასახადო აღრიცხვაში ერთ-ერთ შეღავათად შეიძლება განვიხილოთ ამორტიზაციის დარიცხვა იმ ქონების მიმართ, რომლითაც სარგებლობენ საწარმოები მეცნიერული კვლევებისათვის. ამორტიზაციის მაღალი კოეფიციენტი ხელს შეუწყობს ფულადი სახსრების გამონთავისუფლებას და შეავსებს ძირითად

ფონდებს დროის მოკლე პერიოდში. ეს შეღავათი ძალიან სჭირდება იმ საწარმოებს, რომელთაც აქვთ კონკურენტუნარიანობის სურვილი, რისთვისაც იძულებულნი არიან ხშირად გამოცვალონ ტექნიკა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული შეღავათის გამოყენებისას მცირე ინოვაციური საწარმო შეძლებს ძირითადი საშუალების ღირებულების გადატანას ხარჯებში ბევრჯერ უფრო სწრაფად.

ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების საერთო მექანიზმებს შორის ასევე შეიძლება გამოიყოს ინვესტიციური საგადასახადო კრედიტი. ეს არის შეღავათი, რომელიც წარმოადგენს საგადასახადო ვადის შეცვლას, რომლის დროსაც კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა განსაზღვრულ დროში განსაზღვრული რაოდენობით შეამცირონ გადასახადი შემოსავალზე, ასევე სხვა გადასახადზე, კრედიტის თანხისა და დარიცხული პროცენტების ეტაპობრივად გადახდის საშუალებით.

ინვესტიციურ საგადასახადო კრედიტს გასცემს საფინანსო ორგანო. კრედიტის გაცემის ერთერთი პირობა არის კრედიტის დაცვა, შეძენილი ქონების განკარგვაზე შეზღუდვების უზრუნველყოფით. ინვესტიციური კრედიტი შეიძლება დაეთმოს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ დამნერგავ ან ინოვაციურ საქმიანობას, რომლებიც ქმნიან ახალ ტექნოლოგიებს, ახალი სახის ნედლეულს ან მასალას.(გოგიაშვილი, 2013)

მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარებისათვის ხელსაყრელი საგადასახადო პირობების შექმნის პროცესი საკმაოდ რთული და რესურსტევადია. საგადასახადო კოდექსი უნდა შეიცავდეს ისეთ ინსტრუმენტს, რომელიც მიმართულია მოცემულ დარგში ინოვაციებისა და საწარმოების აქტიურობის მხარდასაჭერად. საქართველოში მცირე ბიზსესის ინოვაციური განვითარებისათვის, აუცილებელია საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა, მისი მასტიმულირებელი როლის ამაღლება, დამატებითი საგადასახადო სტიმულირება:

- ორგანიზაციის შემოსავალზე საგადასახადო განაკვეთის შემცირება იმ ნაწილში, რომელიც ირიცხება სამეცნიერო კვლევებსა და ტექნიკურ სამუშაოებზე.

- სპეციალური პრემიები ინოვაციებისათვის, რომლებიც სამეცნიერო კვლევით სამუშაოზე დანახარჯის თანხის 25%-ს შეადგენს;
- მცირე საწარმოებისათვის ჯარიმის ოდენობის  შემცირება;
- მცირე ინოვაციური ბიზნესის ახალ საწარმოებთან მიმართებაში აუცილებელ სადაზვევო გადასახადებზე საშეღავათო განაკვეთების შემოღება;
- მიკრო საწარმოებისათვის განსაკუთრებული ფორმის მხარდაჭერის გამოყენება, როგორიცაა საგადასახადო  შესვენება - 5 წლით;
- ქონების, მიწის, ტრანსპორტის და კომუნალური გადასახადისგან ნაწილობრივი ან სრული გათავისუფლება;
- დაბეგვრის სპეციალური რეჟიმის შემოღება ტექნოპარკებისთვის.

შემოთავაზებული  საგადასახადო შეღავათები წაახალისებენ მცირე ბიზნესის ინოვაციური განვითარებას, გამოშვებული ინოვაციური პროდუქციის მოცულობის ზრდას, დამატებითი გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას. საგადასახდო შეღავათები შეიძლება  დაწესდეს მას შემდეგ, რაც მცირე საწარმოები გაითავისებენ ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებს და დაალაგებენ ინოვაციური პროდუქციის სამრეწველო წარმოებას. ამასთან ერთად კარგია გატარდეს სხვადასხვა სანქციები საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის დაბალი ხარისხის, მისი ეკოლოგიურ მოთხოვნილებებთან შეუსაბამობის შემთხვევებში.

ოფიციალურ ანგარიშგებებში ფიგურირებს ბევრი უმოქმედო საწარმო, რის გამოც ძნელია მცირე ბიზნესზე ოფიცილუარი სტატისტიკის შეგროვება. ასევე სუსტია  მცირე ბიზნესის უნარების  შესახებ მონაცემები.  ამ მონაცემების შეგროვება და გაანალიზებაა მნიშვნელოვანია, ადამიანური კაპიტალის განვითარების მოთხოვნების შესასრულებლად და ამ მიმართულებით პოლიტიკის დასაგეგმად.

## 3.3 მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარების კლასტერის შექმნის მეთოდოლოგია საქართველოში

სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობას განაპირობებს ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურა და ეფექტიანობა. ინოვაციური პროცესების სიჩქარე, მოცულობა და მასშტაბები უზრუნველყოფს სახელმწიფოს შესაძლებლობას დაიკავოს გამოკვეთილი ნიშა გლობალურ ბაზარზე და შეიძინოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური თუ პოლიტიკური წონა საერთაშორისო ურთიერთობებში. უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა.

ეროვნული ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება ამოსავალი წერტილია, რომლის ინტერნაციონალიზაცია დამოკიდებული ადამიანურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საკანონმდებლო ფაქტორებზე.

ინოვაციურ სფეროში სახელმწიფო მხარდაჭერის საზღვარგარეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოიყოს სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების ორი მოდელი. (შენგელია, 2018)

- პირველი მოდელი, ეყრდნობა საერთო ეროვნული დანიშნულების მქონე მეცნიერულ-ტექნიკური კვლევების შესრულებას. მისი მთავარი მიზანი ქვეყნის პრიორიტეტული მნიშვნელობის დარგების განვითარება;
- მეორე მოდელი ეყრდნობა გავრცელებულ მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას და მის გადმოტანას, სადაც მთავარ მიზანს წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების ათვისების შესაძლებლობებადა ეკონომიკის დარგების ტექნოლოგიური განვითარება.

მოცემული მოდელების რეალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის ეროვნული პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების, მათი შესრულების მეთოდების უნიკალური კომბინაციების ფორმირებას, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის თავისებურებას (Бодрова, 2015). სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებები. (იხ. ცხრილი №31)

**ცხრილი № 31. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებები**

| ინოვაციური პოლიტიკის მიმართულება | ინოვაციური პოლიტიკის სპეციფიკა | ქვეყნები |
|---|---|---|
| **ეროვნული ინოვაციური სტრუქტურის ოპტიმიზაცია** | სახელმწიფო სისტემის ოპტიმიზაცია ინოვაციის დაგეგმვისა და მართვის სფეროში | იაპონია, ნორვეგია, ინდოეთი, ჩილი |
| | მეცნიერებისა და ინოვაციური სფეროს სახელმწიფო ფინანსირების ოპტიმიზაცია | აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, დანია, ნორვეგია, შვედეთი, ტაივანი, ავსტრალია |
| | ფუნდამენტური კვლევების განვითარება | დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, სლოვენია |
| **ბიზნესის და მეცნიერების კოოპერაციის სტიმულირება (ქვეყნის შიგნით არსებული უნივერსიტეტები)** | უნივერსიტეტების და კორპორაციების სიმეტრიული დაახლოების სტიმულირება | აშშ, ფინეთი, გერმანია |
| | მეცნიერებასა და ინოვაციურ სფეროში მსხვილი სახელმწიფო შენატანები, ეროვნული კერძო კაპიტალის მოზიდვა | ისრაელი, ფინეთი |
| | კერძო სექტორის ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება, უცხოური კაპიტალის მოზიდვა ინოვაციურ სფეროში | დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ჩინეთი, კორეა, მალაიზია, ინდოეთი, ისრაელი, რუსეთი |
| | სამეცნიერო სექტორის ინოვაციური ინიციატივების სტიმულირება | გერმანია, იაპონია, ახალი ზელანდია, დანია |
| **საერთაშორისო ინოვაციურ ქსელში ინტეგრაცია** | კომპლექსური ინტეგრაცია | ფინეთი, ისრაელი, ნიდერლანდები, ჩინეთი, რუსეთი |
| | ტექნოლოგიური სპეციალიზაცია | სამხრეთი კორეა, მალაიზია, სინგაპური, ტაივანი, ინდოეთი. |

| | | |
|---|---|---|
| **შიდა ინვაციური ქსელების დალაგება** | ინოვაციის სფეროში კავშირების შესაქმნალად განსაკუთრებული პირობების შექმნა | აშშ, ნორვეგია, ირლანდია, რუსეთი |
| | ეროვნული რეგიონების ინიციატივების სტიმულირება | საფრანგეთი, გერმანია, ფინეთი |
| **ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება** | მეცნიერების სახელმწიფო სექტორის რესტრუქტურიზაცია | რუსეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, ლიტვა, ესტონეთი |
| | მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის ინიცირება | რუსეთი, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი. |
| | ინოვაციურ სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართვა | აშშ, ფინეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ლატვია, ესტონეთი, თურქეთი, ჩილი |
| | მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ექსპორტული მიმართულებების პრიორიტეტების გამოკვეთა | ჩეხეთი, რუმინეთი, ჩილი, თურქეთი |

**წყარო**: Los Leijten. Innovation policy and international relations: directions for EU diplomacy. Leijten European Journal of Futures Research. 2019. https://d-nb.info/1194571662/34

ინოვაციური პოლიტიკის მიხედვით მსოფლიო შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. ქვეყნები, რომლებიც ორიენტაციას აკეთებენ მეცნიერებაზე, მსხვილმასშტაბურ მიზნობრივ პროექტებზე, სადაც წარმოდგენილია ინოვაციური ციკლის ყველა სტადია. ( დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი);
2. ქვეყნები, რომლებიც ორიენტირებულები არიან ხელსაყრელი ინოვაციური პირობების შექმნაზე, ისინი მისდევენ ეროვნული ეკონომიკის ოპტიმიზაციას და დევერსიფიკაციას (შვედეთი, შვეიცარია, გერმანია და სხვა);
3. ქვეყნები, ორიენტირებული სიახლეების სტიმულირებაზე ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკური

პროგრესის მიღწევების ტრანსფერის უზრუნველყოფა, (სამხრეთი კორეა, იაპონია და სხვა).

თითოეული სახელმწიფო ეროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე ირჩევს ინოვაციურ პოლიტიკას და სხვა ფაქტორების განვითარების გათვალისწინებით, ახდენს მათი რეალიზაციის სტრატეგიის შემუშავებას, რათა ქვეყანამ მიაღწიოს ინოვაციური აქტიურობის სასურველ დონეს.

ინოვაციური აქტიურობის დონეს განსაზღვრავს ინოვაციური სტრატეგია, სტრატეგიის პარამეტრები, ასევე ინოვაციური პროცესი, რომელშიც ჩართულია საზოგადოება. მნიშვნელოვანია ინოვაციის სტრატეგიის პარამეტრებზე შეთანხმებისას ინოვაციურ პროცესებში მონაწილე პირების ინტეგრაციის მაღალი დონე.

ინოვაციური სტრატეგია მოიცავს იმ წესებისა და ნორმების ერთობლიობას რომელიც განსაზღვრავს სიახლეების შერჩევისა და რეალიზაციის სისტემასა და პროცედურას. მისი მთავარი ამოცანა მდგომარეობს ინოვაციურ და სხვადასხვა პროცესში მონაწილე დაინტერესებული პირების ინტერესების ჰარმონიზაციის მაქსიმალური შესაძლო დონის მიღწევას.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ინოვაციური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიები:

***გადატანის სტრატეგია*** - არსებული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გადმოტანა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. იმპორტირებული ტექნოლოგიების ბაზაზე საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკურ კომპლექსის შექმნა. მოცემული სტრატეგია წარმატებით განახორციელა იაპონიამ. იაპონიამ ბოლო ათწლეულში მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან იყიდა ლიცენზიები მაღალეფექტიან ტექნოლოგიებზე, შემდეგ დანერგა უახლესი პროდუქციის წარმოება და განავითარა საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკური და მეცნიერულ-საწარმოო პოტენციალი. ამით უზრუნველყო სრული ინოვაციური ციკლი.

***სესხების სტრატეგია*** - საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გამოყენებით განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში ნაწარმოები პროდუქციის წარმოების ათვისება. შემდეგ პროდუქციის წარმოების დაწყება, საკუთარი

მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის აღორძინება. მომავალში საკუთარი მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დამოუკიდებლად ჩატარება და ინოავციების დანეგვა. ეს განახორციელა ჩინეთმა სამხრეთ-აღმოსავლეთის ზოგიერთმა ქვეყანამ.

*ზრდის სტრატეგია* - ქვეყანაში არსებული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება, მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მოწვევა წამყბანი ქვეყნებიდან, უნივერსიტეტებში გამოყენებითი და ფუნდამენტური მეცნიერების ინტეგრირება. ინოვაციების მუდმივი ზრდა. აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი.

დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ ინოვაციური განვითარების სამი საბაზისო მოდელი:

*ტრადიციული მოდელი* - რომელიც გულისხმობს სრულ ინოვაციურ ციკლს - ინოვაციური იდეის ჩასახვით დაწყებული დამთავრებული ინოვაციური პროდუქტის მასობრივი წარმოებით. ეს მოდელი თავისთავში მოიცავს ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურის ყველა კომპონენტს. ინოვაციური სისტემის ტრადიციული მოდელის ქვეყნებია : ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკური რეგიონის ქვეყნები.

*თანამედროვე მოდელი* - ინოვაციური განვითარების მოცემული მოდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთ განხილული ტრადიციული მოდელისაგან და წარმოდგენილია ძირითადად აღმოსავლეთ აზიაში: იაპონია, სამხრეთი კორეა, ჰონგკონგი და ჩინეთი. აღმოსავლეთაზიურ ინოვაციურ ციკლში, როგორც წესი, არ არსებობს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება. ეს მოდელი უპირატესად ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიური პროქდუქციის ექსპორტზე. ტექნოლოგიები მათ ნასესხები აქვთ ტრადიციული მოდელის ქვეყნებიდან.

*ალტერნატიული მოდელი* - ინოვაციური განვითარების ეს მოდელი გამოიყენება ქვეყნებში, რომლებიც არ ფლობენ მნიშვნელოვან პოტენციალს მეცნიერების დარგში. აქ ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობა წამყვანი დარგია. ქვეყანაში არ არის ნედლეულის საკმარისი მარაგები, რომლის გადამუშავების ტექნოლოგიები ან გაყიდვა შეიძლება გახდეს ეროვნული კონკურენტუნარიანობის საფუძველი. აქედან

გამომდინარე, ინოვაციების ციკლში არ არსებობს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ბლოკი. არ არსებობს მაღალტექნოლოგიური ციკლი.

თანამედროვე ეკონომიკაში ცალკეული ტერიტორიული წარმონაქმნების (რეგიონი, შტატი) ფუნქციონირებადი საწარმოების ინოვაციურობის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ **კლასტერებს**, რომელიც საწარმოების, სახელმწიფო, საფინანსო - საკრედიტო დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სხვათა თანამშრომლობაზეა აგებული.

**კლასტერი** წარმოადგენს როგორც ინტელექტუალური ასევე ფინანსური კაპიტალის ინტეგრაციის ფორმას. ის ყველაზე ეფექტური ფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციულ უპირატესობას. კლასტერის შემადგენლობაში ყოფნა ინოვაციურ საწარმოს ფართო შესაძლებლობებს აძლევს. კერძოდ, თავისუფალ ხელმისაწვდომობას რესურსებზე, ინფორმაციასა და კრედიტებზე.

მსოფლიო პრაქტიკის მაგალითები ადასტურეენ, წარმოების ორგანიზაციის კლასტერულ ფორმას, როგორც ყველაზე ხელსაყრელს ინოვაციური პროცესისთვის. კლასტერი ხელს უწყობს მასში მონაწილე დაინტერესებული პირების თანამშრომლობას, რეგიონის უნიკალური კომპეტენციების ფორმირებას, საწარმოებისა და ორგანიზაციების კონცენტრირებას კონკრეტულ ტერიტორიაზე.

აღსანიშანვია, რომ მკვლევარები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ კლასტერის არსს, მაგრამ პრაქტიკულად ყველა ამ განსაზღვრებაში ჟღერს ერთი და იგივე საკვანძო სიტყვები: **გაერთიანება, თანამშრომლობა, ურთიერთკავშირი, კონკურენცია, სპეციალიზაცია, გეოგრაფიული კონცენტრაცია** და სხვა. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ კლასტერინგის კონცეფციის მთავარი იდეა - კოოპერაციული კავშირების შექმნის შესახებ: საწარმო - მწარმოებლებს, რესურსების, ტექნოლოგიების მომწოდებლებსა და მეიჯარებს შორისს, სამეცნიერო კვლევით და საკრედიტო დაწესებულებებს შორის.

ასეთი კოოპერაციული კავშირები აძლევენ შესაძლებლობას კლასტერის მონაწილეებს აიმაღლონ თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობა და უფრო სწრაფად დანერგონ ტექნოლოგიები, პროდუქტები და ასე შემდეგ. ერთის მხრივ კლასტერის მონაწილეები ერთმანეთს უწევენ კონკურენციას, მეორეს მხრივ კი ერთობლივად

მუშაობენ სხვადასხვა პრობლემების ახალი გზით გადაჭრისათვის (მაგალითად რესურსების მომარაგება, გასაღების ახალი ბაზრების ხელმისაწვდომობა და ა.შ.) ამრიგად კლასტერის ზღვარზე ერთმანეთს ერწყმის კონკურენცია და კოოპერაცია.

კლასტერული განვითარება ყურადღების ცენტრში 1990-იან წლებში მოექცა. **ჰარვარდის** უნივერსიტეტის **პროფესორმა მაიკლ პორტერმა** შექმნა თეორია, რომელიც ეფუძნება **ეროვნული კონკურენტუნარიანობის** სტრატეგიას. მასში იგულისხმება რეგიონალური კლასტერების განვითარება, სადაც ქვეყნის საჯარო და კერძო სექტორი, ასევე სამეცნიერო-კვლევითი და ფინანსური ინსტიტუტები, მოთხოვნა და შესაძლებლობები, კონკურენცია ქმნიან ისეთ სტრუქტურას, რომლის საწარმოო ერთიანობა მძაფრ კონკურენციას უწევს მსოფლიო ბაზარზე წამყვან ბიზნეს სუბიექტებს. (Porter, 2013)

პროფესორის აზრით, კლასტერები (Портер, 2013) გეოგრაფიულად კონცენტრირებული ურთერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფია, რომლებიც უწევენ ერთმანეთს კონკურენციას, მაგრამ ამავე დროს ერთობლივ სამუშაოს ასრულებენ. პორტერის თეორიის თანახმად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ეფუძნება კლასტერების კონკურენტუნარიანობას. პორტერის მტკიცებით, კლასტერი კონკურენციაზე გავლენას სამი მიმართლებით ახდენს: 1. კლასტერში შემავალი კომპანიის მწარმოებლურობის ზრდით, 2. შესაბამის სფეროში ინოვაციის განვითარებით; 3. ახალი საწარმოს სტიმულირებით.

დღესდღეობით არ არის სტანდარტიზებული კლასტერის განვითარების მოდელი, რომელშიც შედის მისი განსაზღვის, აღწერისა და დადგენის პროცესი. განვითარებული ქვეყნები თავად ავითარებენ კლასტერის დადგენის საკუთარ მეთოდოლოგიას, რომლის ანალიზი ხდება საწარმოო კატეგორიზაციის მიხედვით და ეყრდნობა ადგილობრივი და რეგიონალური დასაქმების ნიმუშების შეფასებას.

ამრიგად, კლასტერი წარმოადგენს ურთერთმომგებიან თანამშრომლობას მეწარმეობის სფეროში ინოვაციურობის სტიმულირების მიზნით რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის.(Тарасенко. 2015) კლასტერი ხასიათდება:

- მჭიდრო გეოგრაფიული მდებარეობით;
- ტექნოლოგიების ნათესაობით;

- ნედლეულის საერთო წყაროთი;
- ინოვაციური კომპონენტის ხელმისაწვდომობა.

კლასტერებში ძირითადად მონაწილეობენ:

- საჯარო სექტორი;
- კერძო სექტორი;
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები;
- ფინანსური ინსტიტუტები;

ამასთანავე მონაწილეებად შეიძლება მივიჩნიოთ ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციები, რომელთა ინტერესშიც არის კლასტერების განვითარება. (სავაჭრო პალატა, ბიზნეს ინსტიტუციები, არაკომერციული ორგანზაციები, საზოგადეობრივი გაერთიანებები და სხვა).

დღეს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სახელმწიფოს ინტერესშია ეროვნული, კონკურენტუნარიანი რეგიონალური ინოვაციური სისტემისა და კლასტერების განვითარების პოლიტიკის ხელშეწყობა, როგორც საშუალება ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის. კლასტერული პოლიტიკა კლასტერების მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობაა რაც გულისხმობს: (Тарасенко, 2011)

- ინოვაციებისათვის ბარიერების მოხსნას;
- ადამიანურ კაპიტალში და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ჩადებას;
- შესაბამისი ფირმების გეოგრაფიული კონცენტრაციის მხარდაჭერას.

ქვეყნის ან რეგიონის კლასტერული პოლიტიკა წარმოადგენს **„კლასტერული ინიციატივების“** პორტფელს, რომელშიც გათვალისწინებულია კლასტერის შექმნით გამოწვეული რისკები და ეფექტები. „კლასტერული ინიციატივა“ არის კონკრეტული კლასტერის შექმნისა და განვითარების პროცესი, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს[49]:

- რეგიონის მეწარმეების ან თემის მიერ;
- რეგიონისა და ქვეყნის განვითარების ინსტიტუტების მიერ;

---

[49] http://ru.wikipedia.org

- სახელმწიფო, ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოების მიერ.

რეგიონალური კლასტერის შემუშავებისას გასათვალისწინებელია მოცემულ რეგიონში მწარმოებლურობის, კონკურენტუნარიანობის, ინოვაციურობის, მოგების და დასაქმების დონის ამაღლება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს შრომის საერთაშორისო დანაწილებას და რეგიონის სპეციალიზაციას[50].

უცხოეთის ქვეყნების ინოვაციური კლასტერების მკაფიო მაგალითებია:

- აშშ - 380 კლასტერი. სპეციალიზაცია - კომპიუტერული ტექნოლოგიები. კლასტერი - „სილიკონის ველი“. (**Intel, AMD, Oracle, Apple, Cisco, Yahoo!, eBay**).
- საფრანგეთი - 96 კლასტერი. სპეციალიზაცია - ფარმაცევტიკა და კოსმეტიკა. საკვები პროდუქტების წარმოება. კლასტერი (**Cosmetic Valley**)-600 საწარმო.
- ინდოეთი-106 კლასტერი. სპეციალიზაცია - კომპიუტერული ტექნოლოგიები.
- იტალია - 206 კლასტერი. სპეციალიზაცია - სამომხმარებლო საქონლისა და საჭმელი პროდუქტების წარმოება. კლასტერი (**Sassuolo**) კერამიკული ფილები.
- დიდი ბრიტანეთი - 168 კლასტერი. სპეციალიზაცია - ბიოტექნოლოგია და ბიორესურსები. (Solvell, 2003)

რეგიონალური ეკონომიკა აშშ-ს კონკურენტუნარიანობის საფუძველია[51]. აშშ-ს პოტენციალი აწარმოოს მაღალი ხარისხის პროდუქტი და მომსახურება, დამოკიდებულია რეგიონალური საწარმოების კლასტერების შექმნასა და განვითარებაზე. კლასტერის შიგნით მოქმედი კომპანიები დაკავშირებულები არიან საზიარო სამუშაო ძალით, მიწოდების ჯაჭვით, მომხმარებლებით და ტექნოლოგიებით. მასში წარმოდგენილი ბიზნესები აყალიბებენ ბიზნეს ეკოსისტემას ერთობლივ მომგებაზე ორიენტირებულს. მჭიდრო კავშირი და სიახლოვე საფუძველია უკეთესი ანალიზის, რომელიც უზურნველყოფს ძირეული კვლევების ჩატარებას, სპეციალიზირებული ნიჭისა და ახალი ცოდნის გამოვლინებას, მის სწრაფად განლაგებას. კლასტერი ჩნდება ორგანულად და ასახავს მოცემული რეგიონის უნიკალურ აქტივს და ძირითად კომპეტენციას, რაც ქმნის უნიკალურ კონკურენტულ უპირატესობას მოცემული ბიზნესებისთვის.

---

50 http://ppt.ru/news/134649

51 https://www.clustermapping.us/

რეგიონის ეკონომიკას აშშ-ში აქვს კლასტერის საკუთარი გამოკვეთილი პროფილი აქვს. კლასტერის სტანდარტიზაციას რეგიონების მიხედვით, აშშ-ს კლასტერული რუქა უზრუნველყოფს, რომელიც შემუშავებულია ჰარვარდის ბიზნესის სკოლისა და სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის მიერ[52]. კლასტერული რუქა კლასტერის ერთიან განმარტებებს იძლევა შტატების, ეკონომიკური არეალების, მეტროპოლიტენების და ადმინისტრაციული უბნების მიხედვით. განმარტებები ეყრდნობა აშშ-ის ინდუსტრიულ კოდებს: „NAICS"-ჩრდილოეთ ამერიკული წარმოების კლასიფიკაციის სისტემას ან მოძველებულ SIC - საწარმოო კლასიფიკაციის სტანდარტის კოდებს.

აშშ-ს ეკონომიკაში არსებობს ორი ტიპის კლასტერი - **ა)სავაჭრო და ბ)ლოკალური** კლასტერი. **სავაჭრო კლასტერში** შედის მონათესავე წარმოების ჯგუფები და ემსახურება რეგიონის გარეთ არსებულ ბაზრებს. ის თავისუფლად ირჩევს მისი საქმიანობის ლოკაციის ადგილს, (გამონაკლის შემთხვევაში ბუნებრივი რესურსების ადგილმდებარეობა უწყობს ხელს) და მნიშვნელოვნად კონცენტრირებულია მხოლოდ იმ რეგიონში, რომელიც სპეციფიურ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს მას. სავაჭრო კლასტერი რეგიონალური ეკონომიკის "ძრავები"-ა, რომლის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია რეგიონმა მიაღწიოს მაღალი დონის ეკონომიკურ ზრდას.

**ლოკალური კლასტერის** საწარმოები ადგილობრივ ბაზარს ემსახურება და გავრცელებულია ქვეყნის ყველა რეგიონში. დასაქმების მაღალი პროცენტიც ლოკალური კლასტერების სამუშაო ადგილებზე მოდის. კლასტერი რეგიონზეა მიბმული და არ უწევს პირდაპირ კონკურენციას სხვა რეგიონებს. წარმატებული რეგიონალური ეკონომიკისთვის ორივე აუცილებელია.

ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად აშშ-ში იქმნება რეგიონის მიზნობრივი კლასტერის სტრატეგიები (Porter, 2003). აშშ-ს რამდენიმე კლასტერის შიდა კვლევებისა და პრაქტიკის მაგალითზე შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც რეგიონში მაღალშედეგიანი კლასტერის ჩამოყალიბების გზამკვლევია.[53]

---

[52] https://eda.gov/about/cluster-mapping/
[53] https://towardsdatascience.com/clustering-evaluation-strategies-98a4006fcfc

კლასტერის ზრდის ხელშემწყობი სტრატეგიის ორი ძირითადი მოდელი არსებობს აშშ-ში: **კლასტერული ინიციატივის მოდელი** და **ეკონომიკური განვითარების კლასტერული მოდელი.** კლასტერული ინიციატივა ვიწრო ფოკუსისაა, მაგრამ ისიც უზრუნველყოფილია სრულყოფილი მხარდაჭერით. ის იქმნება იმისთვის, რომ დაჩქარდეს კონკრეტული კლასტერის ზრდა. სტრატეგია მოიცავს ქსელებისა და კავშირების განვითარებას შიგნით კლასტერში, მასში შემავალი ბიზნესების დასაფინანსებლად, მიმწოდებლების, მომხმარებლების და სამუშაო ძალის განსავითარებლად. კლასტერული ინიციატივა ხელს უწყობს ბაზრების გაფართოებას, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე. აშშ-ში კლასტერული ინიციატივის კატალიზატორია კერძო სექტორი, ასევე ფედერალური მთავრობაც მნიშვნელოვან და ძალიან დიდ როლს თამაშობს მათ დახმარებაში. აშშ-ს მცირე ბიზნესის ადმინისტრაციამ **SBA** (SBA-Small Business Administration), 2010 წელს აამოქმედა რეგიონალური ინოვაციური კლასტერის ინიციატივა - **RIC** (RIC-Regional Innovation Cluster). დღესდღობით აშშ-ს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია მხარს უჭერს 14 რეგიონალური ინოვაციური კლასტერის ინიციატივას. ასევე სხვა ფედერალურ სააგენტოებთან თანამშრომლობით მხარს უჭერს 58 კლასტერულ ინიციატივას. 2016 წელს SBA-მ 6 მლრდ დოლარი გადარიცხა რეგიონალური ინოვაციური კლასტერების ინიციატივის პორტფელში. კლასტერზე ორიენტირებულ პროგრამებს (საგრანტო კონკურსები) ასევე აფინანსებს აშშ-ს ეკონომიკური განვითარების ადმინისტრაციის **EDA** (EDA-Economic Development Administration) ინოვაციებისა და მეწარმეობის ოფისი რეგიონალური ინოვაციური სტრატეგიების პროგრამების მეშვეობით. 2016 წელს, **EDA**-მ 15 მლრდ დოლარით დააფინანსა 35 ორგანიზაცია ქვეყნის მასშტაბით **RIS** - ის პროგრამების მეშვეობით.[54]

**ეკონომიკური განვითარების** კლასტერული მოდელი ხელს უწყობს ეკონომიკის ფართო განვითარებას, რომელიც როგორც წესი მოიცავს რამდენიმე ან ყველა კლასტერს. მაგალითად, გაუმჯობესებული ტრანსპორტი ან სამუშაო ძალის განვითარება. დღესდღეობით აშშ-ში გავრცელებულია კლასტერები, რომლებიც ორიენტირებულები არიან ეკონომიკურ განვითარებაზე და არა კლასტერულ

[54] https://www.eda.gov/funding-opportunities/

ინიციატივებზე. კლასტერული ინიციატივები გავრცელებულია ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

კლასტერის ასამუშავებლად რეგიონ თავად ირჩევს კლასტერის განვითარების საკუთარ მოდელს, რომელიც ყველაზე უკეთესად შეესაბამება მისი ეკონომიკური ზრდის მიზნებს და საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის მოცემულობას.

კლასტერის ზრდის მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად მნიშნელოვანია გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

1. **კლასტერის სწორად შერჩევა**

ნებისმიერი კლასტერის სტრატეგიის წარმატება დამოკიდებულია: პასუხობს თუ არა კლასტერი რეგიონის კონკურენტულ უპირატესობას.

2. **სათანადო კლასტერული ინტერვენციის იდენტიფიცირება**

ხშირად კლასტერული სტრატეგიები მოიცავს იმ სტრატეგიებს, რომლებიც პოპულარულია სხვა რეგიონებში (ინკუბატორები და აქსელერატორები), მაგრამ ის შეიძლება არ იყოს ხელსაყრელი ყველა კლასტერისთვის. კლასტერის შიგნით საწარმოს და ფირმის კომპოზიცია დამოკიდებულია თავად კლასტერზე და რეგიონზე. ეფექტიანი კლასტერული ინტერვენცია უნდა განვითარდეს კლასტერის შიგნით არსებული ხარვეზების საპასუხოდ, რომელიც შეიძლება გამოკვეთილ იქნას ყოვლისმომცველი კლასტერული დიაგნოსტიკის მეშვეობით. (Delgado, 2014) ***ფორმალური მიდგომა კლასტერის ზრდასთან დაკავშირებით ნაკლებად ეფექტიანი იქნება, ვიდრე სტრატეგია დაფუძნებული კლასტერის უნიკალური გარემოებების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ღრმა ანალიზის საფუძველზე.*** კლასტერული დიაგნოსტიკა უნდა დაეფუძნოს შემდეგი კომპონენტების ანალიზს:

- წარმოების კონტექსტი კლასტერის შიგნით;
- კომპანიის კომპოზიცია (ზომა და ასაკი) კლასტერის შიგნით;
- სამუშაო ძალის მოთხოვნა კლასტერის შიგნით;
- რეგიონის შიგნით არსებული სამუშაო ძალა;
- კლასტერისა და რეგიონის შიგნით ინოვაციებისთვის საჭირო სტიმულები და წყაროები;
- ფულადი კაპიტალის წყაროები ქალაქის ან რეგიონის შიგნით;

- მიწის გამოყენების ნიმუშები ქალაქის ან რეგიონის შიგნით;
- ადგილობრივი, რეგიონალური, სახელმწიფო პოლიტიკა და რეგულაცია, რომელიც გავლენას ახდენს კლასტერის განვითარებაზე.

აშშ-ს ქალაქები პირველ რიგში იწყებენ რეგიონის ძლიერი და მზარდი კლასტერების ყოვლისმომცველ ანალიზს, რაშიც აშშ-ის კლასტერული რუქები ეხმარებათ. პრიორიტეტიზაციის პროცესს მიზნობრივი კლასტერების იდენტიფიცირებისათვის ახდენენ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელშიც დაინტერესებული პირები მონაწილეობენ. გარდა ამისა, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად (რომელიც ქმნის თანაბარ ეკონომიკურ შესაძლებლობებს ყველა მაცხოვრებლისთვის), ქალაქები ახდენენ იმ ინკლუზიური კლასტერების იდენტიფიცირებას, რომელიც რეგიონში ან ქალაქში დასაქმების მაღალ შესაძლებლობას სთავაზობს მის ყველა მაცხოვრებელს.

3. გეოგრაფიული მოქნილობა

კლასტერის საზღვრები იშვიათად შეესაბამება მის პოლიტიკურ საზღვრებს. კლასტერი, რომელიც ქალაქში იქმნება შეიძლება მოიცავდეს ქალაქის საზღვრების გარეთ არსებულ ბიზნესებსაც და ის არსებობდეს რეგიონალურ დონეზეც. ეფექტიანი კლასტერული სტრატეგია არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ კონკრეტულ ქალაქს. ექსპერტების აზრით შეუძლებელია ქალაქის შემოხაზვა და კლასტერული განვითარება მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე. ეს უბრალოდ არ იმუშავებს. კლასტერული სტრატეგიისთვის რეგიონალური თანამშრომლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქალაქების მაქსიმალური ეკონომიკური ზრდისთვის.(Delgado, 2014)

4. ხელმძღვანელობის შესაბამისი საწარმოო გამოცდილება

ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ კლასტერულ ინიციატივებსა და კლასტერზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარების გეგმების მართვას მოიცავენ საჯარო ან საჯარო-კერძო ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციებს, დამოუკიდებელ, არაკომერციული და უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნებულ ცენტრებს. კლასტერული ზრდისთვის აუცილებელია ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობას ჰქონდეს ღრმა საწარმოო გამოცდილება. ეს გამოცდილება

მნიშვნელოვანია კლასტერული განვითარების მხარდასაჭერად. სწორი ინტერვენციების იდენტიფიკაციისათვის და განვითარებისათვის. ***პროფესიონალების სანდოობა მნიშვნელოვანია წარმოების ლიდერებისთვის. ადამიანებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ კლასტერულ პროგრამებს უნდა ჰქონდეთ კონკრეტული საწარმოო გამოცდილება.***

5. **საჯარო და კერძო სექტორის ძლიერი პარტნიორობა**

კლასტერულმა ინიციატივებმა და სტრატეგიებმა აუცილებელია შექმნან კონსტრუქციული და სექტორული თანამშრომლობის მექანიზმები. კონკურენციის შიშის ფაქტორი ხშირად ხელს უშლის და ართულებს საქმიანი საზოგადოების ჩართვას ამ პროცესში. ისინი დარწმუნებული უნდა იყონ, რომ კლასტერული ზრდა ხელს შეუწყობს კლასტერული კავშირის ყველა ბიზნესის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ზრდას. კლასტერული სტრატეგიის წარმატება დამოკიდებულია კლასტერში შემავალ დაინტერესებულ მხარეთა სურვილზე რომ ერთად იმუშაონ, მათ შორის კონკურენტული საწაროების ჩათვლით. კოალიციების შექმნა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, თუ კი მასში მონაწილეობს კონკურენტუნარიანი საწარმოები და გამოცდილი კომპანიები.

6. **მდგრადი ბიზნეს მოდელის იდენტიფიცირება**

მდგრადი ბიზნეს მოდელის იდენტიფიცირება კლასტერული ზრდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, განსაკუთრებით აშშ-ს მიერ გამოყოფილი გრანტებით შექმნილი კლასტერისთვის. სახელმწიფო დაფინანსება ხშირად გამოიყენება პირველ წლებში განსახორციელებელი ოპერაციებისთვის და შეიძლება აღმოჩნდეს ნაკლებად საიმედო რადგან ის არ მოქმედებს გრძელვადიან პერსპექტივაზე. კლასტერის მდგრადი ბიზნეს მოდელი უნდა მოიცავდეს სხვადასხვა დაფინანსების ნაკადებს საჯარო და კერძო სექტორებისგან. (Building Strong Clusters for Strong Urban Economies. 2017. JPMorgan Chase&Co)

**კლასტერული პოლიტიკა** - კლასტერების მხარდაჭერის სახელმწიფო ზომებისა და მექანიზმების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონების, კლასტერში შემავალი საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას, ასევე ინოვაციების დანერგვას. კლასტერების შექმნისა და განვითარების ღონისძიებებს თან ერთვის

ორგანიზაციული, ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის ზომები, ინვესტიციური, ფინანსურ-საბიუჯეტო მექანიზმები, საინფორმაციო და საკადრო მხარდაჭერა. ინოვაციური კლასტერების განვითარების მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის აუცილებლობა მტკიცდება შემდეგი არგუმენტებით[55]:

- ეკონომიკის ინოვაციურობა დამოკიდებულია არა მარტო საწარმოებისა და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების ეფექტიან საქმიანობაზე, არამედ პირველ რიგში იმაზე, თუ როგორ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან.
- ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების ტერიტორიული სიახლოვე უწყობს ხელს ცოდნის ჩამოყალიბებას, აღქმას და გამოყენებას, ასევე ეფექტიანი ინოვაციური სისტემის ფორმირებას.

კლასტერული პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის განვითარება;
- რეგიონებისა და ცალკეული სწარმოების კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციური პოტენციალის ამაღლება;
- რეგიონალური ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა რეგიონალური დარგობრივი კლასტერების სტიმულირებისა და განვითარების საფუძველზე.

კლასტერების განვითარება საქართველოში მოგვცემს გამოყოფილი რესურსების კონკრეტული მიმართულებით განვითარების კონცენტრირების შესაძლებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონებისა და მთლიანობაში სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. პირველ რიგში უნდა მოხდეს კლასტერული პოტენციალის კვლევა, რეგიონების, დარგებისა და ფირმების მიხედვით, რომელთა სწორი ფორმირება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოსთვის კლასტერების განვითარებისა და შექმნის მართვის ინსტრუმენტების სრულყოფისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

[55] https://en.wikipedia.org/wiki/Business_cluster

- მეცნიერული პოტენციალის არსებობა (მსოფლიო დონის მეცნიერების ყოფნა, მსხვილი მეცნიერული ცენტრები, უმაღლესი საწარმოო მეცნიერების არსებობა);
- კლასტერის ფორმირების იდეის მხარდაჭერის ინსტიტუციონალური წინაპირობები, ხვადასხვა ფონდები ბიუჯეტის სახსრებიდან, ასევე ამ იდეის სახელმწიფოებრივი და რეგიონალური მხარდაჭერა;
- პოლიტიკური წინაპირობები (მთავრობის გადაწყვეტილება ინოვაციური საქმიანობის, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტის, განვითარების შესახებ);
- წარმოების წინაპირობები, სახელდობრ, კლასტერში შემავალი რეგიონისა და ცალკეული საწარმოების ინოვაციურობის დონე, რომლის მოთხოვნაც უნდა გაჩნდეს კლასტერის წარმოების მიმართ, როგორც უმაღლესი კონკურენტუნარიანობის მიღწევის აუცილებელი პირობა.

ინოვაციური განვითარებისათვის ხელსაყრელი ფაქტორების ერთობლიობა უნდა მოიცავდეს მოსახლეობაში უმაღლესი განათლების მქონე პირთა მაღალ კონცენტრაციას, განვითარებულ სამეცნიერო ინფრასტრუქტურას, საწარმოებში შემუშავებული პროექტების გამოყენების შესაძლებლობას. საწარმოების რეგიონული კლასტერების შექმნის ორგანიზების სქემა შეიძლება ასე გამოიყურებოდეს. დასავლეთის გამოცდილების თეორიული წინაპირობის განხილვის საფუძველზე საქართველოში მცირე ინოვაციური კლასტერის განვითარების პირობების, შესაძლებლობების შექმნისათვის შეიძლება შემდეგი მეთოდური მიდგომების გამოყენება: (Мигранян, 2002) (იხ. ცხრილი №32)

**ცხრილი № 32.კლასტერის პოზიტიური ასპექტები და ხელისშემშლელი ფაქტორები**

| კლასტერის პოზიტიური ასპექტები | | კლასტერების შექმნის სირთულეები |
|---|---|---|
| მონაწილეთათვის | **რეგიონისათვის** | |
| **პროდუქტიულობის ზრდა** | კონკურენციის გაძლიერებით საკუთარი სტატუსის გამაგრება | ცუდი ინფრასტრუქტურა |
| **ტრანზაქციული ხარჯის შემცირება** | მეწარმეობრივი საქმიანობის აქტივიზაცია | კაპიტალისა და კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტი |
| **ინოვაციის აღქმის** | ინვესტიციური ნდობის | კლასტერების იერარქია - |

| | | |
|---|---|---|
| **უნარიანობის ამაღლება** | ამაღლება | სირთულეები დაბალი დონის მიმწოდებლებისათვის |
| **გასაღების ბაზრის საუკეთესო მისაწვდომობა -სპეციალიზირებული მიმწოდებლების, სამუშაო ძალის და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებისათვის** | რესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა | ბლოკიდერბის ეფექტი, ანუ ცალკეული კომპანიები კლასტერებთან შედარებით, ძეიძლება იყვნენ უფრო კონკურენტუნარიანნი. |
| **დიდი მოქნილობა, ეკონომია წაროპების მასშტაბებზე** | რეგიონის ინოვაციური გარემოს გაუმჯობესება | კლასტერის ჰიპერსპეციალიზაციის საშიშროება |
| **ახალი ინოვაციების შექმნის დიდი ალბათობა** | საექსპორტო პოტენციალის ზრდა, სოციალური პროცესები მყარი განვითარების უზრუნველყოფა | ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დაუინტერესებლობა, კლასტერული მიდგომის უპირატესობის გაუთვითცნობიერება |

წყარო: https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6864688/

1. ***<u>მოსამზადებელი ეტაპი,</u>*** რაც ითვალისწინებს საქართველოს რეგიონში კლასტერის მოდელის ზოგად მეთოდური დამუშავების შემდეგ ეტაპებს:

- მუშათა ჯგუფის შექმნა;
- კლასტერის მმართველი ცენტრის სავარაუდო მონაწილეების განსაზღვრა;
- მცირე საწარმოების ინოვაციური განვითარების კლასტერის ფუნქციონირების ნორმატიულ-უფლებრივი ბაზის დამუშავება და დამტკიცება;
- პროექტის დასახული მიზნის დამუშავება;

2. ***<u>ანალიტიკური ეტაპი:</u>***

- კლასტერის წარმოების განსაზღვრა;
- კლასტერის ბირთვის ფორმირება;
- კლასტერის საზღვრების დადგენა;
- კლასტერის შიდა კავშირების გამოვლინება;
- კლასტერის მმართველობის ცენტრის განსაზღვრა;
- კლასტერის სტრატეგიული ანალიზისა და პოტენციალის განსაზღვრა.

3. ***<u>ორგანიზაციულ-ეკონომიკური ეტაპი,</u>*** რაც ითვალისწინებს კლასტერის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდაციების დამუშავებას:

- კლასტერის ფუნქციონალური და ორგანიზაციულ-სამეურნეო მექანიზმების აგება;
- მონაწილეთა ინოვაციური საქმიანობის გაფართოების მიზნით, ინფრასტრუქტურის განვითარება;
- კლასტერის მონაწილეთა ინფორმაციული ურთიერთმოქმედების ორგანიზება;
- კლასტერის წევრთა შესაძლებლობებისა და კომპეტენციის სისტემატიზირება;
- კლასტერის განვითარების სტრატეგიის, მათ რიცხვში მიზნების, სცენარისა და ინოვაციური განვითარების მიმართულებების შემუშავება.

